

ადვოკატი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შუბნალი

2015 წელი
№1-2





CLDP
COMMERCIAL LAW DEVELOPMENT PROGRAM

ყურნალი გამოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის „კომერციული სამართლის განვითარების პროგრამის“ (CLDP) მხარდაჭერით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მადლობას უხდის ევროკავშირის პროექტს „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადანყვეტილებების მომზადებისთვის.



სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე:

როინ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:

ასათიანი დავით, გამყრელიძე ოთარ, გვენეტაძე ნინო, თოდრია ინგა,
ნადიბაიძე ლელა, სალხინაშვილი მაკა, ტურავა პაატა,
ყანდაშვილი ირაკლი, ძლიერიშვილი ზურაბ, ჭეჭელაშვილი ზურაბ,
ხატიაშვილი ზაზა, ხოფერია ნინო

ჟურნალის რედაქტორი:

ეკა ხიმშიაშვილი



ISSN – 1987-5 479

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება კომეციული მიზნით, ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ნებართვის გარეშე აკრძალულია.

სარჩევი

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის მიმართვა 6

ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა

სამართლის უზენაესობის და მართლმსაჯულების რეფორმების კომისიის საკანონმდებლო
წინადადებები „უზენაესი სასამართლოს ეფექტური რეფორმირებისთვის“8

ინტერვიუ ადვოკატთა ასოციაციის სამართლის უზენაესობის და მართლმსაჯულების
რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე, **ადვოკატ დავით ასათიანთან** 12

ადვოკატი და ეთიკა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება
საქმეზე #103/13, 07.07.2014 17

ეთიკის კომისიის რეკომენდაცია 21

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის სამოქმედო გეგმა 2015 წელი 26

სასამართლო პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება
საქმე: „ვილე ლიხტენშტეინის წინააღმდეგ“ (განაცხადი no. 28396/95)
სტრასბურგი 28 ოქტომბერი, 1999 28

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, მოკლე მიმოხილვა 38

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება 39

*საექსპერტო შეფასება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებაზე* 54

ადვოკატი და მცხნიერება

ადვოკატი ზურაბ მუხურაძე , „მოვალის უფლებრივი მდგომარეობა ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების დადგომისას.....	57
ადვოკატი ლაშა ცერცვაძე , დერივატიული სარჩელი – Derivative Lawsuit	69

სამართლის კუბლიცისტიკა

პროფ. ოთარ გამყრელიძე , მოსყიდვა ქვემოდან თუ მოსყიდვა ზემოდან (მე-2 ნაწილი)	80
--	----

ადვოკატის მოსაზრებები

ადვოკატი ლეილა არხოშაშვილი , შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები	90
ადვოკატი ზურაბ თოდუა , ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – ძვირადღირებული სიამოვნება თუ აუცილებლობა	95



როინ მიბრიაული

ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ადვოკატი, ასოცირებული პროფესორი

ძვირფასო კოლეგებო!

პირველ რიგში, მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ჟურნალ „ადვოკატის“ სარედაქციო კოლეგიის წევრს, ქალბატონ ნინო გვენეტაძეს, ჟურნალის ფურცლებიდან მივულოცო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევა, ვუსურვო მას წარმატებული და ნაყოფიერი საქმიანობა ამ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია იმედს იტოვებს, რომ ქალბატონი ნინო, მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების ურთულეს პროცესში, გამოახვედრება საკმარის დროს და თავისი კომპეტენტური რეკომენდაციებით კვლავ იზრუნებს ჟურნალის სამეცნიერო პოტენციალის ასამაღლებლად.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჟურნალ „ადვოკატის“ ახალმა ფორმატმა დიდი მოწონება დაიმსახურა არა მარტო ადვოკატებში, არამედ სხვა პროფესიის ადამიანებშიც. მოწონება ხვდა, აგრეთვე, ჟურნალის ახალ რუბრიკებსაც, რომლებიც, ძირითადად, ადვოკატებსა და მათ საქმიანობებზეა ორიენტირებული.

ადვოკატების მიერ ჟურნალში სამეცნიერო სტატიებისა თუ მოსაზრებების გამოქვეყნებამ სტიმული უნდა მისცეს მათ „დაფარული“ სამეცნიერო პოტენციალის გამომჟღავნებაში. ამის საუკეთესო მაგალითია ადვო-

კატი ზურაბ თოდუა, რომელმაც თითქმის 30 წლის წინ სოხუმში დაწყებული და იძულებით შეწყვეტილი მეცნიერული მოღვაწეობა კვლავ განაახლა, როდესაც წინამდებარე ჟურნალში ძალიან საინტერესო მოსაზრებები შემოგვთავაზა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებით. იმედია, ბატონი ზურაბი კვლავ აქტიურად გააგრძელებს თავისი მეტად საინტერესო მოსაზრებების ქალაქზე გადატანას და, იქნებ, მომავალში მეცნიერთა რიგებშიც კი ვიხილოთ იგი.

წინამდებარე ნომერში კვლავ წარმოგიდგენთ ადვოკატების საინტერესო სამეცნიერო სტატიებს, აგრეთვე, მათს მოსაზრებებს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. რუბრიკაში „სამართლის პუბლიცისტიკა“ კვლავ გრძელდება დაბეჭდვა ბატონი ოთარ გამყრელიძის პუბლიცისტური ნაწარმოებისა – „მოსყიდვა ქვემოდან თუ მოსყიდვა ზემოდან“. 2008 წელს გამოცემული ეს ნაწარმოები თავის აქტუალობას დღესაც კი არ კარგავს.

ჟურნალი კვლავ უთმობს ადგილს ადვოკატის ეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებს და ბეჭდავს ეთიკის კომისიის ერთ-ერთ რეკომენდაციას, რომელიც ეხება კომპანიის იურისტზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების გავრცელების საკითხს. ჟურნალში იბეჭდება, ასევე, ეთიკის ახალი კომისიის მიერ მიღებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება ადვოკატის ვალდებულებას, სრულად და ზუსტად აწარმოოს ჩანაწერები საქმის წარმოების ხარჯებთან და კლიენტის სახსრების განკარგვასთან დაკავშირებით.

ჟურნალის წინამდებარე ნომერში, კვლავინდებურად, შეხვდებით სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამჯერადაც შემოთავაზებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

დასასრულ, მინდა, ასევე, ვისარგებლო შემთხვევით და ასოციაციაში გაერთიანებულ ყველა ადვოკატს მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული!

პატივისცემით



ადვოკატთა ასოციაციის საჭმთანობა

სამართლის უზენაესობის და მართლმსაჯულების რეფორმების კომისია

„საკანონმდებლო წინადადებები
უზენაესი სასამართლოს ეფექტური რეფორმირებისთვის“

1) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის (უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა) პირველი პუნქტის მოქმედი რედაქცია:

„1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს პლენუმი“.

შემოთავაზებული ცვლილება:

ა) „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 15. უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა

„1. საქართველოს უზენაესი სასამართლო შედგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27 მოსამართლისაგან. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, გარდა ამავე მუხლის 11-ლი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს

უმალესი იურიდიული განათლება, მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის, ხოლო ადვოკატად ან პროკურორად საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება“.

2) საქართველოს კონსტიტუციის 90-ე მუხლის მესამე ნაწილის მოქმედი რედაქცია:

„3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და უზენაესი სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.“

შემოთავაზებული ცვლილება:

ბ) საქართველოს კონსტიტუციის 90-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 90.“

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და

უზენაესი სასამართლოს წევრთა შერჩევის კრიტერიუმები და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“.

„4. უზენაესი სასამართლოს პალატები, გარდა დიდი პალატისა და სადისციპლინო პალატისა, შედგება კოლეგიებისაგან.

შემოთავაზებული ცვლილება:

გ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

მუხლი 15. უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა

„1¹. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობის არაუმეტეს 1/4 შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, არის სამართლის დარგის გამოჩენილი სპეციალისტი და მისი პროფესიული გამოცდილება შეესაბამება უზენაესი სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს.

3) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის (უზენაესი სასამართლოს პალატა) მეორე პუნქტის მოქმედი რედაქცია:

„2. უზენაესი სასამართლოს პალატა (გარდა დიდი პალატისა) საქმეს განიხილავს 3 მოსამართლის შემადგენლობით.

შემოთავაზებული ცვლილებები:

დ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის მეორე პუნქტი ამოღებული იქნას

4) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლს (უზენაესი სასამართლოს პალატა) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. უზენაესი სასამართლოს პალატები, გარდა დიდი პალატისა და სადისციპლინო პალატისა, შედგება კოლეგიებისაგან.

5) „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის დაემატოს შემდეგი შინაარსის 16¹-ე მუხლი“

„მუხლი 16¹. უზენაესი სასამართლოს კოლეგია და მისი შემადგენლობა

1. უზენაეს სასამართლოში საქმეს განიხილავს უზენაესი სასამართლოს კოლეგია სამი მოსამართლის შემადგენლობით. უზენაესი სასამართლოს კოლეგია შედგება 3 ძირითადი და 2 სათადარიგო მოსამართლისაგან.

2. უზენაესი სასამართლოს კოლეგიის ძირითადი მოსამართლის არყოფნის შემთხვევაში (მივლინება, ავადმყოფობა და სხვა საპატიო მიზეზი), საქმის განხილვაში შეიძლება მონაწილეობდეს მხოლოდ ამავე კოლეგიის სათადარიგო მოსამართლე.

3. უზენაესი სასამართლოს კოლეგიის ძირითადი მოსამართლის არყოფნის შემთხვევაში, სათადარიგო მოსამართლის შერჩევა უნდა მოხდეს ამავე კოლეგიის სათადარიგო მოსამართლისაგან ანბანური რიგითობის მიხედვით.

4. თუ უზენაესი სასამართლოს კოლეგიის ძირითად და სათადარიგო მოსამართლეთა არყოფნის შემთხვევაში, კოლეგიის შემადგენლობაში 3 მოსამართლეზე ნაკლები აღმოჩნდა, დამატებითი სათადარიგო მოსამართლის განსაზღვრის საკითხს წყვეტს უზენაესი სასამართლოს პლენუმი, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

5. უზენაესი სასამართლოს კოლეგიის სათადარიგო მოსამართლე, თავის მხრივ, არის სხვა კოლეგიის ძირითადი მოსამართლე. ამასთან, ერთი მოსამართლე შეიძლება იყოს რამდენიმე კოლეგიის სათადარიგო მოსამართლე.

6) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის (უზენაესი სასამართლოს პლენუმი) პირველი პუნქტის მოქმედი რედაქცია:

„1. უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებისაგან“.

შემოთავაზებული ცვლილებები:

ე) „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის (უზენაესი სასამართლოს პლენუმი) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. უზენაესი სასამართლოს პლენუმი“

„1. უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისაგან.

7) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის (უზენაესი სასამართლოს პლენუმი) მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქცია:

„ბ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით აირჩიოს უზენაესი სასამართლოს პალატების (გარდა საკვალიფიკაციო პალატისა) შემადგენლობები და თავმჯდომარეები“

შემოთავაზებული ცვლილებები:

ვ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის (უზენაესი სასამართლოს პლენუმი) მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით და დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტები:

„მუხლი 18. უზენაესი სასამართლოს პლენუმი

„2.

ბ) განსაზღვროს უზენაესი სასამართლოს პალატებში მოსამართლეთა რაოდენობა; დაადგინოს უზენაესი სასამართლოს პალატებში მოსამართლეთა განაწილება; აირჩიოს პალატის თავმჯდომარეები; განსაზღვროს უზენაესი სასამართლოს პალატებში კოლეგიების შემადგენლობა და კოლეგიის სათადარიგო მოსამართლისა და დამატებითი სათადარიგო მოსამართლის ვინაობა;

...

ო) დაამტკიცოს უზენაესი სასამართლოს პლენუმზე განსახილველ საკითხთა ჩამონათვალი (დღის წესრიგი) და ცვლილებები შეიტანოს დღის წესრიგში;

პ) უზენაესი სასამართლოს პალატებში მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის, უზენაესი სასამართლოს პალატებში მოსამართლეთა განაწილების, პალატის თავმჯდომარეების არჩევის, უზენაესი სასამართლოს პალატებში კოლეგიების რაოდენობის, შემადგენლობისა და კოლეგიის სათადარიგო მოსამართლის განსაზღვრის მიზნით დაამტკიცოს რეგლამენტი;

8) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქარ-

თველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის (უზენაესი სასამართლოს პლენუმი) მე-4 პუნქტის მოქმედი რედაქცია:

„4. პლენუმი უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მის სხდომას ესწრება პლენუმის წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა სხდომის მონაწილეთა არანაკლებ ორმა მესამედმა.“

შემოთავაზებული ცვლილებები:

ზ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის (უზენაესი სასამართლოს პლენუმი) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. უზენაესი სასამართლოს პლენუმი, ამ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“, „ლ¹“, „მ“, „ნ“, ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე, გადანყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.“

თ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის (უზენაესი სასამართლოს პლენუმი) მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ და 4² პუნქტები

„მუხლი 18. უზენაესი სასამართლოს პლენუმი

4¹. უზენაესი სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია ამ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“, „ი“, „ლ¹“, „მ“, „ნ“, ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკითხები განიხილოს, თუ მის სხდომას ესწრება პლენუმის წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა.

4². მე-4¹ პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე გადანყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პლენუმის სხდომის მონაწილეთა არანაკლებ ორმა მესამედმა“.

9) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის (უზენაესი სასამართლოს პლენუმი) მე-5 პუნქტის მოქმედი რედაქცია:

„5. პლენუმი მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ. პლენუმის სხდომას ნიშნავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან პლენუმის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით

შემოთავაზებული ცვლილებები:

ი) „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის (უზენაესი სასამართლოს პლენუმი) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით და დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 პუნქტები:

„მუხლი 18. უზენაესი სასამართლოს პლენუმი

5. პლენუმი მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ. უზენაესი სასამართლოს პლენუმი მოიწვევა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ან პლენუმის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით.

...

7. პლენუმზე განსახილველ საკითხებზე დღის წესრიგის პროექტის წარდგენის უფლება აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან პლენუმის წევრთა 1/3-ს. საბოლოოდ პლენუმზე განსახილველი საკითხების ჩამონათვალს ამტკიცებს პლენუმი სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეგლამენტის პროექტის წარდგენის უფლება აქვს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ან პლენუმის წევრთა 1/3-ს“.



**„არ გვაქვს იმის აზრისა,
რომ შემოთავაზებული წინადადება იდეალურია,
თუმცა რეფორმის გარეშე ეფექტური მართლმსაჯულების
სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნება“**

ინტერვიუ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრთან, სამართლის უზენაესობისა და მართლმსაჯულების რეფორმების კომისიის თავმჯდომარე, ადვოკატ დავით ასათიანთან დავით ასათიანთან.

ბატონო დავით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში 2014 წელს შეიქმნა სამართლის უზენაესობისა და მართლმსაჯულების რეფორმების კომისია, რას საქმიანობს კომისია, რა მიზნები და ამოცანები აქვს მას?

“საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს 2014 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების შესაბამისად, შეიქმნა სა-

მართლის უზენაესობისა და მართლმსაჯულების რეფორმების კომისია. კომისიის მიზანია იურიდიული პროფესიისა და ადვოკატთა კორპუსის ჩართულობის ხელშეწყობა, დამოუკიდებელი და ხარისხიანი მართლმსაჯულების მისაღწევად. კომისიის ამოცანებია: ქვეყანაში მიმდინარე მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის პროცესში ადვოკატთა კორპუსისა და იურიდიული პროფესიის ძალისხმევის გაძლიერება, საკანონმდებლო და მარეგულირებელი მხარდაჭერის უზრუნველყო-

ფა, სამართლის უზენაესობის დამკვიდრების და დამოუკიდებელი მართლმსაჯულებისათვის, სამართლის უზენაესობის დამკვიდრების და მართლმსაჯულების რეფორმების პროცესში სხვადასხვა იურიდიული პროფესიების და ინსტიტუტების: სასამართლოს, ადვოკატურის, პროკურატურის, ნოტარიატის, აღმასრულებლებისა და სხვ. თანამშრომლობის ფორმატის ჩამოყალიბება. ამ ამოცანების განსახორციელებლად კომისია მუშაობს კანონპროექტებზე, წინადადებებზე, რეკომენდაციებზე სამართლის უზენაესობისა და მართლმსაჯულების რეფორმების საკითხებზე. იგი აქტიურად თანამშრომლობს სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თუ კოალიციებთან. კომისიას დაგეგმილი აქვს ფორუმების, სამუშაო შეხვედრებისა და კონფერენციების მოწყობა, აგრეთვე, საჯარო განცხადებების გავრცელება სამართლის უზენაესობისა და მართლმსაჯულების რეფორმებთან დაკავშირებულ საკითხებზე. თავის საქმიანობის პროცესში, კომისია აანალიზებს და ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და ამ მიმართულებით ატარებს ძალზე საინტერესო კვლევებს.

რამდენი წევრისგან შედგება კომისია და ვინ არიან ისინი?

კომისია შედგება 15 წევრისაგან, რომელთაგან 2/3 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრია, ხოლო დანარჩენი წევრები შეიძლება იყვნენ სამეცნიერო წრეებიდან და შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს აღმასრულებელი საბჭო. კომისიის სხდომების მუშაობაში მონაწილეობენ სხვადასხვა დარგის ექსპერტები და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლები, როგორც სასამართლო სისტემიდან, ასევე სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებიდან. კომისიის სხდომის მოწვევა ხდება არანაკლებ თვეში ერთხელ. ჩვენი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტ დაინტერესებულ ადვოკატს მიეღო მონაწილეობა კომისიის მუშაობაში და წევრთა შერჩევაც საჯაროდ და გამ-

ჭვირვალედ განხორციელდა, ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებით და თავად მსურველთა განცხადებების საფუძველზე.

თქვენი კომისიის მიერ მომზადებული იქნა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ეხება უზენაესი სასამართლოს რეფორმირებას?

უზენაესი სასამართლოს სტრუქტურის, ამავე სასამართლოს კოლეგიისა და მისი შემადგენლობის, ასევე, უზენაესი სასამართლოს პლენუმის რეფორმირება უახლოეს მომავალში დაიწყება და აღნიშნული ინიციატივა, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მართლმსაჯულების რეფორმების კომისიასაც ეკუთვნის.

მომზადებული საკანონმდებლო წინადადებების მიხედვით, ცვლილებები უნდა შევიდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში. კერძოდ, პროექტი ითვალისწინებს უზენაესი სასამართლოს სტრუქტურის, უზენაესი სასამართლოს კოლეგიისა და მისი შემადგენლობის, ასევე, უზენაესი სასამართლოს პლენუმის რეფორმირებას.

კანონპროექტის ავტორები პარლამენტს ვთავაზობთ, მკაფიოდ გაიწეროს უზენაეს სასამართლოში საქმეების დასაშვებობის კრიტერიუმები, მოსამართლეთა რაოდენობა და მათი პროფესიული გამოცდილება. კერძოდ, შეთავაზებული კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა ორგანული კანონის საფუძველზე – 27 წევრით უნდა განისაზღვროს. მოქმედი რედაქციით კი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას თავად უზენაესი სასამართლოს პლენუმი განსაზღვრავს; პლენუმის გადაწყვეტილებით, დღეს უზენაეს სასამართლოში 16 მოსამართლე უნდა იყოს, თუმცა სასამართლოში 2 ვაკანტური თანამდებობა კვლავ რჩება. როგორც მოგეხსენებათ, პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ერთხმად აიჩია ქალბატონი ნინო გვენეტაძე. ვსარგებლობ შემთხვევით და გულითადად ვულოცავ მას ამ მნიშვნელოვან ნომინაციას და ვფიქრობ,

ქ-ნი ნინო ღირსეულად გაუძღვება დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრების პროცესს და ამ მიმართებით ადვოკატთა კორპუსი ოპტიმისტურად ვართ განწყობილი.

გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის არჩევის წესთან დაკავშირებით, კანონპროექტის ავტორებს მიგვაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის, ხოლო ადვოკატად ან/და პროკურორად საქმიანობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება.

გარდა ამისა, მართლმსაჯულების კომისიის წევრები მივიჩნევთ, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობის არაუმეტეს 1/4 შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, არის სამართლის დარგის გამოჩენილი სპეციალისტი და მისი პროფესიული გამოცდილება შეესაბამება უზენაესი სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს. ამით, კომისიამ ერთი მხრივ, ხაზი გაუსვა უზენაეს სასამართლოში გამოცდილი კადრების დანინაურების აუცილებლობას, ისე როგორც აკადემიური წრეების წარმომადგენლებისა და გამოჩენილი იურისტების უზენაეს სასამართლოში არჩევის შესაძლებლობას.

რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს პალატებს, გარდა დიდი პალატისა და სადისციპლინო პალატისა, ის მყარად განსაზღვრული კოლეგიებისაგან უნდა შედგებოდეს, რადგანაც მხარემ უნდა იცოდეს, თუ რომელი კოლეგიური შემადგენლობა იხილავს საკასაციო საჩივრებს. შესაბამისად, უნდა დასრულდეს ის მანკიერი პრაქტიკა, როცა კონკრეტული სპეციალიზაციის საქმის განხილვაში მონაწილეობენ სხვა პალატის და სპეციალიზაციის მოსამართლეები. კომისიის აზრით, თუ ამ კუთხით მნიშვნელოვანი რეფორმები არ გატარდა, კითხვის ქვეშ დადგება კანონიერი სასამართლო შემადგელობის პრინციპი და, შესაბამისად, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება გართულდება.

როგორ ფიქრობთ, რა მიმართულებებით არის საჭირო აქტიური მუშაობა სასამართლო სისტემაში, რა ძირითადი გამოწვევები დგას მის წინაშე?

სასამართლო ხელისუფლების წინაშე მნიშვნელოვანი გამოწვევებია, თუმცა, სამწუხაროა, რომ ამ სირთულეებზე, ძირითადად, ის ხალხი საუბრობს, რომელიც ნაკლებად არის საკითხის არსში გარკვეული და ხშირად ამ ადამიანების მსჯელობა ზედაპირული და არაპროფესიონალურია. მართლმსაჯულების სისტემა რთული სამართლებრივი ინსტიტუტია, რომლის ეფექტურად ორგანიზება დიდ ძალისხმევას და რესურსებს მოითხოვს. სამართლიანი სასამართლოს დამკვიდრება არ არის ერთჯერადი პროცესი, ეს არის ყოველდღიური შრომა და, თუ გინდათ, ბრძოლა იურიდიული პროფესიის, საზოგადოებისა და თავისუფალი მედიის აქტიური ჩართულობით. ჩვენი ისტორიის მანძილზე ჩვენ არ გვქონია დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ტრადიცია და ამ კუთხით საწყის ეტაპზე ვართ, თუმცა გვაქვს შანსი, რომ თუკი ამ პროცესებში პოლიტიკა არ ჩაერევა, დამოუკიდებელი სასამართლო ჩამოყალიბდება. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, უზენაესი სასამართლოს არც ერთ თავჯდომარეს, გარდა ბოლო თავმჯდომარისა, თავისი ათწლიანი სამოსამართლეო ვადა ბოლომდე არ ამოუწურავს და ვადაზე ადრე შეუწყდათ უფლებამოსილება. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ სასამართლოში მიმდინარე პროცესები პირდაპირ უკავშირდებოდა პოლიტიკურ ცვლილებებს, რაც არასწორია. ახლა გვაქვს შანსი, თუკი, რა თქმა უნდა, იქნება ამის ნება, პოლიტიკური პროცესები სამართლებრივ სიბრტყეში გადავიყვანოთ. ეს ძალიან დიდ საფრთხეს აგვაცილებს. სამწუხაროდ, საქართველოში ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა, პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება. ამ კუთხით, მგონი, უკვე მესამე წრეზე ვართ. ამ ტიპის გახმაურებული გამოძიებებისა თუ სასამართლო პროცესების მიმართ უამრავი კითხვა ისმის ქვეყნის შიგნითაც და უცხოეთშიც, ხომ არ

არის ამ დროს პროკურატურა მიკერძოებული? ადგილი ხომ არ აქვს პოლიტიკური ოპონენტების დევნას, ანდა შერჩევით მართლმსაჯულებას? ამ დროს სასამართლო ხელისუფლების სათავეში პოლიტიკური ნიშნით შერჩეული პიროვნების ყოფნა მთლიანად გამორიცხავს მსგავს საქმეებში მიუკერძოებულობისა და დამოუკიდებლობის რწმენას და, შესაბამისად, მართლმსაჯულების მიმართ ნდობას. ამიტომ ვაცხადებდით, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ უნდა შერჩეულიყო იურიდიული პროფესიიდან გამოსული მიუკერძოებელი პიროვნება, რომელიც არ იქნებოდა წინასწარ განწყობილი კონკრეტული საქმისა თუ პირის მიმართ და რომელსაც არ ექნებოდა პოლიტიკური ინტერესები. ვფიქრობ, პრეზიდენტმა, პარლამენტმა და მთლიანად იურიდიულმა საზოგადოებამ სწორად გააცნობიერა აღნიშნული მოთხოვნები და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალბატონი ნინო გვენეტაძის არჩევა ამ მაღალ პოსტზე იმედისმომცემ მოვლენად უნდა შევაფასოთ, რამაც სასამართლოს მიმართ ნდობა უნდა გაზარდოს. აქვე, პოლიტიკოსების მიმართ პატივისცემის მიუხედავად, მინდა, მათ მოვუწოდო, თავი შეკავონ მართლმსაჯულების პროცესებზე ზეგავლენისაგან და მისცენ საშუალება იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს, სწორად წარმართონ ეს სფერო.

თქვენი აზრით, დღეს რა პრობლემებია სასამართლო სისტემაში?

სასამართლოს დღეს დამოუკიდებლობისა და საზოგადოებრივი ნდობის პრობლემები აქვს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, სასამართლოზე სახელისუფლებო ზეგავლენა რეალურად შემცირდა, რაც ახალი ხელისუფლების აქტივში უნდა ჩაინეროს. თუმცა მარტო ამ ზეგავლენის შემცირება საკმარისი არ არის. სასამართლოზე გავლენა მარტო ხელისუფლების მხრიდან არ მოდის. ზენოლა შეიძლება, ბიზნესწრეებიდან ანდა მედიაჯგუფებიდან მომდინარეობდეს. სასამართლო დამოუკიდებლობისთვის, ასევე, სახიფათოა გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი თუ სტერეოტიპი. ადვოკატებს გვქონია შემთხვევები,

რომ ამა თუ იმ ადამიანზე საზოგადოების უდიდეს ნაწილს ჩამოყალიბებული აქვს კონკრეტული აზრი, რომ ის, მაგალითად, დამნაშავეა და ამ დროს საქმის მტკიცებულებები სხვა რამეს ადასტურებს, ანდა, პირიქით. ესეც მნიშვნელოვანი გამოწვევაა მოსამართლისთვის და მისი დამოუკიდებლობისათვის. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, ინდივიდუალურ მოსამართლეს შეექმნას სრული გარანტია და პირობები იმისა, რომ თავისუფალ გარემოში მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, მხოლოდ კანონზე და საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ამ მიმართულებით ბოლო ორი წლის განმავლობაში სასიკეთო ძვრებია, თუმცა სრულ დამოუკიდებლობასა და მაღალკვალიფიციურობამდე კიდევ დიდი გზაა გასავლელი. ჩვენი ძირითადი გამოწვევაა სწორედ ესაა – სასამართლო გახდეს დამოუკიდებელი, კვალიფიციური და პოლიტიკურად ნეიტრალური, რაც ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების წინაპირობაა და რაშიც ადვოკატები მნიშვნელოვანი როლის თამაშს ვაპირებთ.



ადვოკატი და ეთიკა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საქმეზე №103/13, 07.07.2014

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.08.2013

საჩივრის ავტორი: კლიენტი

საპროცესო კოლეგია: მესამე დისციპლინური კოლეგია (წინა მოწვევის ეთიკის კომისია)

შედეგი: დისციპლინური დევნის აღძვრა

სავარაუდო დარღვევა: სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით, კლიენტის სახსრების განკარგვის წესი

გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 04.12.2013

განხილვის კოლეგია: მესამე დისციპლინური კოლეგია (ახალი მოწვევის ეთიკის კომისია)

შედეგი: ადვოკატის მიმართ გამოყენებულია დისციპლინური სახდელი

გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 07.07.2014

1. ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

საჩივრის ავტორის განცხადებით, ზეპირი ხელშეკრულებისა და რწმუნებულების საფუძველზე, ადვოკატს უნდა წარმოედგინა ამხანაგობის ინტერესები სასამართლოში. საქმის სასამართლოში მოგების პირობით, ადვოკატმა მას საერთო ანაბრის სახით წინასწარ შეატანინა 49 785 ლარი. ანაბრის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ადვო-

კატმა და საჩივრის ავტორის შვილმა, ამხანაგობის ახალმა თავმჯდომარემ. ამხანაგობამ თბილისის სააპელაციო სასამართლოში დავა წააგო. ასეთი შედეგის შემდეგ, საჩივრის ავტორმა ადვოკატს გაუუქმა რწმუნებულება და მოსთხოვა ანაბარზე ხელმოწერის გაუქმება, რაზეც ადვოკატმა უარი განუცხადა. თანხა ისევ საერთო ანაბარზე, ადვოკატის განკარგულებაშია და იგი მას უკან არ აბრუნებს. საჩივრის ავტორს ორმაგი ხელმოწერის გამო ვერ გააქვს თანხა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მიერ ამხანაგობისთვის მი-

ყენებული ზიანი გამოიხატა იმაში, რომ ადვოკატმა წააგო საქმე და ახლა ადვოკატი საშუალებას არ აძლევს საჩივრის ავტორს, მიიღოს 49 785 ლარი.

ადვოკატის პოზიციით, აღნიშნულ თანხას არანაირი კავშირი არ აქვს ხსენებული სასამართლო პროცესის შედეგთან, ვინაიდან რამდენიმე დღის გარდა, ის საჩივრის ავტორს, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარეს, ისე წარმომადგენელს უცხოურ შპს-სთან ურთიერთობებში. ადვოკატს საჩივრის ავტორი შეუთანხმდა, საინვესტიციო პროექტის შემთხვევაში, მისი მოცულობის გათვალისწინებით, ანაზღაურების სახით – 30 000 აშშ დოლარზე, რაც შეადგენდა საინვესტიციო პროექტის ღირებულების – 3 000 000 აშშ დოლარის – 1 %-ს. ამხანაგობისთვის განეული წარმომადგენლობითი და იურიდიული მომსახურების შედეგად, განხორციელდა 3 000 000 აშშ დოლარის საინვესტიციო პროექტი, რომელიც გულისხმობდა მემორანდუმის, შეთანხმებების, კრების ოქმების, წესდების მომზადების 10-თვიან პროცესს. ეს არ ყოფილა ერთჯერადი მომსახურება. საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებული მომსახურების ანაზღაურება, მხარეთა შეთანხმების თანახმად, უნდა მომხდარიყო მშენებლობის დაწყებისთანავე, მანამდე კი მარწმუნებელს გადასახდელი თანხა უნდა განეთავსებინა რომელიმე ბანკში ერთობლივ ანგარიშზე. საჩივრის ავტორის მოთხოვნისამებრ, გადასახდელი თანხა განთავსდა ადვოკატისა და საჩივრის ავტორის შვილის (ამხანაგობის თავმჯდომარის) საერთო ანგარიშზე. 49 785 ლარი წარმომადგენელსა და საინვესტიციო პროექტის განხორციელების სამართლებრივი უზრუნველყოფის ღირებულებას და, შეთანხმების პირობების დადგომის გამო, მარწმუნებელი ვალდებული იყო ადვოკატისათვის გადაეხადა განეული მომსახურების საფასური.

2. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების შინაარსი

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ თუ საქმის განხილვის წესით გამოკვლევისას, დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი არ აწარმოებდა სრულ და

ზუსტ ჩანაწერებს საჩივრის ავტორის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით, ასევე, არ აწვდიდა კლიენტს ანგარიშგებას, ხოლო საადვოკატო მომსახურების ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ კლიენტს არ დაუბრუნა ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომლებიც კლიენტმა გადასცა ადვოკატს ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12, მე-13, მე-15 ნაწილები.

3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების შინაარსი

3.1. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

- ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობდა შეთანხმება და რწმუნებულება;
- ადვოკატსა და კლიენტს შორის არ არსებობს წერილობითი ხელშეკრულება და მისით განსაზღვრული საადვოკატო საქმიანობის საგანი, მისით დადგენილი უფლებები და მოვალეობები;
- ადვოკატსა და კლიენტს შორის საერთო დეპოზიტზე არსებული თანხა, რომლის გამოყენება მხოლოდ ორმხრივი ხელმოწერის დადასტურებით არის შესაძლებელი;
- ადვოკატის მიერ არ ყოფილა ნაწარმოები ფინანსური ანგარიშგება კლიენტისა და საერთო სადეპოზიტო თანხებისა;
- ადვოკატის მიერ საზღაურის მიღება ნაწილობრივ არ ხდებოდა დადგენილი წესით და არ ხდებოდა მისი დოკუმენტური აღრიცხვა. ასეთი დოკუმენტები, საბანკო ამონაწერები ან სხვა სახით წარმოდგენილი არ ყოფილა;
- ადვოკატმა არ გადასცა კლიენტს მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

3.2. ეთიკის კომისიის დისციპლინური კოლეგიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

- ადვოკატის მიერ კლიენტის საკითხის წამოჭრიდან გამომდინარე, სწრაფი ინფორმირება და კონსულტირება;
- ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებული შეთანხმების საგნის ზუსტი რაობა და გასანევი ურიდიული დახმარების ფარგლები;
- ადვოკატის დაპირება სამართლებრივ შედეგზე.

განხილვის კოლეგიამ მოცემული გარემოებები მიიჩნია სადავოდ, ვინაიდან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნდათ მოცემულ გარემოებებთან დაკავშირებით, თუმცა მოცემული გარემოებების დასადგენად, მხარეებს დამატებითი მტკიცებულება ან ინფორმაცია არ წარმოუდგენიათ.

4. სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით და კლიენტის სახსრების განკარგვის წესი.

ეთიკის კომისიის შეფასებით, საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე კლიენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მონესრიგებული სახით მინოდების ვალდებულებას. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მინდობასთან

დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ 2012 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე #004/12 დაადგინა, რომ

„კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების ან ქონების მინდობისას, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების კეთილსინდისიერად მართვა და მინდობილ ქონებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებების შესახებ კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია. ადვოკატმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული გულისხმობა კლიენტის მიერ მინდობილი ქონების მართვისას, რაც გულისხმობს მინდობილი ფულადი სახსრების ან ქონების საკუთარი ფულადი სახსრებისგან გამოცალკევებას და მათ მართვას კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან მოცემულ შემთხვევაში არსებობს კლიენტისათვის მატერიალური ზიანის მიყენების რისკი. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მართვის მინდობისას, კლიენტის ნდობა ეფუძნება არა მხოლოდ ადვოკატის პირად თვისებებს, არამედ მისი ადვოკატის პროფესიისადმი კუთვნილებას, რაც ადვოკატის მიერ უნდა იქნეს გამართლებული. ადვოკატის მიერ კლიენტისაგან მინდობილი ფულადი სახსრების პირადი მიზნებისთვის გამოყენება წარმოადგენს ადვოკატის მიერ როგორც კლიენტის პირადი ნდობის, ასევე პროფესიული ფიდეუციარული ვალდებულებების დარღვევას.“

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე #003/12 დაადგინა, რომ

„ადვოკატმა არ უნდა დაუშვას იმ ფულადი სახსრების დაყოვნება, რაიმე სახით საკუთარ ანგარიშზე თუ პირად სალაროში შენახვა, რომელიც არ წარმოადგენს ადვოკატის

ქონებას. კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისათვის, ამ უკანასკნელისათვის წარმოშობს ვალდებულებას, მინდობილი თანხა, კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა, შეძლებისდაგვარად, უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების განსახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხა თუ სხვა ქონება. ეთიკური ვალდებულებების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება ვრცელდება როგორც კლიენტის, ისე ადვოკატის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებზე. ადვოკატს არც ურთიერთობის დასრულების შემდეგ დაუბრუნებია კლიენტისათვის მისგან მინდობილი ფულადი სახსრები იმის გათვალისწინებით, რომ მას უფლება აქვს კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და განეული ხარჯი.

ადვოკატს, ზემოთ მოცემული უმოქმედობა/მოქმედებებით არ დაუცავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით გათვალისწინებული პროფესიული ქცევის წესები: ადვოკატმა არ გააკეთა ზუსტი ფინანსური ჩანაწერები კლიენტის თანხების შესახებ, მინდობილი თანხების მართვისას არ იხელმძღვანელა კეთილსინდისიერებით, ზუსტად არ განსაზღვრა და კლიენტთან არ შეათანხმა უფლებები ორმხრივი ფინანსური ბიუჯეტის განკარგვის ან ცალმხრივი პრეტენზიის შესახებ. ამასთან ერთად, არ არსებობდა კლიენტისათვის დოკუმენტების დაბრუნებაზე უარი მიზეზი, რადგან დოკუმენტები და მასში მოცემული ინფორმაცია კლიენტს უკავშირდება და მას ეკუთვნის. დოკუმენტები, კლიენტის მიერ მიწოდებული, ადვოკატის მიერ მოპოვებული ან ადვოკატის მიერ დამუშავებული საკითხის იურიდიული სახე ან ფორმაა, რომლის დანიშნულება ან ღირებულება კლიენტის ინტერესების გატარების პროპორციულია, ამასთან, საშუალებაა იმისა, რომ მიღწეული იქნას ის, რაც კლიენტის კანონიერ ინტერესებს ემსახურება. ადვოკატს არ გააჩნია მიზეზი, არ დაუბრუნოს კლიენტს დოკუმენტები. სხვა შემთხვევაში ივარაუდება საშუალებად, დაიყოლიოს კლიენტი ან აიძულოს იგი, იმოქმედოს მის სასარგებლოდ. აქაც ჩანს ადვოკატის ფინანსური არაპროპორციული ინტერესი.

პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილები არეგულირებს ადვოკატისთვის პროფესიულ ქცევას კლიენტის თანხების ანგარიშგებისა და კეთილსინდისიერად მართვის კუთხით. ეს რეგულაციები იცავს კლიენტს, გადახდილი ან მინდობილი ფულადი სახსრები არ იყოს არაპროპორციულად გახარჯული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე Nდს-შ/5-14) უცვლელი დარჩა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის რეკომენდაცია

კომპანიის იურისტზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის
ნორმების გავრცელების შესახებ

ეთიკის კომისიის შეადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ციცინო ცხვედიანი
კომისიის წევრები: ეკატერინე გასიტაშვილი, ზვიად კორძაძე,
პავლე აბაიძე, გიორგი ტურაბაშვილი,
გოჩა სვანიძე, თორნიკე ბაქრაძე,
ია გაბედავა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.11.2014

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 012/14

შეკითხვა:

ვრცელდება თუ არა კომპანიის იურისტზე სამართალწარმოების დროს ყველა „ეთიკური ნორმა“? თუ პასუხი დადებითია, რა დოზით ვრცელდება? კომპანიის იურისტი, ამავდროულად, მოქმედი ადვოკატია?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და განეწინააღმდეგება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.“

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2

მუხლი: „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების განწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ეთიკის კოდექსის

მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, რომელიც მოქმედებს ადვოკატის დავალებით, ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან.“

ადვოკატის ცნება განმარტებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვითაც: „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და განეწიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.“

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამომწურავად აყალიბებს ადვოკატის ცნებას და განსაზღვრავს, რომ:

1. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის მქონე პირი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებს და არა ზემდგომ პირს;
2. იმისათვის, რომ პირი ჩაითვალოს ადვოკატად, აუცილებელია, რომ იგი განეწიანებული იყოს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ ადვოკატებზე, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ პირი არ არის ადვოკატი და მას არ აქვს მინიჭებული საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, მასზე აღნიშნული ნორმატიული აქტების მოქმედება არ გავრცელდება.

იურისტი, რომელიც არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექცევა „ადვოკატთა

შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა – ადვოკატის, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის სტატუსი – გამოხატავს კონკრეტული პირის კავშირს ადვოკატთა ასოციაციასთან და ადვოკატთა ერთიან სიაში რიცხული მოქმედი ადვოკატები, რომელთაც არ აქვთ წევრობა შეჩერებული, ექვემდებარებიან ადვოკატთა პროფესიულ ეთიკურ ვალდებულებებს; სწორედ ადვოკატის სტატუსი წარმოშობს ვალდებულებას ადვოკატთა მრავალთასიანი კორპორაციის წინაშე, რომელიც შეესაბამება ეთიკის კოდექსში გაცხადებულ მაღალ მიზანს – თითოეულმა ადვოკატმა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს პროფესიისათვის მაღალი ნდობის მოსაპოვებლად.

ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმები გამოიყენება ადვოკატის როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის შემთხვევაში. ზოგადად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს კლიენტის სასარგებლოდ, თუმცა პროფესიის მაღალი სტანდარტებიდან და ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ადვოკატზე პროფესიული ეთიკის ნორმების მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს, არამედ მაშინაც, როცა ადვოკატი, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკა. ხოლო პროფესიული ეთიკა მოიცავს არა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობას, არამედ ადვოკატის სტატუსის მქონე პიროვნების ქმედებებსაც, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს პროფესიას. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია იზრუნოს პროფესიულ იმიჯზე და კორპორაციულ ავტორიტეტზე.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა შესაძლოა „არაორგანიზებულად“ განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა – მას მხოლოდ სთხოვონ რჩევა დამოუკიდებლად იმისა, შემდეგ გაფორმდება თუ არა მხარეთა შორის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, ან თანახმა იქნება თუ არა ადვოკატი, განახორციელოს ამ პირის წარმომად-

გენლობა. ამის მიუხედავად, ადვოკატზე პასუხისმგებლობა მაინც გავრცელდება, რადგან იგი ადვოკატის სტატუსის მატარებელი და პროფესიის წარმომადგენელია მას შემდეგ, რაც განწევრიანდა ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. ადვოკატზე პროფესიული ეთიკური ვალდებულებები ვრცელდება, თუ იკვეთება სამართლებრივი რჩევის მიცემა, პროფესიული დავალება თუ სხვა არაერთჯერადი დახმარება.

ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ შეკითხვის განმარტებიდან გამომდინარე, სარეკომენდაციო გადაწყვეტილებაში უნდა განიხილოს ის გარემოებებიც, როდესაც ადვოკატი არის სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე, ანუ საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება მას მინიჭებული აქვს სისხლის სამართლის დარგში და იმავდროულად მას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კომპანიასთან. ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი კომპანიას წარმოადგენს პირველი ინსტანციის ან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, როგორც კომპანიის იურისტი. ამ შემთხვევაში, ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, შესაძლოა დადგეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, კერძოდ, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელების ვალდებულების დაუცველობის საფუძვლით.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, რომელიც ეხება საადვოკატო საქმიანობას, ვრცელდება იურისტებზე, რომლებიც ირიცხებიან ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა ერთიან რეესტრში და წარმოადგენენ სამინისტროებს თუ კერძო კომპანიებს. ეთიკის კომისიის მოსაზრებით, ამ სტატუსის მქონე პირებზე უნდა გავრცელდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების რეგულაცია.

ეთიკის კომისია, რეკომენდაციის გაცემისას, ითვალისწინებს არსებულ პრაქტიკულ ტენდენციას, რომლის მიხედვით, კერძო იურიდიულ ფირმებში,

იურისტის მიღებისას, გახშირდა მოთხოვნა საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების მქონე იურისტებზე, რაც განპირობებულია იმ მიზეზით, რომ კომპანიას ალარ დასჭირდეს გარე იურისტის დახმარებით სარგებლობა და მისსავე თანამშრომელს შეეძლოს სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე კომპანიის ინტერესების წარმოდგენა. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ადვოკატთა ასოციაციის წევრად რიცხული ადვოკატის კომპანიის იურისტად დაქირავების მოთხოვნა, კომპანიის მიერ დაქირავებულ ადვოკატთა ასოციაციის წევრ იურისტთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება არ ცვლის ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებებს; რეკომენდაციის გაცემისას კომისია მიუთითებს, რომ უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებსაც უფორმდებათ შრომითი ხელშეკრულება და აღნიშნული სამსახურის იურისტებზეც, რომლებიც ირიცხებიან ადვოკატთა ერთიან სიაში, ვრცელდება პროფესიული ეთიკის მოთხოვნები.

პროფესიული ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ისეთ შემთხვევაზეც, როდესაც კომპანია უჩივის თავის იურისტს ეთიკის კომისიაში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მასთან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზეა დასაქმებული, იმავდროულად ადვოკატთა ასოციაციის წევრია.

ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხულ ყველა ადვოკატზე, რომელიც ახორციელებს საქმიანობას როგორც კომპანიის იურისტი და სხვ., ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები. ამ დროს ადვოკატთა ასოციაციისათვის კომპანიის იურისტის კლიენტს წარმოადგენს მისი დაქირავებული. ამ ვითარებიდან გამონაკლის შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს ვითარება, როდესაც კომპანიის იურისტს შრომით ხელშეკრულებაში უწერია, რომ დაქირავებულია მხოლოდ იურისტად.

ეთიკის კომისია, რეკომენდაციის გაცემისას, ითვალისწინებს ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ მიდგომებს ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. აღნიშნულ მიდგომებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კომპანიის იურისტებს მოეთხოვებათ იყვნენ ადვოკატთა ასოციაციის წევრები და, შესაბამისად, დაიცვან ადვოკატთა ქცევის ის წესები, რომლებიც შესაძლოა, მოეთხოვოს კომპანიის იურისტს კონკრეტულ შემთხვევაში. მაგალითად, ადვოკატის ანაზღაურების მარეგულირებელი ნორმები ამ შემთხვევაში არ გამოიყენება, რადგან ისინი კომპანიაში იღებენ ხელფასს, როგორც თანამშრომლები – დაქირავებული მუშაკები. შესაძლებელია, აღნიშნული იურისტი ასრულებდეს კომპანიის მხოლოდ შიდა სამუშაოს: დოკუმენტების შედგენა, ხელშეკრულებაზე მუშაობა, სამუშაო პროცესის კანონთან შესაბამისობა და ა.შ. თუმცა, როდესაც კომპანიის იურისტი გამოდის სასამართლოში კომპანიის ინტერესებისათვის, მან უნდა დაიცვას ქცევის წესები მონინაალმდეგე მხარის ადვოკატთან, მონმესთან და სასამართლოსთან მიმართებით. აშშ-ის მიდგომის მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში კომპანიის იურისტი ვალდებულია დაიცვას ეთიკის ნორმები იმ ფარგლებში, რაც შეესაბამება კომპანიის იურისტის როლს.

რაც შეეხება ევროპულ მიდგომას, კომპანიის იურისტებისათვის არსებობს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს კონკრეტულად მათ ქმედებებს. კოდექსში განწერილი ვალდებულებები მსგავსია ადვოკატთა ეთიკური ვალდებულებებისა და შეეხება კვალიფიციურობას, კონფიდენციალურობას, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობას და ა.შ.

ეთიკის კომისიამ 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №002/14, განმარტა: „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი მიზნიდან გამომდინარე, პირს, რომელიც არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატის სტატუსი ბოჭავს იმ პროფესიული სტანდარტით, რომელიც მას ეკისრება, როგორც არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის წინაშე, არამედ, როგორც პროფესიის წარმომადგენელს. ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს არა მხოლოდ კლიენტის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობას, არამედ პროფესიისადმი საზოგადოების მხრიდან პატივისცემასა და სანდოობის მოპოვებას (იხ. ეთიკის კოდექსის პრეამბულა)...“

ადვოკატის სტატუსის მქონე პირისაგან საზოგადოების მოლოდინი და პროფესიისადმი სანდოობა მოიცავს იმგვარ დამოკიდებულებას ეთიკური ვალდებულებისადმი, როდესაც პირს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა არა მხოლოდ მარწმუნებლის (ყოფილი მარწმუნებლის), არამედ საზოგადოებისა და საკუთარი პროფესიის წინაშე. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კლიენტი, მარწმუნებელი, რომელსაც სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციას უწევს, სასამართლოში წარმოადგენს თუ სხვა სახის იურიდიულ რჩევას აძლევს პროფესიით ადვოკატი, მოელის ამ უკანასკნელისაგან კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას.“

დასკვნა:

ეთიკის კომისიის განმარტებით, კომპანიის იურისტზე ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, თუკი იურისტი ირიცხება ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია, იგი გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.



ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი



ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის სამოქმედო გეგმა 2015 წელი

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრმა შეიმუშავა 2015 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც:

- გათვალისწინებულია სწავლების მეთოდოლოგიის განვითარება;
- უნდა განისაზღვროს სწავლების წესები;
- უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო ღონისძიებების თემები, საკითხების აქტუალობისა და ადვოკატების საჭიროებების გათვალისწინებით;
- ორგანიზებული უნდა იქნეს სპეციალიზირებული კურსები;
- უნდა განახლდეს სასწავლო მოდულები და შემუშავდეს ახალი;
- გამოყენებული უნდა იქნეს დისტანციური სწავლების მეთოდოლოგია;
- განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ორგანიზებული უნდა იქნეს 200-250 ტრენინგი;
- სწავლების პროცესებში ხელი უნდა შეეწყოს ადვოკატთა მოტივაციის გაზრდას;
- ახლად განვერიანებული ადვოკატებისთვის უნდა შემუშავდეს სწავლების სისტემა;
- ორგანიზებული უნდა იქნეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებისა და გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსები;
- უნდა განვითარდეს სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- უნდა მოხდეს საგრანტო შესაძლებლობების იდენტიფიცირება და მომზადდეს და პროექტები.

განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, 2015 წლის აპრილში დაგეგმილი ტრენინგების თემატიკა:

- ადვოკატთა პროფესიული ეთიკა (2015 წლის სასწავლო მოდული);
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის შიდა სახლმნიფოებრივ დონეზე გამოყენება;
- ადვოკატის როლი მედიაციის პროცესში;
- კრედიტის უზრუნველყოფის სამუალებები, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით;
- მტკიცებითი პროცესის პრობლემური საკითხები სამოქალაქო სამართალწარმოებაში;
- ბრალეული და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში;
- ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხები;
- საავტორო უფლებები;
- სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ტექნიკა;
- გადახდისუნარიობის საქმის წარმოება.

აკრედიტებული ტრენინგების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებგვერდზე edu.gba.ge

რეგისტრაციისთვის დაგვიკავშირდით:
 (+995 32) 2987878 / 555070786 /
 555010605 / 555007708
sascavlocentri@gba.ge / education@gba.ge

საეციალიზირებული კურსები ადვოკატებისთვის

2015 წლის სექტემბრიდან ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი გეგმავს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე სპეციალიზირებული კურსების ორგანიზებას. 2015 წლის განმავლობაში, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, კურსებს გაივლის კონკურსის შედეგად შერჩეული 210 ადვოკატი. კურსის მონაწილეები შეისწავლიან: საკანონმდებლო ცვლილებებს, საერთაშორისო სტანდარტებს, ფსიქოლოგიურ ასპექტებსა და დაზარალებული/მონმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის სტრუქტურირებულ მეთოდებს.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები

2015 წლის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაცია გამოცხადდა მიმდინარე წლის 2 თებერვალს და გაგრძელდა 27 თებერვლამდე. გამოცდაზე დარეგისტრირდა 621 აპლიკანტი, აქედან: სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის განხრით – 315, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით – 176 და საერთო სპეციალიზაციით – 130 აპლიკანტი.

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსები

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი ორგანიზებას უწევს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსებს. მოსამზადებელი კურსი ითვალისწინებს გამოცდის თეორიული მასალის, უახლესი საკანონმდებლო ცვლილებებისა და ტესტის ამოხსნის მეთოდების შესწავლას. მიმდინარე წელს მოსამზადებელ კურსებზე დარეგისტრირდა 54 მონაწილე. მოსამზადებელ კურსებზე ლექციებს გაუძღვებიან მოწვეული ლექტორები: ირმა ხარშილაძე, ზურაბ ძლიერიშვილი, მაია ახალაძე, ლევან ჯანაშია, ბესარიონ ბოხაშვილი, ირაკლი დვალაძე, ნინო ბოჭორიშვილი და ბესიკ მეურმიშვილი.



სასამართლო პრაქტიკა



ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

საქმე: „ვილე ლიხტენშტეინის წინააღმდეგ“
(განაცხადი no. 28396/95)
სტრასბურგი
28 ოქტომბერი, 1999

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

6. 1992 წელს ლიხტენშტეინის პრინცს [...] ჰანს ადამ მეორესა („პრინცი“) და ლიხტენშტეინის მთავრობას შორის პოლიტიკურ კომპეტენციებთან დაკავშირებით, რომელიც ევროპის ეკონომიკურ ზონაში ლიხტენშტეინის განევრიანების პლებისციტს უკავშირდებოდა, უთანხმოება წარმოიშვა. ამ დროისთვის განმცხადებელი იყო ლიხტენშტეინის მთავრობის წევრი. 1992 წლის 28 ოქტომბერს პრინცსა და მთავრობის წევრებს შორის მომხდარი უთანხმოების შემდეგ, საკითხი გადაწყდა პრინცის, ლანდტაგისა (პარლამენტის) და მთავრობის საერთო განცხადებით.

7. 1993 წლის მაისში, არჩევნებისა და ახალი ლანდტაგის შეკრების შემდეგ, პრინცსა და მთავრობას შორის გაიმართა დისკუსია სხვადასხვა კონსტიტუციურ საკითხზე. ამ დროისთვის განმცხადებელი მთავრობის წევრი უკვე აღარ იყო. განმცხადებელს მონაწილეობა არ მიუღია 1993 წლის მაისის არჩევნებში და 1993 წლის დეკემბერში განსაზღვრული ვადით დაინიშნა ლიხტენშტეინის ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტად.

8. 1995 წლის 16 თებერვალს, კონსტიტუციური იურისდიქციისა და ფუნდამენტური უფლებების შესახებ ლექციების სერიების კონტექსტში, განმცხადებელმა ჩაატარა ლექცია ლიხტენშტეინ-ინსტიტუტში, კვლევით ინსტიტუტში, „ლიხტენშტეინის საკონსტიტუციო სასამართლოს მახასიათებლისა და ფუნქციების შესახებ“. ლექციის მსვლელობისას, განმცხადებელმა გამოთქვა აზრი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იყო კომპეტენტური ორგანო, რომელსაც შეეძლო „კონსტიტუციის ინტერპრეტაცია პრინცსა (მთავრობა) და ლანდტაგს (პარლამენტს) შორის უთანხმოების არსებობის შემთხვევაში“.

9. 1995 წლის 17 თებერვალს გაზეთმა Liechtensteiner Volksblatt-მა დაბეჭდა სტატია განმცხადებლის ლექციის შესახებ და აღნიშნა, inter alia, მისი შეხედულებები საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციების შესახებ.

10. 1995 წლის 27 თებერვალს პრინცმა აღნიშნული ლექციის შესახებ, როგორც ის გაშუქებული იყო Liechtensteiner Volksblatt-ის სტატიაში, განმცხადებელს წერილი მისწერა.

11. წერილი, რომელიც სამეფო ჰერალდიკის შემცველ ფურცელზე იყო დაწერილი, შემდეგი შინაარსის იყო:

„ვადუცის სასახლე, 27 თებერვალი, 1995
 დოქტორ ჰერბერტ ვილეს
 ლიხტენშტეინის ადმინისტრაციული სასა-
 მართლოს პრეზიდენტს
 [განმცხადებლის პირადი მისამართი]

ბატონო,
 მე ძალიან გაკვირვებული დავრჩი *Liechtensteiner Volksblatt*-ის 17 თებერვლის გამოცე-
 მაში სტატიის წაკითხვით, რომელიც თქვენ
 მიერ ჩატარებულ ლექციას, „ლიხტენშტეინის
 საკონსტიტუციო სასამართლოს მახასიათებ-
 ლებს და ფუნქციებს“ ეხებოდა. მე ჩავთვა-
 ლე, რომ თქვენ მიერ გაკეთებული კომენტა-
 რი სასამართლოს კომპეტენციების შესახებ,
 განსაკუთრებით კი ის, რომ საკონსტიტუციო
 სასამართლოს, როგორც კანონის ინტერპ-
 რეტაციის უფლების მქონე სასამართლოს,
 შეიძლება მიმართონ პრინცსა და ხალხს შო-
 რის უთანხმოების შემთხვევაში, სწორად იყო
 გადმოცემული გამოცემის სტატიაში.

თქვენ უდავოდ გემახსოვრებათ განხილვა, რო-
 მელიც მთავრობასა და ჩემ შორის მოხდა 1992
 წლის 28 ოქტომბრამდე, რომელსაც თქვენც
 ესწრებოდით, როგორც მთავრობის ხელმძღ-
 ვანელის მოადგილე. მე მაშინ, ვადუცის სასახ-
 ლეში განხილვისას, მთავრობის ყურადღება
 გავამახვილე იმ ფაქტზე, რომ ის (მთავრობა)
 კონსტიტუციას არ ემორჩილებოდა და წავი-
 კითხე შესაბამისი მუხლები კონსტიტუციი-
 დან. თქვენ მიპასუხეთ, რომ არ ეთანხმებოდით
 (მსგავსი შინაარსის სიტყვებით) კონსტიტუცი-
 ის ამ ნაწილს და შესაბამისად, თავს ვალდე-
 ბულად არ თვლიდით, დამორჩილებოდით მას.
 რადგან მთავრობის სხვა წევრები თქვენ არ
 შეგენინალმდეგნენ, მე იძულებული ვიყავი ჩა-
 მეთვალა, რომ მთლიანი მთავრობა იზიარებდა
 ამ პოზიციას, რომ ორი ინსტიტუტი, რომელ-
 თაც აქვთ უზენაესი ძალაუფლება, პრინცი და
 ხალხი, კონსტიტუციის და კანონების ფარგ-
 ლებში უნდა მოქმედებდნენ, მაგრამ არა მთავ-
 რობის წევრები, რომელთაც ფიცი აქვთ დადუ-
 ბული, რომ კონსტიტუციას დაიცავენ.

თქვენი განცხადება იმ დროისთვის და მთავ-
 რობის პოზიცია უკიდურესად ამპარტავნულად
 ჩავთალე და ამიტომ მთავრობას გარკვევით შე-
 ვატყობინე, რომ მან ჩემი ნდობა დაკარგა. კომ-
 პრომისის შედეგად, რომელიც, საბედნიეროდ,
 შედგა ერთი მხრივ, ლანდტაგსა და მთავრობას
 და მეორე მხრივ, ჩემ შორის, მე განვაცხადე, რომ
 კვლავ მქონდა მთავრობის ნდობა, და ეს გავაკუ-
 თე იმ იმედით, რომ მთავრობის ინდივიდუალურ-
 მა წევრებმა გაანალიზეს, რომ მათ გაუმართლე-
 ბელი პოზიცია ჰქონდათ ჩვენი კონსტიტუციის
 მიმართ და ახლა აღიარებდნენ, რომ ისინი ვალ-
 დებულები იყვნენ, დაეცვათ კონსტიტუცია. ისე-
 ვე, როგორც მე დავნიშნავდი ბატონ ბრუნჰარტს
 მთავრობის ხელმძღვანელად, თუ მისი პარტია
 გაიმარჯვებდა არჩევნებში, მე დავნიშნეთ ად-
 მინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტად,
 ლანდტაგის რეკომენდაციის საფუძველზე.

სამწუხაროდ, *Liechtensteiner Volksblatt*-ის სტა-
 ტიის წაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ თქვენ
 კვლავ არ თვლით თავს ვალდებულად, კონს-
 ტიტუციას დაემორჩილოთ და გაქვთ შეხედუ-
 ლებები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება
 კონსტიტუციის სულისკვეთებას. ყველა, ვინც
 წაკითხავს კონსტიტუციის შესაბამის მუხლებს,
 დაინახავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს
 არ აქვს კომპეტენცია, გადანყვიტოს უთანხმოე-
 ბა ხალხსა (ლანდტაგი) და პრინცს შორის. ჩემი
 აზრით, დოქტორო ვილეს, თქვენი პოზიცია შე-
 უფერებელს გხდით საჯარო სამსახურისთვის.
 არ ვაპირებ თქვენთან გრძელ საჯარო ან კერძო
 დისკუსიაში ჩართვას, მაგრამ მსურს შეგატყობო-
 ნოთ, რომ მომავალში არ ვაპირებ საჯარო სამსა-
 ხურში თქვენს დანიშვნას, იქნება ეს ლანდტაგის
 თუ სხვა რომელიმე ინსტიტუტის რეკომენდა-
 ციით. მე იმედი მაქვს, რომ გადანყვიტოების
 მიღებისას, როგორც ადმინისტრაციული სასა-
 მართლოს პრეზიდენტი, თქვენ დაემორჩილებით
 კონსტიტუციასა და სხვა კანონებს.

პატივისცემით,
 ჰანს ადამ მეორე
 ლიხტენშტეინის პრინცი“

12. 1995 წლის 9 მარტს, განმცხადებელმა წერილის საშუალებით შეატყობინა ლანდტაგის პრეზიდენტს 1995 წლის 27 თებერვლის წერილის შესახებ. მან უარყო განცხადება, თითქოს ის თავს ვალდებულად არ თვლის დამორჩილებოდა კონსტიტუციას ან მის რომელიმე ნაწილს. მან ასევე ახსნა თავისი კვლევა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციებზე. მისი თქმით, აზრის გამოხატვა, რომელსაც პრინცი არ ეთანხმება, არ შეიძლება ჩაითვალოს კონსტიტუციის დაუმორჩილებლობად. თუმცა, პრინციის მიერ გამოტანილი დასკვნით, რომელიც მან წერილში გამოხატა, ეჭვქვეშ დადგა მისი, როგორც ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტის, თანამდებობა. ლანდტაგის პრეზიდენტმა შეატყობინა განმცხადებელს, რომ ლანდტაგმა განიხილა აღნიშნული საკითხი პარლამენტში და ერთხმად მივიდა დასკვნამდე, რომ მის მიერ ლექციის ფარგლებში სამართლებრივი აზრის გამოხატვის გამო, განმცხადებლის სამსახური ეჭვქვეშ არ დამდგარა.

13. 1995 წლის 20 მარტს განმცხადებელმა პრინცს, 1995 წლის 27 თებერვლის წერილის საპასუხოდ, მისწერა წერილი და თან დაურთო მის მიერ ლანდტაგის პრეზიდენტისთვის მიწერილი წერილის ასლი. მან წერილში ახსნა, რომ მისი, როგორც იურისტის მოსაზრება იყო, რომ მისი განცხადებები 1995 წლის 16 თებერვლის ლექციაზე, კონკრეტულად კი ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდა კომპეტენცია მოეხდინა კონსტიტუციის ინტერპრეტაცია პრინცსა და ხალხს (ლანდტაგს) შორის უთანხმოების არსებობის შემთხვევაში, იყო მართალი და კონსტიტუციას არ არღვევდა. განმცხადებელმა მიუთითა, რომ პრინციის განცხადება, რომ ის არ აპირებდა მომავალში განმცხადებლის საჯარო სამსახურში დანიშნას, წარმოადგენდა მისი აზრისა და გამოხატვის თავისუფლებების შეზღუდვას, რაც დაცულია კონსტიტუციითა და ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით. [...]

14. 1995 წლის 4 აპრილის საპასუხო წერილში პრინცმა აღნიშნა, რომ ბატონმა ვილემ 1995 წლის 27 თებერვლის წერილი ადამიანების დიდ ჯგუფს გაუზიარა. პრინცმა აღნიშნა, რომ ბატონი ვილესთვის პერსონალური წერილის გაგზავნით, მისი მი-

ზანი იყო საჯარო დებატის თავიდან აცილება[...]. მისი აზრით, გრძელი საჯარო დისკუსია ბატონი ვილეს კვალიფიკაციაზე, დაეკავებინა მოსამართლის პოზიცია, მიუღებელი იყო, რადგან ბატონი ვილე კვლავ ამ პოზიციაზე რჩებოდა და პრინციის კრიტიკა არ იყო მიმართული ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებებისკენ, არამედ ბატონი ვილეს კონსტიტუციისადმი ზოგადი დამოკიდებულებისკენ.

15. პრინცმა აღნიშნა, რომ მისი დისკრეციის საკითხი იყო, დანიშნავდა თუ არა კანდიდატს საჯარო სამსახურში და ის ვალდებული არ იყო გაეცხადებინა მისი გადაწყვეტილებების მიზეზები. თუმცა, რადგან ის ბატონ ვილეს დიდი ხნის განმავლობაში იცნობდა, მან ჩათვალა, რომ უნდა განემარტა მის შესახებ გადაწყვეტილების მიზეზები. ამასთან, გადაწყვეტილება, აღარ დაენიშნა ის ერთ-ერთი უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტად მის მიერ გამოხატული აზრის გამო, არ წარმოადგენდა ბატონი ვილეს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებების შეზღუდვას. ყველა მოქალაქეს აქვს უფლება წამოაყენოს შემოთავაზება კონსტიტუციის ან რაიმე სხვა საკანონმდებლო ცვლილების შესახებ. თუმცა, ბატონი ვილე, მთავრობის წევრობისას და შემდეგ, ლექციის ჩატარების დროს, არ იყენებდა ამ კონსტიტუციურ და დემოკრატიულ უფლებას, არამედ უბრალოდ უგულებელყოფდა კონსტიტუციის იმ ნაწილს, რომელსაც ის არ ეთანხმებოდა.

16. პრინცმა ასევე ახსნა, რომ კონსტიტუციის ნაწილი, კონკრეტულად კი მუხლი 112, ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას კონსტიტუციის ინტერპრეტაციაში მთავრობასა და ლანდტაგს შორის უთანხმოების შემთხვევაში. ტერმინების „მთავრობა“ და „ლანდტაგი“ აღრევა ტერმინებში „პრინცი“ და „ხალხი“, როგორც ეს ბატონმა ვილემ გააკეთა, კანონის უზენაესობას დააყენებდა ეჭვქვეშ. როგორც სახელმწიფოს მეთაური, ის ვალდებული იყო დაეცვა კონსტიტუციური წყობა და ხალხის დემოკრატიული უფლებები. ის ვერ შეასრულებდა თავის მოვალეობებს პირნათლად, თუ დანიშნავდა სასამართლოს ერთ-ერთ უმაღლეს პოზიციაზე ადამიანს, რომელიც მისი განცხადებები-

სა და მიდგომების საფუძველზე, არ იყო მზად დაცვა კონსტიტუცია.

17. 1995 წლის 2 ივნისს პრინცმა გაუგზავნა განმცხადებელს, ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტს, ლია წერილი, რომელიც ლიხტენშტეინის გაზეთებში დაიბეჭდა. პრინცმა აღნიშნა, რომ ბატონმა ვილემ საჯარო გახადა მისი 1995 წლის 27 თებერვლის წერილის ნაწილი. რადგან ამან გამოიწვია სხვადასხვა კომენტარი, პრინცი აუცილებლად მიიჩნევდა, მისი პოზიცია ღია წერილის საშუალებით აეხსნა.

18. მისი აზრით, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ დემოკრატიულ ქვეყანაში, განსხვავება უნდა არსებობდეს გამოხატვის თავისუფლებასა და იმ საშუალებებს შორის, რომელთაც იყენებს ინდივიდი, თავისი აზრების საზოგადოებისთვის თავს მოხვევისთვის. ამ მხრივ, ადამიანმა პატივი უნდა სცეს კონსტიტუციასა და სტატუტებში განერილ წესებს. პრინცმა აღნიშნა, რომ ბატონი ვილეს, როგორც მოსამართლის, უფლება იყო გამოეხატა აზრი, რომ მონარქია აღარ იყო სასარგებლო; [...] რომ პრინცი უნდა ემორჩილებოდეს ლიხტენშტეინის იურისდიქციას; და რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიეცეს დამატებითი უფლებამოსილება. თუმცა, ბატონ ვილეს არ ჰქონდა უფლება თავი კონსტიტუციაზე მალა დაეყენებინა ან წაექეზებინა საკონსტიტუციო სასამართლო, რომ მიეთვისებინა კომპეტენცია, რომელიც კონსტიტუციით არ არის გათვალისწინებული. [...]

19. პრინცმა, ასევე, ახსენა 1992 წლის შემოდგომის პოლიტიკური მოვლენები და ბოლოს, აღნიშნა, რომ 1995 წლის 17 თებერვალს ლიხტენშტეინის გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის საფუძველზე, ის იძულებული იყო დაესკვნა, რომ ბატონი ვილე აგრძელებდა თავისი თავის კონსტიტუციაზე მალა დაყენებას. მან ახსენა, რომ, შესაბამისად, ის ეცადა, რაც შეიძლება ადრე შეეტყობინებინა ბატონი ვილესთვის პერსონალურ წერილში, რომ მომავალში მის საჯარო სამსახურში დანიშვნას არ აპირებდა.

20. 1997 წლის გაზაფხულზე განმცხადებელს ამოეწურა ადმინისტრაციული სასამართლოს პრე-

ზიდენტის ოფისის ვადა. 1997 წლის 14 აპრილს ლიხტენშტეინის ლანდტაგმა გადაწყვიტა, კვლავ წამოეყენებინა განმცხადებლის კანდიდატურა ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტობის პოზიციაზე.

21. 1997 წლის 17 აპრილის წერილში ლანდტაგის პრეზიდენტის მიმართ, პრინცმა უარი განაცხადა მიეღო განმცხადებლის კანდიდატურა. მან ახსენა, რომ ბატონ ვილესთან მისი გამოცდილების საფუძველზე ის დარწმუნდა, რომ ბატონი ვილე თავს ვალდებულად არ თვლიდა, დამორჩილებოდა ლიხტენშტეინის კონსტიტუციას. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ის, როგორც სახელმწიფოს მეთაური, ვერ შეასრულებდა თავის მოვალეობას პირნათლად, თუ ბატონ ვილეს ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტად დანიშნავდა. პრინცმა, ასევე, აღნიშნა, რომ ბატონს ვილეს, როგორც ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეს, მისი პროფესიული კვალიფიკაციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი დამსახურება ჰქონდა სასამართლოს წინაშე, და რომ მისთვის (პრინცისთვის), გარკვეულწილად, გასაგები იყო მისი კანდიდატურის წამოყენება. თუ ლანდტაგი არ იზიარებდა მის აზრს ბატონი ვილეს შესახებ, მას (ლანდტაგს) შეეძლო აერჩია ის ადმინისტრაციული სასამართლოს ასოცირებულ მოსამართლედ.

22. განმცხადებელი დღეისთვის მუშაობს ლიხტენშტეინის ინსტიტუტის მკვლევარად.
[...]

კანონმდებლობა

I. კონვენციის მეათე მუხლის სავარაუდო დარღვევა

35. განმცხადებელმა იჩივლა, რომ მის მიერ, 1995 წლის 16 თებერვალს ლიხტენშტეინის ინსტიტუტში კონსტიტუციურ კანონმდებლობაზე გამართული ლექციის ფარგლებში გამოხატული აზრის გამო, 1995 წლის 16 თებერვალს, ლიხტენშტეინის მონარქმა, მისმა უდიდებულესობამ პრინც ჰანს ადამ

მეორემ, მისთვის მიწერილ წერილში განაცხადა, რომ მას საჯარო სამსახურში აღარ დანიშნავდა. ის თვლის, რომ ეს წარმოადგენს კონვენციის მეათე მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების დარღვევას. [...]

A. მეათე მუხლის შესაბამისობის შესახებ

36. განმცხადებლის აზრით, პრინციის გადაწყვეტილება, რომ მომავალში არ დაენიშნა იგი საჯარო სამსახურში, მიუხედავად იმისა, იქნებოდა მისი კანდიდატურა წარმოდგენილი ლანდტაგის თუ ნებისმიერ სხვა ინსტიტუტის მიერ, რაც გამოხატული იყო პრინციის 1995 წლის 27 თებერვლის წერილში, წარმოადგენდა პირდაპირ რეაქციას მის აკადემიურ ლექციაზე, რომელიც მან რამდენიმე დღით ადრე ჩაატარა და არ ჩაითვლებოდა სხვა არაფრად, თუ არა მის სამართლებრივ მოსაზრებაზე სანქციად. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ იცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს წვდომა საჯარო სამსახურზე, მეათე მუხლი ვრცელდება საჯარო მოსამსახურეებზეც.

37. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლის ლექცია და პრინციის რეაქცია, გამოხატული 1995 წლის 27 თებერვლის წერილში, უნდა განხილულიყო ლიხტენშტეინში პრინციის უფლებამოსილების შესახებ მიმდინარე პოლიტიკური დებატის გათვალისწინებით, და არა იზოლირებულად. 1992 წელს უთანხმოება იყო პრინცსა და მთავრობას შორის, ევროპის ეკონომიკურ ზონაში შესვლის შესახებ რეფერენდუმის თარიღთან დაკავშირებით. განმცხადებელი მაშინ ლიხტენშტეინის მთავრობის წევრი, მთავრობის ხელმძღვანელის მოადგილე და სამართლებრივი პორტფოლიოს ხელმძღვანელი იყო. უთანხმოების მსვლელობისას, განმცხადებელმა გამოთქვა აზრი, რომ კონსტიტუციის 112-ე მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს ჰქონდა ძალაუფლება, მოეხდინა კონსტიტუციის ინტერპრეტაცია, თუ პრინცი და ლანდტაგი ვერ შეთანხმდებოდნენ. იმავდროულად, ლანდტაგი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში საკანონმდებლო ცვლილების პროექტს

ამზადებდა. მისთვის დართულ განმარტებით ბართში განმცხადებელი გამოთქვამდა იმავე აზრს. ორივე შემთხვევაში პრინცი პირდაპირ შეენიშნა დეგა განმცხადებელს. მიუხედავად ამისა, 1993 წლის დეკემბერში პრინცმა განმცხადებელი დანიშნა ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტის თანამდებობაზე. შესაბამისად, პრინციის წერილი გამოხატავდა პრინციის იმედგაცრუებას და გაკვირვებას, რომ განმცხადებელმა, მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციის შესახებ მიღწეული კომპრომისისა, ჩაატარა საჯარო გამოსვლა ამ საკითხზე, იმის გათვალისწინებით, რომ იცოდა, პრინცი მის მიერ გამოთქმულ აზრს არ დაეთანხმებოდა.

38. 1995 წლის 27 თებერვალს პრინციის მიერ გაგზავნილი წერილი იყო პერსონალური წერილი, არ იყო განკუთვნილი ფართო საზოგადოებისთვის და გაგზავნილი იყო განმცხადებლის კერძო მისამართზე. ის არ წარმოადგენდა სახელმწიფოს ქმედებას, არამედ შეტყობინებას მომავალში გადაწყვეტილების მიღების სურვილის შესახებ. წერილს არ ჰქონია პირდაპირი გავლენა განმცხადებლის ლეგალურ სტატუსზე. ის არ გაუთავისუფლებიათ სამსახურიდან, არც მის პროფესიულ აქტივობას არ შეშლია ხელი, ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტობის ფარგლებში. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრინციის წერილი აღქმული იქნა როგორც სახელმწიფოს ქმედება, კონვენცია ამ საქმეს ვერ შეეხება. რადგან სანქციას წარმოადგენდა განმცხადებლის კონკრეტულ საჯარო თანამდებობაზე არ დანიშვნა, ის არ შეეხებია განმცხადებლის არც ერთ უფლებას, რადგან არ არსებობს საჯარო სამსახურში დანიშვნის უფლება, არც ლიხტენშტეინის კანონმდებლობით და არც კონვენციის მიხედვით. მეათე მუხლი არ ეხება იმ საქმეებს, რომლებშიც ცენტრალური საკითხი საჯარო სამსახურში მუშაობის უფლებაა.

39. კომისია არსებითად დაეთანხმა განმცხადებელს. მან დაადგინა, რომ პრინციის გადაწყვეტილება, არ დაენიშნა განმცხადებელი მომავალში საჯარო სამსახურში, როგორც ეს 1995 წლის 27 თებერვლის წერილში გამოიხატა, წარმოადგენ

და განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, რაც დაცულია კონვენციის მეათე მუხლით.

40. სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას მი-
აქცევს მთავრობის არგუმენტს, რომ საქმე არსე-
ბითად ეხება საჯარო სამსახურისადმი წვდომას,
უფლებას, რომელიც კონვენციით არ არის გარან-
ტირებული.

41. ამ მხრივ, სასამართლო აცხადებს, რომ ადა-
მიანის უფლება, იმუშაოს საჯარო სამსახურში,
მიზანმიმართულად არ იქნა შეტანილი კონვენცი-
აში. შესაბამისად, ადამიანის საჯარო სამსახურში
არდანიშვნა ვერ გახდება საჩივრის საფუძველი
კონვენციის ფარგლებში. თუმცა, ეს არ ნიშნავს,
რომ საჯარო მოხელე, რომელიც სამსახურიდან
გათავისუფლეს, ვერ იჩივლებს სამსახურიდან
გათავისუფლებაზე, თუ ეს გათავისუფლება კონ-
ვენციით გათვალისწინებულ მის უფლებას არღ-
ვევს. საჯარო მოხელეები კონვენციის მიღმა არ
არიან. [...]

42. შესაბამისად, საჯარო მოსამსახურის სტატუსის
მიღებისას, რომელიც მან მიიღო ლიხტენშტეინის
ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტად
დანიშვნისას, განმცხადებელს არ დაუკარგავს მეთ-
თე მუხლით გათვალისწინებული უფლებები.

43. იმისთვის, რომ დადგინდეს, დაირღვა თუ არა
კონვენციის ეს მუხლი, უნდა დადგინდეს სადავო
ზომა წარმოადგენდა თუ არა გამოხატვის თავი-
სუფლების შეზღუდვას – „ფორმალობის, პირობის,
შეზღუდვის ან სასჯელის“ ფორმით – თუ ეს ზომა
უკავშირდება საჯარო სამსახურში მუშაობის უფ-
ლების სფეროს – უფლებას, რომელიც კონვენციით
არ არის დაცული. [...]

44. [...] აქ, მოცემულ საქმეშიც, სასამართლო არ
თვლის, რომ საქმის არსი ეხება საჯარო სამსახურ-
ში დასაქმების უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ
პრინციმა წამოსწია მომავალში განმცხადებლის
ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტად
დანიშვნის საკითხი, მისი კომუნიკაცია განმცხადე-

ბელთან არსებითად შეიცავდა საყვედურს მის მიერ
გამოთქმული აზრების გამო.

45. მთავრობა აცხადებს, რომ პრინციის მიერ 1995
წლის 27 თებერვალს გაგზავნილი წერილი იყო
პრინციის მიერ მომავალში გადანყვეტილების შე-
საძლო მიღების შესახებ; შესაბამისად, ეს იყო პი-
რადი წერილი და ვერ იქნებოდა სანქცია.

46. სასამართლო აცხადებს, რომ სახელმწიფოს პა-
სუხისმგებლობა კონვენციის მიხედვით, შეიძლება
დადგეს მისი ორგანოების, აგენტების ან მოხელე-
ების ქმედების შედეგად. როგორც საერთაშორისო
სამართლის შემთხვევაში, იმ ადამიანების ქმედე-
ბა, რომლებიც იმყოფებიან ოფიციალურ თანამ-
დებობაზე, მიენერება სახელმწიფოს და ადამია-
ნის თანამდებობა ამ შემთხვევაში უმნიშვნელოა.
ამასთანავე, კონვენციის ხელის მომწერი მხარის
მოვალეობები შეიძლება დაირღვეს ნებისმიერი პი-
რის მიერ, რომელიც ახორციელებს ოფიციალურ
ფუნქციას [...].

48. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ
განმცხადებელი ლიხტენშტეინის ადმინისტრაცი-
ული სასამართლოს პრეზიდენტად დაინიშნა 1993
წლის დეკემბერში. 1995 წლის 27 თებერვალს ლიხ-
ტენშტეინის პრინციმა წერილში განმცხადებელს აც-
ნობა მისი განზრახვის შესახებ, რომ არ აპირებდა
მომავალში ის საჯარო სამსახურში დაენიშნა, მიუ-
ხედავად იმისა, თუ ვინ წამოაყენებდა მის კანდი-
დატურას, ლანდტაგი თუ სხვა რომელიმე ორგანო.
პრინციის წერილი გამოიწვია, და ამაზე მხარეები არ
დავობენ, Liechtensteiner Volksblatt-ის სტატიამ, რო-
მელიც განმცხადებლის მიერ ლიხტენშტეინის სა-
კონსტიტუციო სასამართლოს მახასიათებლებისა
და ფუნქციების შესახებ ჩატარებულ ლექციას ეხე-
ბოდა. ლექცია შეიცავდა განცხადებასაც, რომ სა-
კონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, კონ-
სტიტუციის ინტერპრეტაციის მხრივ, ვრცელდება
უთანხმოებებზე პრინციის ძალაუფლების შესახებ.
პრინციის აზრით, განმცხადებლის მიერ აზრის ასე
გამოხატვა კონსტიტუციას არღვევდა და განმცხა-
დებლის დამოკიდებულება კონსტიტუციის მიმართ,
მას შეუსაბამოს ხდიდა საჯარო სამსახურისთვის.

პრინციპა თავისი პოზიცია, რომ განმცხადებლის საჯარო სამსახურში დანიშვნას არ აპირებდა 1995 წლის 4 აპრილისა და 2 ივნისის წერილებშიც დაადასტურა, და საბოლოოდ, 1997 წლის 17 აპრილის წერილში, როდესაც განმცხადებელი წარდგენილ იქნა ლიხტენშტეინის ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტობის პოზიციაზე, უარი განაცხადა მის დანიშვნაზე. შესაბამისად, სასამართლო ვერ მიიღებს არგუმენტს, რომ პრინციპის წერილები იყო პრივატული კორესპონდენცია და არ წარმოადგენდა სახელმწიფოს ქმედებას.

49. იმის დასაგდენად, ადგილი ჰქონდა თუ არა განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, სასამართლო თვლის, რომ ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს პრინციპის 1995 წლის 27 თებერვლის წერილი, რადგან სწორედ მასში იქნა პირველად გამოხატული პრინციპის მიზნები განმცხადებლის მიმართ. თუმცა ეს ზომა უნდა იქნეს განხილული პრინციპის შემდგომი კომუნიკაციის კონტექსტში, რომლებშიც კვლავ დადასტურდა მისი მიზნები.

50. წერილის შინაარსის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას. სადავო ზომა გატარებულ იქნა განმცხადებლის საჯარო სამსახურში მუშაობისას; ის არ უკავშირდებოდა საჯარო სამსახურში პირთა აყვანის პროცედურას ან საჯარო მოსამსახურის პროფესიული კვალიფიკაციების შეფასებას. 1995 წლის 27 თებერვლის წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ პრინციპს განმცხადებლის მიმართ მომავალ ქმედებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა, რაც მოიცავდა მისი სუვერენული ძალაუფლების გამოყენებას, კონკრეტულად კი, საჯარო მოხელეების დანიშვნის ძალაუფლებას. ამასთანავე, წერილი აშკარად მიმართული იყო განმცხადებლის, როგორც ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ის კერძო მისამართზე იყო გაგზავნილი. შესაბამისად, სადავო ზომა მიღებულ იქნა იმ ორგანოს მიერ, რომელსაც გააჩნდა კომპეტენცია, ემოქმედა ისე, როგორც იმოქ-

მედა და რომლის ქმედებაც აჩენს ლიხტენშტეინის, როგორც კონვენციის ხელის მომწერი ქვეყნის პასუხისმგებლობას. განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლება დაირღვა, როდესაც პრინციპა, გააკრიტიკა განმცხადებლის საჯარო გამოსვლის შინაარსი და განაცხადა, რომ გეგმავდა განმცხადებელზე სანქციის დაწესებას, რადგან მან თავისუფლად გამოხატა აზრი. პრინციპის განცხადება, რომ ის არ აპირებდა განმცხადებლის საჯარო თანამდებობაზე დანიშვნას, წარმოადგენდა საყვედურს განმცხადებლის მიერ გამოხატვის თავისუფლების გამოყენებისთვის და ამავდროულად, აჩენდა შიშის ფაქტორს განმცხადებლის მიერ გამოხატვის თავისუფლების მომავალში გამოყენებასთან მიმართებით.

51. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, რაც მეთექვსმეტით არის დაცული.

B. იყო თუ არა შეზღუდვა გამართლებული

52. მსგავსი შეზღუდვა წარმოადგენს მეთექვსმეტის დარღვევას, თუ არ დადასტურდა, რომ ის იყო „კანონით გათვალისწინებული“, ემსახურებოდა ერთ ან რამდენიმე ლეგიტიმურ მიზნებს ან მეორე პარაგრაფით გათვალისწინებულ მიზეზებს და იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

1. „კანონით გათვალისწინებული“ და ლეგიტიმური მიზანი

53. განმცხადებელმა განაცხადა, რომ შეზღუდვას არანაირი კანონიერი საფუძველი არ გააჩნია ლიხტენშტეინის კანონმდებლობით. კონკრეტულად კი, შეუძლებელი იყო, განეჭვრიტა, რომ პრინციპი, მისი საჯარო გამოსვლის გამო, დააწესებდა ასეთ სერიოზულ და შორს მიმავალ სანქციას. ამასთანავე, პრინციპის მიერ გატარებული ზომა არ ემსახურებოდა არანაირ ლეგიტიმურ მიზანს.

54. მთავრობის მოსაზრებით, შეზღუდვა, თუ მას ადგილი ჰქონდა, გამართლებული იყო, რადგან გან-

მცხადებელმა მოსამართლის ქცევის ნორმები და ლიხტენშტეინის კანონმდებლობით განსაზღვრული სამსახურებრივი ფიცი დაარღვია, რომელიც, ასევე, მოიცავს პრინციპის ერთგულების, კონსტიტუციისა და კანონების მორჩილების დაფიცებას. ამასთანავე, შეზღუდვის მიზანი იყო საჯარო წესრიგის შენარჩუნება და სამოქალაქო სტაბილურობის ნახალისება, ასევე, სასამართლო მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

55. კომისიამ [...] დაადგინა, რომ აქ არსებითი ადგილი უკავია საკითხს, იყო თუ არა ასეთი შეზღუდვა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

2. „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

57. განმცხადებელმა განაცხადა, რომ სადავო ზომი წარმოადგენდა მისი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას და ის არ მართლდებოდა მეთავე მუხლის მეორე პარაგრაფით, რადგან ის იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

58. კომისია იზიარებს ამ პოზიციას, მაშინ როცა მთავრობა არ ეთანხმება.

59. მთავრობამ განაცხადა, რომ მეთავე მუხლის მეორე პარაგრაფი სახელმწიფოებს აძლევს დისკრეციის ფართო უფლებას, რათა დაადგინონ რომელი ქმედება არის შეუსაბამო „სასამართლო თანამდებობისთვის“. მოსმენისას მათ ახსნეს, რომ საჯარო სამსახურის გარკვეულ დონეზე, აზრის გამოხატვა იმ პირების მიერ, რომელთაც შეუძლიათ მაღალი თანამდებობის პირების, მათ შორის (მაღალი თანამდებობის) მოსამართლეების დანიშვნა ან გათავისუფლება, ატარებს გარკვეულ რისკს; ეს რისკი ყველა ასეთი პირისთვის ცნობილია და იგი არ არის მიჩნეული ადამიანის უფლებების დარღვევად. მათი აზრით, სასამართლო თანამდებობა, თავისთავად, მოიზარებდა მაღალი დონის თავშეკავების ვალდებულებას ისეთი საჯარო განცხადებების გაკეთებისას, რომელთაც პოლიტიკური ელფერი დაჰკრავთ.

60. მთავრობა თვლის, რომ განმცხადებლის ლექცია ლიხტენშტეინის კონსტიტუციური სასამართლოს ფუნქციების შესახებ შეიცავდა კონტროვერსიულ განცხადებას და შეფარულ, მაგრამ მნიშვნელოვან პროვოკაციას ლიხტენშტეინის ერთ-ერთი სუვერენის მიმართ. განმცხადებლისთვის ცნობილი იყო, რომ მისი განცხადება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის შესახებ (რომ სასამართლოს ჰქონდა უფლება გადაეწყვიტა უთანხმოება პარლამენტსა და პრინცს შორის) ეწინააღმდეგებოდა პრინციპს ხედვას, რომელიც კონსტიტუციის ტექსტით იყო გამყარებული, რომლის მიხედვითაც, პრინცს აქვს სრული იმუნიტეტი ნებისმიერი სასამართლოს იურისდიქციიდან. განმცხადებელი ლექციის ჩასატარებლად მოწვეული იყო როგორც მოსამართლე, და მან ეს შესაძლებლობა გამოიყენა რათა მისი პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები გაეხადა საჯარო. მან, შესაბამისად, რისკის ქვეშ დააყენა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისადმი საზოგადოების ნდობა.

61. [...]

(i) გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების უმთავრეს საფუძველს და ერთ-ერთ უმთავრეს პირობას მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის თვითრეალიზაციისთვის. მეორე პარაგრაფი ეხება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციას“ და „იდეებს“, რომლებიც მიიღება ან აღქმულია როგორც არაშეურაცხყოფელი ან ინდიფერენტული დამოკიდებულების წარმომქმნელი, არამედ მათაც, რომლებიც შეურაცხყოფს, ინვესს შოკს ან აღაშფოთებს; ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და გონებაგახსნილობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც ვერ იარსებებს „დემოკრატიული საზოგადოება“. გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც მეთავე მუხლითაა დაცული, ეხება გარკვეული გამოწვევები, რომლებიც უნდა იქნეს ვინაოდ ინტერპრეტირებული და შეზღუდვის აუცილებლობა უნდა იყოს დამაჯერებლად დადასტურებული.

(ii) ზედსართავი სახელი „აუცილებელი“, მეათე მუხლის მეორე პარაგრაფის კონტექსტში, გულისხმობს „სასწრაფო სოციალური საჭიროების“ არსებობას. ხელისმომწერ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული დისკრეცია, იმის დასადგენად არსებობს თუ არა ასეთი საჭიროება, მაგრამ ეს ხდება ევროპული ზედამხედველობის პარალელურად, კანონისა და მისი გატარების გათვალისწინებით, მათ შორის დამოუკიდებელი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზეც. შესაბამისად, სასამართლოს აქვს უფლება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება შეესაბამება თუ არა „შეზღუდვა“ გამოხატვის თავისუფლებას, როგორც ის დაცულია მეათე მუხლით.

(iii) სასამართლოს მიზანია, ზედამხედველობითი იურისდიქციის ფარგლებში, არ დაიკავოს შესაბამისი ეროვნული ინსტიტუტების ადგილი, არამედ გადახედოს, რამდენად შეესაბამება მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მათი დისკრეციის ფარგლებში მეათე მუხლს. ეს არ გულისხმობს, რომ ზედამხედველობა შემოისაზღვრება იმის დადგენით, იყო თუ არა სახელმწიფოს მიერ დისკრეციის გამოყენება გონივრული, ფრთხილი და კეთილსინდისიერი; სასამართლომ უნდა შეხედოს სადავო ზომას მთლიანი საქმის კონტექსტში და დაადგინოს, იყო თუ არა ის „პროპორციული ლეგიტიმური მიზნისა“ და ეროვნული ხელისუფლების მიერ გამოყენებული არგუმენტები, იყო თუ არა „რელევანტური და საკმარისი“. ამ პროცესში სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნული ხელისუფლების მიერ გამოყენებული სტანდარტები შეესაბამება მეათე მუხლის პრინციპებს და ამასთანავე, რომ მათ გადაწყვეტილება მიიღეს რელევანტური ფაქტების შესაბამისი შეფასების საფუძველზე.

[...]

65. განმცხადებლის 1995 წლის 16 თებერვლის ლექციასთან დაკავშირებით, სასა-

მართლო შენიშნავს, რომ ის წარმოადგენდა ლიბტენშტეინის კვლევით ინსტიტუტში აკადემიური ლექციების სერიების ნაწილს კონსტიტუციურ იურისდიქციასა და ფუნდამენტურ უფლებებზე [...].

66. განმცხადებლის შეხედულებით, ეს განცხადება წარმოადგენდა აკადემიურ კომენტარს კონსტიტუციის 112-ე მუხლის ინტერპრეტაციაზე. მთავრობა, მეორე მხრივ, თვლის, რომ მიუხედავად იმისა, რომ განხცადება გაკეთდა აკადემიური მოსაზრების ფორმით, ის, არსებითად, იყო პოლიტიკური განცხადება და თავდასხმა არსებულ კონსტიტუციურ წყობაზე და შეუსაბამო იყო განმცხადებლის მიერ იმ დროისთვის დაკავებულ თანამდებობასთან [...]

70. ამ საქმის ფაქტების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი მიზეზები, რომლებიც გამოყენებულ იქნა განმცხადებლის გამოსატვის თავისუფლების შესაზღუდად, არ იყო საკმარისი იმის საჩვენებლად, რომ აღნიშნული შეზღუდვა „აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში“. იმ შემთხვევაშიც კი თუ დავუშვებთ დისკრეციის გარკვეულ დონეს, პრინციპს ქმედება არის არაპროპორციული იმ მიზნებისა, რომელთაც ის ემსახურებოდა. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მეათე მუხლი. [...]

ამ მიზეზების გათვალისწინებით, სასამართლო 1. ადგენს, თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მეათე მუხლის დარღვევას.

[...]

4. ადგენს ერთხმად,

ა) მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს სამი თვის ვადაში გადაუხადოს შემდეგი თანხა:

- i) 10,000 (ათი ათასი) შვეიცარული ფრანკი მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით;
- (ii) 91,014.05 (ოთხმოცდათერთმეტი ათას თოთხმეტი) შვეიცარული ფრანკი და ხუთი ცენტი ხარჯების ასანაზღაურებლად;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

მოკლე მიმოხილვა

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო საქმეში „ვილე ლიხტენშტეინის წინააღმდეგ“ კიდევ ერთხელ შეეხო საჯარო მოხელეთა, კერძოდ, მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

განმცხადებელი, ბატონი ჰერბერტ ვილე, ლიხტენშტეინის ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტის თანამდებობას იკავებდა. ერთ-ერთ საჯარო ლექციაზე ბატონმა ვილემ გამოთქვა მოსაზრებები საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციასთან დაკავშირებით. კონსტიტუციის ინტერპრეტაციის მხრივ, ვილეს აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს სრული უფლება ჰქონდა ჩარეულიყო ლიხტენშტეინის მონარქსა და პარლამენტს შორის წარმოშობილ უთანხმოებებში. აღნიშნული საჯარო ლექცია გააშუქა გამოცემა Liechtensteiner Volksblatt-მა. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, ლიხტენშტეინის პრინცმა ჰანს ადამ მეორემ პირადი წერილი მისწერა ბატონ ვილეს, რომელშიც სტატიაში გაშუქებული მისი მოსაზრებები მკაცრად გააკრიტიკა. პრინცის აზრით, ბატონი ვილეს მიერ აზრის ამგვარად გამოხატვა კონსტიტუციას არღვევდა და განმცხადებლის დამოკიდებულება კონსტიტუციის მიმართ, შეუსაბამოს ხდიდა მას საჯარო სამსახურისთვის. იმავე წერილშივე პრინცმა აცნობა ბატონ ვილეს, რომ მომავალში არ აპირებდა, იგი საჯარო სამსახურში დაენიშნა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ წამოაყენებდა მის კანდიდატურას, პარლამენტი თუ სხვა რომელიმე ორგანო.

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ბატონ ვილეს ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის ვადა ამოეწურა, პარლამენტმა მისი კანდიდატურა წარუდგინა მონარქს ხელახლა, იმავე პოზიციაზე დასანიშნად. პრინცმა მის დანიშვნაზე უარი განაცხადა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლება დაირღვა, როდესაც პრინცმა, გააკრიტიკა განმცხადებლის საჯარო გამოსვლის შინაარსი და განაცხადა, რომ გეგმავდა განმცხადებელზე სანქციის დანესებას, რადგან მან თავისუფლად გამოხატა აზრი. „პრინცის განცხადება, რომ ის არ აპირებდა განმცხადებლის საჯარო თანამდებობაზე დანიშვნას, წარმოადგენდა საყვედურს განმცხადებლის მიერ გამოხატვის თავისუფლების გამოყენებისთვის და ამავედროულად, აჩენდა შიშის ფაქტორს განმცხადებლის მიერ გამოხატვის თავისუფლების მომავალში გამოყენებასთან მიმართებით“.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება

კოლეგიის შემადგენლობა: კონსტანტინე ვარძელაშვილი (სხდომის თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე), ქეთევან ერემაძე (წევრი), მაია კოპალეიშვილი (წევრი).

საქმის დასახელება: „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დავის საგანი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილენი: მოსარჩელე ზურაბ მიქაძე და მისი წარმომადგენელი კობა კობახიძე; საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი ზურაბ მაჭარაძე.

I. აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 21 დეკემბერს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის N548) მიმართა საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძემ. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად გადაეცა 2012 წლის 24 დეკემბერს. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2013 წლის 10 ივნისს.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2013 წლის 28 ივნისის №1/4/548 საოქმო ჩანაწერით კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის არსებითი განხილვის სხდომა ზეპირი მოსმენით გაიმართა 2013 წლის 29 ნოემბერს.

4. N548 კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-16 მუხლები.

5. მოსარჩელე სადავოდ ხდის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 169-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.

6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, ამკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“, ხოლო ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით“. ამავე კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა“. აღნიშნული სადავო ნორმებით დადგენილია პირის ბრალდებულად ცნობისა და გამამტყუნებელი განაჩენის მტკიცებულებითი სტანდარტები, ასევე, ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები.

7. 2013 წლის 14 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება“.

8. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

9. მოსარჩელის მტკიცებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2

ნაწილის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირის ბრალდებულად ცნობა და მსჯავრდება შესაძლებელია განისაზღვროს არა უტყუარი მტკიცებულებების, არამედ ორი ირიბი ჩვენების, როგორც ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ორი ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობა და მსჯავრდება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს.

10. საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად მოსარჩელე იშველიებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებას საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1995 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებას საქმეზე „ს.ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ და ამერიკის უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებას საქმეზე „სტოგენერი კალიფორნიის წინააღმდეგ“.

11. მოსარჩელე მხარემ, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ყურადღება გაამახვილა იურიდიულ დოქტრინაში დამკვიდრებულ ტერმინოლოგიაზე, რომლის მიხედვითაც, სისხლის სამართლის პროცესში არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი მტკიცებულებები. „ირიბი ჩვენება“, მოსარჩელის აზრით, არასწორი ცნებაა და მისი დამკვიდრება სისხლის სამართლის პროცესულურ კანონმდებლობაში შეცდომისკენ უბიძგებს კანონის გამომყენებელს. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის ახალი რედაქციის ჩანაწერი ირიბ ჩვენებას მაშინ აცხადებს დასაშვებ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. მოსარჩელის განცხადებით, ასეთ შემთხვევაში არსებობს შესაძლებლობა, რომ ირიბი ჩვენება, რომელიც დაეფუძნება სხვა ირიბ, ანუ არაპირდაპირ მტკიცებულებას, ერთობლიობაში საფუძვლად დაედოს პირის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს. მისი აზრით, კანონის ამგვარი ინტერპრეტაცია სავსებით შესაძლებელია, რაც მოსამართლეს

ანიჭებს თავისუფლებას, ორ არაპირდაპირ მტკიცებულებას დააფუძნოს გამამტყუნებელი განაჩენი. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, აღნიშნული მსჯელობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის არაკონსტიტუციურობის მთავარი ინდიკატორია.

12. მოსარჩელემ ასევე ხაზი გაუსვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილს და გამოყო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის აუცილებელი კრიტერიუმები. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებები უნდა იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა, დამაჯერებელი და სახეზე უნდა იყოს ამ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მისი აზრით, ამ ნორმის უმთავრესი ხარვეზი გამოიხატება იმაში, რომ აქ მოხსენიებული არ არის „უტყუარობის“ კონსტიტუციური სტანდარტი. ასეთი მოცემულობა კი უშვებს ნორმის არაერთგვაროვანი ნაკითხვის ალბათობას. მოსარჩელის განმარტებით, ამგვარი ლოგიკით ტყუილიც შეიძლება იყოს აშკარა, დამაჯერებელი და ერთმანეთთან შეთანხმებული, რაც დაეფუძნება გამამტყუნებელ განაჩენს. ყოველივე ეს, მოსარჩელე მხარის მტკიცებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის არაკონსტიტუციურობაზე მიუთითებს.

13. მოსარჩელე მხარის განცხადებით, სისხლის სამართლის 169-ე მუხლის პირველ ნაწილსაც ანალოგიურად აქვს „უტყუარობის“ პრობლემა. კერძოდ, იგი შესაძლებლობას იძლევა, პირის ბრალდებულად ცნობისთვის გამოყენებული იქნეს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც არ არის თავისი არსით უტყუარი, რაც, მოსარჩელის მტკიცებით, აშკარად ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-40 მუხლის სტანდარტს.

14. მოსარჩელე მხარემ უარყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის კრიტერიუმების გამოყენების შესაძლებლობა სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. მოსარჩელის აზრით, აღნიშნული ნორმა ეხება სისხლის სამართლის პროცესს ზოგად ასპექტში. კერძოდ, იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს გამოძიების დაწყება, შეფასდეს მტკიცებულებები და მათი რელევანტურობა ბრალდების მხარის მიერ. რაც შეეხება სასამართლოს, იგი განა-

ჩენის გამოტანისას არ უნდა იღებდეს მხედველობაში აღნიშნული ნორმით დადგენილ სტანდარტებს. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლზე აპელირება, მოსარჩელე მხარის განმარტებით, ვერ მოხსნის სადავო ნორმების კონსტიტუციურობის პრობლემას.

15. ზემოაღნიშნული არგუმენტაციის საფუძველზე, მოსარჩელე მხარის აზრით, სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.

16. მოპასუხე მხარემ, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე განაცხადა, რომ სადავო ნორმები სრულად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ „უტყუარობის“ სტანდარტს. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის განცხადებით, სისხლის სამართლის პროცესი არის ერთი დიდი ერთობლიობა და სადავო ნორმები არ უნდა შეფასდეს როგორც ცალკე აღებული მოცემულობა. ისინი განხილული უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სხვა ნორმებთან ერთად. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილში კი საუბარია, რომ „მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა“. მოპასუხე მხარის განმარტებით, ნებისმიერ ირიბ თუ არაირიბ მტკიცებულებას, რომელიც წარედგინება სასამართლოს, არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სწორედ მოსამართლემ უნდა შეაფასოს იგი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და მხოლოდ ასეთი ტესტის გავლის შემდეგ დაუდოს საფუძველად საბოლოო განაჩენს. მოპასუხის აზრით, კანონი მოსამართლეს ანიჭებს გადამწყვეტ როლს მტკიცებულებების შეფასების პროცესში, რაც, თავის მხრივ, სრულად შეესაბამება კონსტიტუციის მე-40 მუხლით დადგენილ სტანდარტებს.

17. მოპასუხე მხარემ დამატებით აღნიშნა, რომ კანონით განსხვავებული მტკიცებების სტანდარტები არ-

სებობს სისხლის სამართლის პროცესის თითოეული სტადიისთვის. ესენია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ტერმინები: „დასაბუთებული ვარაუდი“, „ალბათობის მაღალი ხარისხი“ და „გონივრულ ეჭვს მიღმა“, რომლებიც გადანყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლისთვის წარმოადგენენ სახელმძღვანელო სტანდარტებს. მოპასუხის განცხადებით, მოსამართლე სისხლის სამართლის პროცესის თითოეულ სტადიაზე, სწორედ ამ სტანდარტების გამოყენებით, ერთნაირად აფასებს მტკიცებულებებს რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და თუ მას, როგორც ობიექტურ პირს, ერთობლიობაში შეექმნება საკმარისი კანონიერი საფუძველი, მაშინ მიიღებს შესაბამის დასაბუთებულ გადანყვეტილებას. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის აზრით, აღნიშნული სტანდარტები სრულ შესაბამისობაშია კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან.

18. მოპასუხე მხარის განმარტებით, არსებული კონსტიტუციური დავის არსი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილს უკავშირდება. ამ ნორმაზე დიდწილად დაამოკიდებული დანარჩენი სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასების საკითხი. მოპასუხე მხარის მტკიცებით, საქართველოს პარლამენტის მიერ მითითებულ ნორმაში შეტანილმა ცვლილებამ გაცილებით აამაღლა „უტყუარობის“ კონსტიტუციური სტანდარტი. ახალი მოცემულობით, მოსამართლე ვერ დაეყრდნობა ორი ირიბი ჩვენების ტანდემს გადანყვეტილების მიღებისას. აღნიშნული ცვლილება პირდაპირ მიემართება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილსა და ამავე კოდექსის 169-ე მუხლის პირველ ნაწილს. მოცემული ორივე სადავო ნორმა პირდაპირ მიუთითებს მტკიცებულებათა ერთობლიობაზე, როგორც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და პირის ბრალდებულად ცნობისათვის აუცილებელ ელემენტზე. მოპასუხის აზრით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილში შეტანილი ცვლილების შემდეგ ვერ შედგება ირიბ მტკიცებულებათა ერთობლიობა, ვინაიდან ირიბი ჩვენება მაშინ არის დასაშვები, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. ასეთი მტკიცებულება კი შეიძლება იყოს

სისხლის სამართლის პროცესით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც ირიბ ჩვენებას მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდის დასაშვებს.

19. საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონმდებლობის მიხედვით, სადავო ნორმაში განხორციელებული ცვლილების შემდეგ, საქმეზე წარმოების გაგრძელებისთვის აუცილებელია, მოსარჩელემ დაასაბუთოს საქმის გაგრძელების განსაკუთრებული მნიშვნელობა მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით. მოპასუხის აზრით, მოსარჩელემ ამ კუთხით ვერ შეძლო სასამართლოსთვის საკმარისი არგუმენტაციის წარდგენა, რაც უნდა გახდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის ასპექტში საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველი. რაც შეეხება ამავე კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილსა და 169-ე მუხლის პირველ ნაწილს, მოპასუხე მხარის განცხადებით, ზემოაღნიშნული არგუმენტაციის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ ნაწილში არ უნდა დააკმაყოფილოს კონსტიტუციური სარჩელი.

II. სამოტივაციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით დაცული სფერო

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

2. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს – „in dubio pro reo“, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხა-

სიათის ბრალდებების საფუძველზე და, ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას ქმნის. მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების პრინციპი წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობისა თუ შეცდომების შედეგად არ მოხდეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება. სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს ისეთი სამართლებრივი სისტემის არსებობას, რომლის პირობებშიც პირის წინააღმდეგ განხორციელებული მართლმსაჯულების ღონისძიებები – ბრალდება და პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა განხორციელდეს ადეკვატური სტანდარტების შესაბამისად.

3. აღნიშნული კონსტიტუციური ნორმა ასევე უკავშირდება კონსტიტუციის ამავე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს. კონსტიტუციური დებულება, რომ „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“, ქმნის ბრალდებულის დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „...პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლიანი სასამართლოს უფლებითა და საპროცესო გარანტიებით სრულყოფილ სარგებლობას. პასუხისმგებლობის დაკისრებისას ინდივიდი არ უნდა წარმოადგენდეს სამართალწარმოების ობიექტს და უნდა აღიჭურვოს დაცვის იმ მექანიზმებით, რასაც სამართლიანი სასამართლოს უფლება მოითხოვს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე, II-11).

4. მოცემული დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს კითხვებს, სადავო ნორმების საფუძველზე შესაძლებელია თუ არა ბრა-

ლის წარდგენა ან განაჩენის გამოტანა ისეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც არ არის უტყუარი, წარმოშობს თუ არა ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობა კონსტიტუციური უფლების დარღვევის რისკს, არსებობს თუ არა საფრთხე იმისა, რომ განაჩენი გამოტანილი იქნეს საეჭვო, ყალბ ან არასანდო მტკიცებულებებზე დაყრდნობით. სასამართლომ უნდა შეამოწმოს შეიცავს თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საკმარის გარანტიებს იმისთვის, რომ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი უტყუარად იქნეს დადასტურებული. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, აუცილებელია როგორც სადავო ნორმების შინაარსის, ასევე სისხლის სამართლის პროცესში ირიბი ჩვენების მნიშვნელობის, მისი არსის განმარტება.

5. სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მტკიცებულება წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს ან უარყოს ბრალდებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. მტკიცებულებების მეშვეობით სასამართლო ადგენს, „არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე“ (სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი). ცხადია, რომ ამ პროცესში ყალბი, არასანდო ან საეჭვო მტკიცებულების დაშვების შესაძლებლობა, იმავდროულად, უდანაშაულო პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობის დაშვებასაც გულისხმობს, რაც არა მხოლოდ კონსტიტუციით დაცულ უფლებას, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნებსაც უპირისპირდება. სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ მხოლოდ უტყუარი მტკიცებულება შეიძლება გახდეს პირის ბრალდების და შემდგომში მისი დამნაშავედ ცნობის საფუძველი.

6. ყოველი მტკიცებულება, რომელიც ბრალდებასა თუ განაჩენს საფუძვლად ედება, შესაძლოა ინვესტდეს დავას. გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები, როგორც წესი, მხარეთა განსხვავებული შე-

ფასებისა და კამათის საგანს წარმოადგენს. სისხლის-სამართლებრივი დევნის სხვადასხვა ეტაპზე მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, შეამონწმონ მტკიცებულებათა ნამდვილობა, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს ან უარყოფს ბრალდებული პირის კავშირს ჩადენილ დანაშაულთან.

7. უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი მოიცავს არა მხოლოდ საეჭვო მტკიცებულების დაუშვებლობის მითითებას – უნდა გამოირიცხოს ეჭვი მტკიცებულების გაყალბების ან არსებითი ნიშან-თვისებების დაკარგვის შესახებ, არამედ ასევე მოთხოვნას, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ გარემოების დადასტურება მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და ჯეროვნად შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდეს. მტკიცებულების საფუძველზე მიღებულმა ინფორმაციამ უტყუარად, ერთმნიშვნელოვნად უნდა მიუთითოს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. მტკიცებულების წარდგენის მიზანს საქმისთვის რელევანტური ფაქტებისა თუ გარემოებების დადასტურება წარმოადგენს, რაც, საბოლოო ჯამში, პირის ბრალეულობაზე მიუთითებს. კონსტიტუციური მოთხოვნაა, რომ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა ბრალის დასაბუთებისას გამოიყენოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებსაც ის უტყუარად მიიჩნევს, რომელთა სანდოობაში, ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

8. სწორედ ამიტომ, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანო, რომლის ძირითად ამოცანას დანაშაულის გამოძიება და მისი პრევენცია წარმოადგენს, კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს გამოძიებისთვის საჭირო ეფექტური და, ამავე დროს, მკაფიოდ ფორმულირებული, განჭვრეტადი სამართლებრივი მექანიზმებით, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში სავარაუდო შეცდომის ან თვითნებობის საფრთხეს არსებითად გამორიცხავს. კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს იმ მინიმალურ გარანტიებს, რომლებიც გამორიცხავს პოტენციურად მცდარი, საეჭვო მტკიცებულებების ბრალდებულის სანინაალმდეგოდ გამოყენების შესაძლებლობას.

9. ამ მხრივ საყურადღებოა სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, მტკიცებულება დაუშვებელია, „თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ“. აღნიშნული ნორმა შეიცავს მტკიცებულებების ავთენტურობის შემოწმების მოთხოვნას (ვალდებულებას). მისი მიზანია, გამორიცხოს ყალბი, სახეშეცვლილი და, ამ მხრივ, არასანდო მტკიცებულებების გამოყენების შესაძლებლობა.

10. ამავე კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი დამატებით ადგენს, რომ „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით“. ამ ნორმის თანახმად, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა უნდა შეამოწმოს, არის თუ არა წარმოდგენილი მტკიცებულება კანონით დაშვებული, შეიცავს თუ არა ის საქმისთვის რელევანტურ, მნიშვნელოვან ინფორმაციას, კანონით დადგენილი წესით შეამოწმოს, რამდენად ადასტურებს იმ ფაქტსა თუ გარემოებას, რომლის დასამტკიცებლადაც არის წარმოდგენილი.

11. თავის მხრივ, მტკიცებულების უტყუარობას – კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობას განაპირობებს ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი ან უზრუნველყოფილი მისი შემოწმება. მტკიცებულებების შეფასებისას შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი კეთილსინდისიერად, მიუკერძოებლად, შინაგანი რწმენის საფუძველზე უნდა მოქმედებდეს, თუმცა ეს ვერ იქნება შეცდომისაგან ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის საკმარისი გარანტია. კანონმდებელმა უნდა აღჭურვოს საქმის განმხილველი სასამართლო შესაბამისი სახელმძღვანელო ნორმებით, რომელიც საქმის გადაწყვეტის პროცესში გამორიცხავს იმგვარ მტკიცებულებებს, რომელიც თავისი ბუნებით ან შინაარსით შეიძლება არ იყოს სანდო, და ამდენად, შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს ან სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელ ორგანოს, მართლმსა-

ჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, შინაგანი რწმენის საფუძველზე შეაფასოს მტკიცებულებათა სანდოობის ხარისხი.

12. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ კანონი უნდა ითვალისწინებდეს სახელმძღვანელო ნორმებს, რომლებიც უფლებამოსილ პირს შესაძლებლობას მისცემს, გადაწყვეტილება მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიღოს. მისი აზრით, ირიბი ჩვენების გამოყენების შემთხვევაში, სსსკ-ის 76-ე მუხლი, ისევე როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა ნორმები, ვერ პასუხობენ მტკიცებულების უტყუარობის კონსტიტუციურ სტანდარტს. შესაბამისად, მოცემული დავის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად აკმაყოფილებს სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი, სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი და 169-ე მუხლის პირველი ნაწილი მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციურ მოთხოვნას.

სსსკ-ის 76-ე მუხლის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან

13. სსსკ-ის 76-ე მუხლი განსაზღვრავს ირიბი ჩვენების დეფინიციას და მის დასაშვებობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ირიბია მოწმის ისეთი ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესზე ასეთი ჩვენება დასაშვებია, თუკი პირს შეუძლია, მიუთითოს ინფორმაციის წყაროზე. ხოლო სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელსაც მოსარჩელე მხარე სადავოდ მიიჩნევს, ადგენს, რომ „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებათა, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით“.

14. 2013 წლის 14 ივნისს სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვით, სადავო ნორმა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებათა, თუ იგი დასტურდება

სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება“.

15. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წინამდებარე კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი, განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2013 წლის 10 ივნისს, ხოლო არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საოქმო ჩანაწერი (№1/4/548) გამოქვეყნდა 2013 წლის 28 ივნისს. ამავე დროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის ახალი რედაქცია 2013 წლის 27 ივნისს ამოქმედდა. „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქმის განხილვის მომენტისათვის, სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა, გარდა ამავე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას. ხოლო ამავე კანონის მე-6 პუნქტის მიხედვით კი, იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო ნორმის გაუქმება ხდება სარჩელის არსებითად მიღების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი გადაწყვიტოს იმ შემთხვევაში, თუ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად. სადავო ნორმაში განხორციელებული ცვლილება წინ უსწრებს 548-ე ნორმით რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ საოქმო ჩანაწერის გამოქვეყნებას, რაც ფორმალურად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, წარმოადგენს კონსტიტუციურ სარჩელზე სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველს.

16. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტების საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ N548 კონსტიტუციურ სარჩელზე, სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში, საქმისწარმოება უნდა შეწყდეს.

სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის და 169-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან

17. კონსტიტუციურ სარჩელში ასევე აღიშნულია, რომ სადავოდ გამხდარი სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტს, რამდენადაც პირის მსჯავრდება შესაძლებელია განსაზღვრულიყო ორი ირიბი ჩვენების, როგორც ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით. მოსარჩელის აზრით, სსსკ-ის მე-13 მუხლის მეორე ნაწილი და სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის ძველი რედაქცია არ გამოირიცხავდა ერთი ირიბი ჩვენების მეორე ირიბი ჩვენებით გამყარების და, შესაბამისად, ასეთი მტკიცებულებების უტყუარად მიჩნევის შესაძლებლობას.

18. არსებითი სხდომის დროს მოსარჩელე მხარემ დამატებით მიუთითა, რომ სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილში განხორციელებულმა ცვლილებამ პრობლემა მხოლოდ ნაწილობრივ გადაჭრა. მართალია, საკანონმდებლო ცვლილება მხოლოდ ორი ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის მსჯავრდების შესაძლებლობას გამოირიცხავს, მაგრამ სადავო ნორმა კვლავაც არ შეიცავს კონსტიტუციური უფლების დაცვის სათანადო გარანტიას, ვინაიდან კვლავ არსებობს არასაკმარისად მყარი, არასანდო მტკიცებულებების გამოყენების საფრთხე.

19. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი არაკონსტიტუციურია, ვინაიდან უშვებს შესაძლებლობას, რომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნეს ისეთი მტკიცებულების გამოყენებით, რომელიც თავისი არსით არ არის უტყუარი. ასეთ საეჭვო მტკიცებულებად მოსარჩელე ირიბ ჩვენებას მიიჩნევს. იგი თვლის, რომ სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი ვერ უზრუნველყოფს ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის უტყუარობას, რამდენადაც ირიბი ჩვენების დადასტურება შესაძლოა მოხდეს სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც, თავის მხრივ, პირდაპირ არ მიუთითებს პირის ბრალეულობაზე. მიუხედავად ამისა, ირიბი ჩვენება განაჩენის ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება გახდეს. მართალია, სადავო ნორმის თანახმად მტკიცებულებები უნდა

იყოს „ერთმანეთთან შეთანხმებული“, „აშკარა“ და „დამაჯერებელი“, მაგრამ მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს თავად ირიბი ჩვენების, როგორც ცალკე აღებული ერთ-ერთი მტკიცებულების უტყუარობა. მტკიცებულებები შესაძლოა დამაჯერებლად გამოიყურებოდეს, თუმცა ეს, თავისთავად, ირიბი ჩვენების – სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიცემული ჩვენების, უტყუარობას არ ნიშნავს.

20. მოსარჩელე ასევე ეჭვქვეშ აყენებს სსსკ-ის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას და მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმა არ გამოირიცხავს პირის ბრალდების შესაძლებლობას მხოლოდ ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტში არსებულ უტყუარობის სტანდარტს. მოსარჩელე მიუთითებს, რომ სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილში განხორციელებულ უკანასკნელ საკანონმდებლო ცვლილებებს რაიმე გავლენა არ მოუხდენია სადავო ნორმაზე.

21. სსსკ-ის 76-ე მუხლი აწესრიგებს სისხლის სამართლის პროცესში ირიბი ჩვენების არსსა და მისი დასაშვებობის საკითხებს. აღნიშნული მუხლი უშუალოდ არ ადგენს მტკიცებულებების გამოყენების წესს, არ განსაზღვრავს იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც უნდა დაედოს საფუძველად პირის ბრალდებას ან მის მსჯავრდებას. ასეთი წესი მოცემულია სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის მიხედვით, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. ამდენად, სსსკ-ის 76-ე მუხლი, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილთან და 169-ე მუხლის პირველ ნაწილთან ერთობლიობაში ქმნის ნორმატიულ საფუძველს, რომელიც ირიბ ჩვენებას არა მხოლოდ ბრალის წაყენებისთვის, არამედ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისთვის ერთ-ერთ ვარგის მტკიცებულებად აქცევს.

22. როგორც უკვე აღინიშნა, კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „დადგენილება ბრალ-

დებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ“ და საბრალდებო დასკვნა უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ“ წარმოადგენს კონსტიტუციურ ტერმინს, რომელსაც ავტონომიური მნიშვნელობა აქვს და გულისხმობს აქტს ან გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც იწყება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, მისთვის ბრალის წაყენება. მოცემული კონსტიტუციური დანაწესი მოითხოვს, რომ პირის სისხლისსამართლებრივი დევნა, მისთვის ბრალის წარდგენა არ განხორციელდეს არსებითად მცდარი, გაყალბებული, არასაკმარისად სანდო ან მეტწილად საეჭვო მტკიცებულებების საფუძველზე.

23. უთითებს რა უტყუარ მტკიცებულებებზე, აღნიშნული კონსტიტუციური ნორმა, უპირველეს ყოვლისა, ადგენს, რომ განაჩენი მხოლოდ მტკიცებულებებს უნდა ეყრდნობოდეს. ეს უმნიშვნელოვანესი გარანტია გამოირიცხავს, მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ ვარაუდების გამო პასუხისმგებლობის დაკისრებას. ამდენად, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს განაჩენის დადგომისთვის უალტერნატივო საშუალებას. სისხლის სამართლის საქმისათვის რელევანტური ფაქტობრივი გარემოებების არსებობა დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით. მხარეთა მიერ მტკიცებულებების წარმოდგენისა და საწინააღმდეგო მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ეჭვქვეშ დაყენებით, მხარეები ცდილობენ, დაადასტურონ ან უარყონ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები.

24. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის, ისევე როგორც მართლმსაჯულების განხორციელებისას, ზოგადად, სახელმწიფო შებოჭილი უნდა იყოს მკაფიოდ ფორმულირებული საკანონმდებლო ნორმებით, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს თვითნებობის ან შეცდომის დაშვების საფრთხეს. სახელმწიფოს ხელთ არსებული მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გამოძიებისკენ არის მიმართული, არ უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული. გონივრულმა, ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრულ-

მა საკანონმდებლო ნორმებმა უნდა დააბალანსოს ბუნებრივი უპირატესობა, რომელიც შეიძლება ბრალდების მხარეს დაცვის მხარესთან შედარებით გააჩნდეს და შესაძლებლობა მისცეს ბრალდებულს, სრულყოფილად დაიცვას საკუთარი ინტერესები, რაც, თავის მხრივ, მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება. ასეთია კანონის უზენაესობის პატივისცემისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპების მოთხოვნა. თვითნებობისა და შეცდომის თავიდან აცილება ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს, ხელს უწყობს დანაშაულის სათანადოდ გამოძიებას, რეალური დამნაშავის გამოვლენას და შემდგომ მის მსჯავრდებას.

25. როგორც აღინიშნა, მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს იმას, რომ საეჭვო, მცდარი ან სავარაუდოდ გაყალბებული მტკიცებულებები გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებიდან. გამოირიცხული უნდა იყოს გონივრული ეჭვი წარდგენილი მტკიცებულების ნამდვილობასთან და სანდოობასთან დაკავშირებით. სათანადო პროცესუალური სტანდარტების შემცველი, არაორაზროვანი ნორმების საფუძველზე, სასამართლოს, კონკრეტული საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა შეეძლოს წარმოდგენილი მტკიცებულებების რელევანტურობის, მათი მნიშვნელობისა და უტყუარობის შეფასება. შესაბამისად, კანონმდებელი ვალდებულია, აღჭურვოს სასამართლო სახელმძღვანელო პრინციპებით, რომელიც მას ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხის ან, ასეთ ჩვენებაზე დაყრდნობით, განაჩენის მიღებაში დაეხმარება.

26. სისხლის სამართლის პროცესში დასაშვები უნდა იყოს ისეთი მტკიცებულება, რომლის სანდოობა, ზოგადად, არ იწვევს ეჭვს და, როგორც წესი, ინფორმაციის სანდო წყაროდ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ასე მაგალითად, ეჭვს არ იწვევს, რომ თვითმხილველი მოწმის ჩვენება, ამოღებული ნივთმტკიცებულება, ექსპერტის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება ან სხვა მსგავსი სახის მტკიცებულება ინფორმაციის სანდო წყაროს განეკუთვნება. შესაბამისად, კანონი მათ ბრალის დასადასტურებლად ვარგის და, ამდენად, დასაშვებ საშუალებად მიიჩნევა, რაც, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ასეთი მტკიცებულებების საფუძველზე

მიღებული ინფორმაცია, იმთავითვე, შემონმების გარეშე, სარწმუნოდ ჩაითვლება. საყურადღებოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ირიბ ჩვენებას ინფორმაციის სპეციფიკურ, სხვა მტკიცებულებებისაგან განსხვავებულ წყაროდ განიხილავს. სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სხვა მტკიცებულებით არის გამყარებული, მაშინ როდესაც თვითმხილველი მოწმის ან ექსპერტის ჩვენების დასაშვებად ცნობისთვის ასეთი პირობა დაწესებული არ არის.

27. სისხლის სამართლის საქმეში შესაძლოა არსებობდეს ირიბი ჩვენება, რომელიც განსხვავებული გარემოებების დასამტკიცებლად იქნება წარმოდგენილი და რომელიც სხვა რელევანტურ ინფორმაციასთან ერთად შექმნის მტკიცებულებათა ერთობლიობას. ირიბი ჩვენება, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, შესაძლოა პირდაპირ მიუთითებდეს ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ან იყოს „დამხმარე“ ხასიათის, ადასტურებდეს საქმისთვის მნიშვნელოვან „გვერდით“ ფაქტს ან გარემოებას. კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ასეთი ჩვენების სათანადო შემონმება. ამიტომ კანონი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს, თუ რა შემთხვევებშია დასაშვები ირიბი ჩვენების გამოყენება, მკაცრი და ზედმინევენით ზუსტი უნდა იყოს მისი დასაშვებობის პირობები. რამდენადაც მაღალია ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობა ბრალის დადასტურების საკითხში, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება წესი, რომელიც ასეთი ჩვენების გამოყენებას შესაძლებელს ხდის.

28. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს წესს, რომელიც, ერთი მხრივ, ბრალის წაყენების მიზნებისთვის ირიბ ჩვენებას (იდენტიფიცირებადი წყაროს მითითების შემთხვევაში) დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევს, ხოლო საქმის არსებითი განხილვისთვის ერთ დამატებით პირობას ადგენს – ირიბი ჩვენება სხვა ისეთი მტკიცებულებით უნდა დასტურდებოდეს, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება. ამავე დროს, მტკიცებულებათა დასაშვებობის მარეგულირებელი ნორმები არ შეიცავს დამატებით რაიმე მითითებას, წესს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ

უნდა იქნას გამოყენებული ირიბი ჩვენება პირისთვის ბრალის წაყენების ან განაჩენის გამოტანის დროს. შესაბამისად, ბრალის წაყენება და გამამტყუნებელი განაჩენის მიღება შესაძლებელია მოხდეს მტკიცებულებათა იმგვარი ერთობლიობით, რომელიც არა მხოლოდ მოიცავდეს ირიბ ჩვენებას, არამედ არსებითად ემყარება მას. ასევე, იქმნება შთაბეჭდილება და მოლოდინიც იმისა, რომ ირიბი ჩვენება, როგორც წესი, მისაღები, სანდო და ვარგისი მტკიცებულებაა, მსგავსად სხვა მტკიცებულებებისა (თვითმხილველი მოწმის ან დაზარალებულის ჩვენება, ნივთმტკიცებულება და ა.შ.), რომლებიც ბრალის დასადასტურებლად არის წარმოდგენილი.

29. სასამართლოს მიერ ისეთი ჩვენების დასაშვებად ცნობა, რომელიც ემყარება სხვა პირის მიერ გაკეთებულ განცხადებას ან გავრცელებულ ინფორმაციას, შეიცავს მრავალ რისკს. მათ შორის, რთულია იმის შეფასება, თუ რამდენად სანდოა ან სარწმუნოა ასეთი ინფორმაცია, ვინაიდან სასამართლო შეზღუდულია შესაძლებლობაში, შეამონმოს ინფორმაციის გამავრცელებელი პირის განწყობა, მისი დამოკიდებულება იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც სისხლისამართლებრივ საქმეს უკავშირდება. ასევე რთულია იმის განჭვრეტა, თუ როგორ ჩვენებას მისცემდა ეს პირი, ის რომ სასამართლოში გამოცხადებულიყო. მართალია, სსსკ-ის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ირიბი ჩვენების მიმცემმა პირმა უნდა დაასახელოს ინფორმაციის წყარო, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემონმება შესაძლებელია, ერთმნიშვნელოვნად არსად იკითხება ირიბი ჩვენებით იდენტიფიცირებული წყაროს სათანადოდ შემონმების ვალდებულება და წესი.

30. სისხლის სამართლის პროცესში მოწმის ჩვენება მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ის შეიძლება იყოს ინფორმაციის ერთ-ერთი, ზოგჯერ კი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო. მოწმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მხარეები სასამართლოში ცდილობენ წარმოაჩინონ დანაშაულთან დაკავშირებული სურათი. მოწმეს შეუძლია ამოიცნოს დამნაშავე, სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომელთა თვითმხილველი თავად იყო, დადასტუროს ან უარყოს ინფორმაცია საქმისთვის მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით.

31. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც მოწმის ჩვენების სანდოობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს. ირიბი ჩვენების შემთხვევაში კი ეს მექანიზმი სანდოობის უზრუნველსაყოფად ნაკლებად ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, რამდენადაც ირიბი ჩვენების მიმცემ პირს არ შეუძლია დაადასტუროს, თუ რამდენად უტყუარია სხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია.

32. სადავო ნორმა ასევე არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ირიბი ჩვენება გამოყენებული იქნეს, როდესაც ფაქტის თვითმხილველი მოწმე (ვის სიტყვებსაც ირიბი ჩვენება ეყრდნობა) შეიძლება იქნეს მოწვეული სასამართლოში ჩვენების მისაცემად ან უკვე აქვს მიცემული ასეთი ჩვენება. ასეთ შემთხვევებში საეჭვო და გაუგებარი ხდება ირიბი ჩვენების გამოყენების აუცილებლობა და მიზანი. ერთდროულად ირიბი ჩვენების მიმცემი პირის და ინფორმაციის გამავრცელებელი პირის დაკითხვა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ობიექტური აუცილებლობით იყოს განპირობებული, თუმცა ასევე შესაძლებელია მტკიცებულებათა სიმრავლის მცდარი აღქმა შექმნას და შეცდომის დაშვების ალბათობა გაზარდოს.

33. კანონმდებლობა არც იმას გამორიცხავს ერთმნიშვნელოვნად, რომ ბრალის წარდგენისას ან განაჩენის გამოტანისას გამოყენებული იქნეს ერთზე მეტი ირიბი ჩვენება, რომელიც ერთსა და იმავე ფაქტს „ირიბად“ ადასტურებს. ირიბ ჩვენებათა სიმრავლე თავისთავად არ უნდა განაპირობებდეს ამ ჩვენებების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის სანდოობას. ირიბი ჩვენების სხვა მტკიცებულებით დადასტურებით არ იცვლება ამ მტკიცებულების ბუნება, იცვლება მხოლოდ ამ სახის მტკიცებულებით დარწმუნების შესაძლებლობის ხარისხი.

34. გაუმართლებელია ირიბი ჩვენების ავტომატურად დაშვება და მისი გამოყენება განურჩევლად იმისა, თუ რა პირობებში, რა ფორმითა და საშუალებით გახდა ცნობილი ირიბი ჩვენების მიმცემი პირისთვის აღნიშნული ინფორმაცია. კანონი ასევე უნდა გამო-

რიცხავდეს ორმაგი ირიბი ჩვენების დაშვების შესაძლებლობას. ირიბი ჩვენების მიმცემი პირის მიერ ინფორმაციის წყაროს მითითება, თავისთავად, არ გამორიცხავს იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ პირი, ვის ინფორმაციასაც ირიბი ჩვენება ეფუძნება, ასევე არ იყოს იმ ფაქტის თვითმხილველი, რომლის დადასტურებასაც ირიბი ჩვენება ისახავს მიზნად.

35. ამ საფრთხეების მიუხედავად, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმები შესაძლებელს ხდის, რომ სასამართლოს, მათ შორის, ნაფიც მსაჯულებს შინაგანი რწმენა, პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით ირიბი ჩვენების (ან ჩვენებების) შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოუყალიბდეთ. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობისთვის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის გარდა, რაიმე სხვა წინა პირობა უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, არაფერი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პირის ბრალეულობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ირიბ ჩვენებას სხვა მტკიცებულებების მსგავსად დაეყრდნოს.

36. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, გამონაკლის შემთხვევებში, ირიბი ჩვენების გამოყენების მართლზომიერებას. ასეთი გამონაკლისის დაშვება შესაძლოა გამართლებული იყოს, თუ არსებობს ობიექტური მიზეზი, რის გამოც შეუძლებელია იმ პირის დაკითხვა, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება და, როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, სასამართლომ შესაძლებელია განიხილოს ირიბი ჩვენების დაშვების შესაძლებლობა, როდესაც მოწმე ან დაზარალებული დაშინებულია ან არსებობს მისი როგორც მოწმის უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა. ბრლადებულის კანონსაწინააღმდეგო ქმედებამ – მოწმის დაშინებამ არ უნდა შეაფერხოს მართლმსაჯულების განხორციელება და სწორედ ამიტომ, გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს, შეაფასოს ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და მისი გამოყენების აუცილებლობა. აუცილებლობა შე-

იძლება წარმოიშვას სხვა შემთხვევაშიც, როდესაც ინფორმაციის ავტორი თავად ვერ ახერხებს ან არ სურს ჩვენების მიცემა და ამისთვის მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს. ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ირიბი ჩვენების ზოგად დასაშვებობას, მისი გამოყენება შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ამის აუცილებლობა არ არსებობს.

37. ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობის და მისი გამოყენების საკითხის გადაწყვეტა მკაფიოდ ფორმულირებული მარეგულირებელი ნორმებისა და სათანადო პროცესუალური გარანტიების პირობებში უნდა მოხდეს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაფასოს გარემოებები, რომლებიც ირიბი ჩვენების წარდგენის გასამართლებლად არის დასახელებული სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ.

38. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაგალითების დასახელება, a priori, არ გულისხმობს მათ კონსტიტუციურობას, თითოეული საგამონაკლისო შემთხვევის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის შეფასება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ლეგიტიმური მიზნების და ამ მიზნების მისაღწევად გამოყენებული საშუალებების კონტექსტში უნდა მოხდეს. თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ მსგავსი საგამონაკლისო პირობების კონსტიტუციასთან შესაბამისობის პრეზუმფციას, ეს, თავისთავად, ვერ უზრუნველყოფს სადავო ნორმით დადგენილი ზოგადი წესის კონსტიტუციურობას, რომელიც ირიბი ჩვენების დასაშვებობას ნებისმიერი გამონაკლისის გარეშე უშვებს.

39. ირიბი ჩვენების გამოყენების პრაქტიკული მაგალითების წარმოსაჩენად საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. როგორც წესი, ირიბი ჩვენება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მონმე (ინფორმაციის პირველწყარო) გარკვეული მიზეზით თავად ვერ ან არ ცხადდება სასამართლოში და ეს მიზეზი სასამართლოსთვის ცნობილია. საყურადღებოა, რომ ამ მხრივ სტრასბურგის სასამართლომ შემდეგი მინიმალური სტანდარტი ჩამოაყალიბა. იმისთვის, რომ ირიბი ჩვენების გამოყენებამ არ გამოიწვიოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვე-

ვა, შემდეგი ორი პირობა უნდა იქნეს დაცული: უნდა არსებობდეს მონმის სასამართლოში არგამოცხადების მნიშვნელოვანი მიზეზი ან/და ირიბი ჩვენება არ უნდა წარმოადგენდეს განაჩენის არსებით ან ერთადერთ საფუძველს (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Al-Khawaja and Tahery v. The United Kingdom“, საჩივრები: N26766/05 და N22228/06 და გადაწყვეტილება საქმეზე „Horncastle and Others v. The United Kingdom“ საჩივარი: N4184/10). თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო აღნიშნული წესიდან გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს, თუ ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც ირიბი ჩვენების გამოყენების შედეგად დაცვის მხარისთვის წარმოიშვება, სათანადოდ არის დაბალანსებული (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom“, საჩივრები: N26766/05 და N22228/06).

40. სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და სათანადოდ შემოწმებული მოპასუხის – საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის არგუმენტი, რომლის თანახმად, უტყუარი მტკიცებულებების გამოყენებით პირის ბრალდების ან მსჯავრდების გარანტიას სსსკ-ის მე-13 და 82-ე მუხლები წარმოადგენს. აღნიშნული ნორმები მიუთითებენ, რომ გამამტყუნებელი განაჩენის გამო სატანად უნდა არსებობდეს ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებს პირის ბრალეულობას.

41. გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი თამაშობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს სისხლის სამართლის პროცესში. იგი უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვას, არსებითად ამცირებს უსამართლო და დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის საფრთხეს, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ხელს უწყობს შეცდომის დაშვების საფრთხის თავიდან აცილებას. მსჯავრდების შემთხვევაში შეზღუდვას ექვემდებარება პირის თავისუფლება, ასევე ხდება მისი პიროვნების სტიგმატიზაცია. ბრალდებულს არ უნდა

შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში.

42. დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. საზოგადოება, რომელიც იღვწის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, იცის ადამიანის თავისუფლების ფასი, არ დაუშვებს ისეთი პირის მსჯავრდებას, რომლის ბრალეულობა მიუკერძოებელი და გონიერი დამკვირვებლისთვის საეჭვო რჩება.

43. ამასთანავე, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი თამაშობს მნიშვნელოვან როლს მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებაში. სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლება, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა, აღასრულოს მართლმსაჯულება, არ იქნეს დასუსტებული ისეთი მტკიცებულებითი სტანდარტით, რომელიც მიუკერძოებულ ადამიანს, საზოგადოებას გაუჩენს ეჭვს უდანაშაულო პირის მსჯავრდების შესახებ. ასევე აუცილებელია, რომ თავისუფალ საზოგადოებაში თითოეულ პირს ჰქონდეს იმის რწმენაცა და სამართლებრივი გარანტიაც, რომ სახელმწიფო არ მოახდენს მის მსჯავრდებას, თუკი სამართლიანი სასამართლო პროცესის შედეგად, ყველაზე მაღალი დამაჯერებლობით (სიზუსტით) არ დარწმუნდება პირის ბრალეულობაში.

44. ადამიანის პიროვნული თავისუფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი მოითხოვს, რომ მტკიცებულებების შეფასებისას წარმოშობილი ნებისმიერი ასეთი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ეს მტკიცებულებითი სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს დანაშაულებრივი ფაქტების დამდგენ სასამართლოს, რომ სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული კონფლიქტები, სათანადოდ აწონოს მტკიცებულებები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავი-

სუფლების სასარგებლოდ. მტკიცებულებების ამგვარი ტესტით შეფასების შემდეგ არის შესაძლებელი, სამართლებრივი კვალიფიკაცია მიეცეს პირის ქმედებას და დაეკისროს პასუხისმგებლობა. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი უნდა გამოირიცხავდეს ეჭვებისა და ვარაუდების საფუძველზე პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას და, ამდენად, ამყარებს საზოგადოების ნდობას სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების მიმართ.

45. გონივრულ ეჭვს მიღმა ტესტი წარმოადგენს სახელმძღვანელო კრიტერიუმს, რომელსაც სასამართლო იყენებს პირის დამნაშავედ ცნობისთვის, მიანიშნებს სასამართლოს, თუ რამდენად მყარი უნდა იყოს რწმენა იმისა, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული. სასამართლო ბრალდებულს დამნაშავედ ცნობს, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებები მას გონივრულ ეჭვს მიღმა დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში. ეს რწმენა სასამართლოს, კანონით დადგენილი წესის მიხედვით წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უყალიბდება, რომელსაც კანონით სანდო და დასაშვებად მიიჩნევენ.

46. სსსკ-ის თანახმად, მოწმის ჩვენება, როგორც ერთ-ერთი მტკიცებულება, კანონით დადგენილი წესით უნდა იყოს წარდგენილი სასამართლოში. სსსკ-ის 76-ე მუხლი ერთ-ერთ ასეთ წესს შეიცავს, რომლის თანახმად, ირიბი ჩვენების ფარგლებში მოწმეს შეუძლია გამოძიებას ან სასამართლოს მიანოდოს ინფორმაცია იმ ფაქტების შესახებ, რომლის თვითმხილველი თავად არ ყოფილა, არამედ „ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას“. ამდენად, ირიბი ჩვენება, თუ ის სსსკ-ის ზემოთ დასახელებულ მოთხოვნას პასუხობს (და ამავე დროს შეიცავს კანონით დადგენილი წესით მოპოვებულ და საქმისთვის რელევანტურ ინფორმაციას), დასაშვებ მტკიცებულებას წარმოადგენს. ხოლო მისი სანდოობა, სსსკ-ის იმავე მუხლზე დაყრდნობით, მოწმდება სხვა მტკიცებულებით, რომელიც დადასტურებს ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას.

47. ამდენად, ირიბი ჩვენების შემთხვევაში მოწმე გამოძიებას ან სასამართლოს აწვდის ინფორმაციას

ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ან სხვა გარემოებების შესახებ, რომელთა თვითმხილველი თავად არ ყოფილა. როგორც აღინიშნა, სსსკ-ის 76-ე მუხლი ასეთ ჩვენებებს დასაშვებად მიიჩნევს, ხოლო სადავო ნორმები მათ პირის ბრალეულობასთან დაკავშირებული გადანყვეტილების მისაღებად, სხვა მტკიცებულებების მსგავსად, ვარგის მტკიცებულებად აქცევს. ამდენად, ტესტი, რომელიც სასამართლომ/ნაფიცმა მსაჯულმა შინაგანი რწმენის შესამოწმებლად უნდა გამოიყენოს, ვერ გამოორციხავს ირიბ ჩვენებასთან, როგორც ერთ-ერთ მტკიცებულებასთან დაკავშირებულ საფრთხეს.

48. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პირის ბრალდებულად ცნობისთვის საჭიროა გამოძიების სტადიაზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დასაბუთებულ ვარაუდს უნდა ქმნიდეს იმის შესახებ, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა. ხოლო სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდი ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობაა, რომელიც ობიექტურ პირს დააკმაყოფილებდა, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.

49. სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელმა პირმა ბრალის წაყენების საკითხის გადანყვეტისას სსსკ-ის ნორმების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს შესაძლოა ირიბი მტკიცებულებები წარმოადგენდეს. ამასთანავე, კანონმდებლობა არ იძლევა რაიმე მითითებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა წონა უნდა მიენიჭოს ირიბ მტკიცებულებას პირის ბრალდებულად ცნობისთვის. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, შეფასებას საჭიროებს ის გარემოება, რამდენად სანდოდ ადასტურებს ირიბი ჩვენება იმ გარემოებას, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, ცალკეულ შემთხვევაში ირიბი ჩვენების სანდოობა შესაძლებელია ეჭვქვეშ დადგეს, არაფერი გამოორციხავს იმ ფაქტს, რომ ირიბი ჩვენების წყარო ცდებოდეს ან განზრახ ცრუობდეს. აქედან გამომდინარე, არსებობს იმის წინა პირობები, რომ ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია, მისი სა-

თანადო შემომწმების, ეჭვების გამოორციხვის გარეშე, საფუძველად დაედოს პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ გადანყვეტილებას. მტკიცებულებათა ერთობლიობის დასაბუთებულ ვარაუდს მიღმა შემომწმების კანონით გათვალისწინებული სტანდარტი ვერ გამოორციხავს იმ საფრთხეებს, რომლებიც ირიბი ჩვენების, როგორც საქმისთვის მნიშვნელოვანი ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულების საფუძველზე პირის ბრალდებას იწვევს. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ პირის ბრალდებულად ცნობა შეიძლება მოხდეს ისეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც არ აკმაყოფილებს კონსტიტუციით დადგენილ უტყუარობის სტანდარტს.

50. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო თვლის, რომ სადავო ნორმები შეიცავს მტკიცებულებათა შეფასების პროცესში შეცდომების დაშვების შესაძლებლობას და საფრთხის შემცველია ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის. მაღალია ალბათობა იმისა, რომ ირიბი ჩვენება სისხლის სამართლის საქმის საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. სწორედ ირიბი ჩვენების მოსმენის საფუძველზე, მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულებს შეიძლება ჩამოუყალიბდეთ შინაგანი რწმენა დანაშაულთან დაკავშირებით, ხოლო სადავო ნორმები ვერ უზრუნველყოფს შეცდომის ასაცილებლად საკმარის გარანტიას.

51. მტკიცებულება ადეკვატურად უნდა ასახავდეს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. მტკიცებულება ვერ იქნება უტყუარი, თუ იგი იმაზე მეტ გავლენას ახდენს მართლმსაჯულებაზე, ვიდრე ეს მისი ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მტკიცებულება არ უნდა უქმნიდეს ფაქტების დამდგენს მცდარ წარმოდგენას ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოების არსებობის ან არარსებობის თაობაზე.

52. ირიბი ჩვენება, ზოგადად, ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და, ამდენად, შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით გათვა-

ლისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში და არა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით.

53. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი და 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შესაძლებელს ხდის, ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებულ იქნეს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, ვერ პასუხობს საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ უტყუარობის მოთხოვნებს და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურია.

III. სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-7, მე-8 პუნქტების და 45-ე მუხლის, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 30-ე, 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს :

1. დაკმაყოფილდეს N548 კონსტიტუციური სარჩელი („საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).
2. არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას.
3. შეწყდეს სამართალწარმოება N548 კონსტიტუციურ სარჩელზე („საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის (2010 წლის 24 სექტემბრის რედაქცია) კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.
4. არაკონსტიტუციური ნორმები ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.
5. გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან.
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
7. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქართველოს მთავრობას.
8. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ 15 დღის ვადაში.

საექსპერტო შეფასება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილებაზე

(სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებად
ირიბი ჩვენების კონსტიტუციურობის შესახებ)

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 21 დეკემბერს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძემ და მოითხოვა დადგენილიყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, ამავე კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით. სარჩელი მიღებული იქნა წარმოებაში და გადაწვეტილების მიხედვით, ზემოაღნიშნული ნორმები არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით.

აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი უნდა აღმოჩნდეს სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე დაცვის მხარისათვის. ადვოკატებს ეძლევათ შესაძლებლობა, მეტი როლი შეასრულონ ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურში. ადვოკატებს ეძლევათ შანსი უფრო ეფექტურად აწარმოონ კლიენტის (ბრალდებულის) ინტერესების სასარგებლოდ პროფესიული საქმიანობა და, გარკვეულწილად, სასამართლო წარმოების დასრულების სავარაუდო პროგნოზიც კი განუცხადონ კლიენტებს.

ჩვენების ირიბი ხასიათის შესახებ

სისხლის სამართლის პროცესის ნოვატორობა, ძირითადად, მის შეჯიბრებითობასა და, შეიძლება ითქვას, სასამართლოშივე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის შექმნაშია. მსაჯულთა მონაწილეობით მიღებული ვერდიქტი, რომელიც მხოლოდ ორი სახისა – უდანაშაულოა ან დამნაშავეა – არ საბუთდება, ის განაჩენის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, ხოლო ნაფიც მსაჯულთა გარეშე ბრალდების განხილვის შედეგი (განაჩენი) კი, მოსამართლის მიერ აუცილებლად უნდა დასაბუთდეს და თანაც – წერილობით. სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, როდესაც ბრალდების შესახებ მხარეთა მტკიცებულებებს ნაფიც მსაჯულები ისმენენ, მათ არ იციან, თუ რომელია

ირიბი ჩვენება, რადგან არსებითი განხილვის დაწყებამდე მოსამართლე, როდესაც ნაფიც მსაჯულებს განმარტებებს აძლევს, არ ეუბნება მათ, თუ როგორია ან რომელია ირიბი ჩვენება. ასეთ შემთხვევაში ხომ არ ივარაუდება, რომ მსაჯულებმა არ იციან, რომ ვერდიქტის გამოტანის მომენტში ჯერ უნდა აღმოაჩინონ (გამოიცნონ) რომელია ირიბი ჩვენება და შემდგომ კი უნდა იფიქრონ მის საჭიროებაზე? თითქოს ჩვენი მსჯელობა სხვა მიმართულებით შეიძლება ნავიდეს, რომ არა ნაფიც მსაჯულთა არსი და დანიშნულება, რაც სწორედ მათ გონებრივ, სამართლის თეორიებით წინასწარ გაუნერგელ შესაძლებლობებში მდგომარეობს – თავისუფლად შეაფასონ ის ინფორმაცია, რომელიც მონემ გააჟღერა მათს წინაშე და ამ ინფორმაციას თავად მიანიჭონ დამადასტურებელი ან უარმყოფი, ცენტრალური თუ ნაკლებად კავშირში მყოფი, ქორი თუ სარწმუნო სტატუსი. მსაჯულისათვის, მისი თავისუფალი გონივრული დამოკიდებულების გამო, შეიძლება ნაკლებად საინტერესო იყოს მისთვის გადმოცემული ინფორმაციის სტატუსი – რას უწოდებს კანონი ასეთ ინფორმაციას, რომლის მიმწოდებელიც საუბრობს ამბავზე და ეს ამბავი მას მოუყვა ამ ამბის შემსწრე სხვა პირმა. ივარაუდება, რომ მსაჯული, ვერდიქტის გამოტანისას, ასეთ ინფორმაციას თავის „იერარქიულ ადგილს მიუჩენს გონებაში“, ხოლო სხვა მსაჯულებთან მსჯელობისა და ოპონირებისას კი, შეეცდება, დაასაბუთოს ამ ინფორმაციისადმი საკუთარი დამოკიდებულება და გადაწყვეტილების მიღებისას – მისი გამოიყენების შესაძლებლობა.

აშშ – ში სასამართლოებს საერთო მიდგომები აქვთ (არსებობს მტკიცებულებათა ფედერალური წესები). აღნიშნული გულისხმობს იმას, თუ როგორი უნდა იყოს მტკიცებულება, რომ იგი გამოყენებული იქნას მართლმსაჯულებაში, მისი მომხმარებლის – ხალხის – მიერ. ამ მახასიათებლებით ხდება ირიბი მტკიცებულების (ჩვენების) გამიჯვნა სხვა სახის მტკიცებულებებისგან. აშშ – ში ირიბ ჩვენებას „hearsay“ უწოდებენ. პირდაპირი თრგმანით, ის უფრო მეტად „ყურმოკრულს“ ნიშნავს, ვიდრე „ირიბ“ ან „არაპირდაპირ ჩვენებას“.

რატომ აღიძრა საკონსტიტუციო სარჩელი?

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (76-ე მუხლი) განმარტავს, თუ როგორ უნდა დავადგინოთ, ჩვენება ირიბია თუ – არა. მაგრამ არსებობს ინტერესი ირიბი ჩვენებისა, როგორც სასამართლო განაჩენის საფუძველისა. სასამართლოები თავიანთ გადაწყვეტილებებში უფრო ნაკლებად, ვიდრე მეტად აფასებენ ამა თუ იმ ჩვენებას და მის სახეს (ირიბია თუ არა). ბევრ განაჩენში ვერ შეხვედებით მსჯელობას, შეფასებას, თუ რატომ მიიჩნია მოსამართლემ მონმის ინფორმაცია ირიბ ჩვენებად. ამით ისინი მცირე პრაქტიკას გვთავაზობენ და როგორც მხარეებს, ისე განაჩენის სხვა მომხმარებლებს, არ განუმარტავენ ირიბი ჩვენების შესახებ. რჩება კანონი, რომელიც იკითხება და ზოგჯერ სხვადასხვაგვარ განმარტებებსაც ვისმენტ. ასე, მაგალითად, შესაძლებელია, რომ ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულება იყოს საქმის არსებითად განხილვის დროს, მაგრამ არა – გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველისა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველია მომჩივნის არგუმენტაცია მიმდინარე სისხლის სამართლის კანონმდებლობის არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, რომელიც იცავს ბრალდებულს, მის მიმართ შესაძლო სასამართლო თვითნებობის განხორციელებისაგან, რათა არ მოხდეს მისი მსჯავრდება ირიბი სახის ჩვენებების, როგორც მტკიცებულებების, საფუძველზე. თუ იარსებებდა სასამართლო პრეცედენტი, ანუ მოსამართლის მიერ კანონის განმარტება და მისი გამოყენების შემთხვევები (განაჩენის დასაბუთება არა ირიბი ჩვენებების საფუძველზე), რაც აისახებოდა განაჩენებში, შესაძლებელია, რომ არც ყოფილიყო 2015 წლის 22 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება.

ამჯერად, კი კანონმა, ფაქტობრივად, გამოიცილა ირიბი ჩვენებაზე დაფუძნებული გამამტყუნებელი განაჩენების არსებობა.

სტანდარტი

სისხლის სამართლის პროცესის სტადიები, შეიძლება ითქვას, კავშირშია ირიბი ჩვენების დანიშნულება/გამოყენებასთან. გამოძიების პროცესში შესაძლებელია, რომ მოხდეს კონკრეტული პირის ბრალდებულად გადაქცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი. ეს სტანდარტი არ არის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო სტანდარტი. მანამდე ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ხარისხმა მეორე, ანუ ალბათობის მაღალი ხარისხის, სტანდარტი

უნდა გაიაროს, რისი გადალახვაც უნდა შეძლოს არსებით განხილვამდე, ანუ წინასასამართლო სხდომისათვის. მხოლოდ ამის შემდგომ მიაღწევს ბრალდების მხარე ე.წ. „მესამე საფეხურს“ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, რომელიც წარმოადგენს გამამტყუნებელი განაჩენისათვის საჭირო ხარისხს.

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით გამოირიცხა ირიბი ჩვენების გამოყენება, არა მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენისათვის, არამედ ბრალდების წარდგენის დროსაც მაშინ, როცა ბრალდების წარდგენის სტანდარტია დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა შეიძლება ჩაიდინა დანაშაული. ხოლო განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, ანუ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის მიღწევისას, ფასდება არა მხოლოდ უტყუარობა, არამედ საკმარისობა/უკმარისობა დამნაშავედ/უდანაშაულოდ ცნობისათვის. სისხლის სამართლებრივი დევნის მდგომარეობა კი, პროკურორის დისკრეციას, რა დროსაც, „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტის განმარტებიდან გამომდინარე, არ არის აუცილებელი ირიბი ჩვენებების გამოიცილვა. თავად ჩვენებაც ხომ, თავისი არსით, ნაბიჯ-ნაბიჯ (გამოძიებისა და წინასასამართლოს სხდომის ეტაპი), სასამართლოში გაუღერებულ ინფორმაციად ყალიბდება. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით მოაწესრიგა ეს მოცემულობა, რაც საერთო სასამართლოების პასიურ როლს უსვამს ხაზს.

მიუხედავად ამისა, ვთანხმდებით, რომ სახელმწიფო შეზღუდული უნდა იყოს მკაფიოდ ფორმულირებული საკანონმდებლო ნორმებით, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს თვითნებობის ან შეცდომის დაშვების საფრთხეს. სწორედ, ამაზე მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს 22 იანვრის გადაწყვეტილება.

ამასთანავე, დავრწმუნდით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ კუთხით საერთო სასამართლოების პრაქტიკა და უზენაესი სასამართლოს განმარტებანი. სწორედ მათ უნდა განმარტონ ესა თუ ის ნორმა, რაც მართლმსაჯულების განვითარების პროცესსაც ემსახურება. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით კონკრეტული რეცეპტი მიანოდა სასამართლო სისტემას და მნიშვნელოვანია მისი გამოყენება განაჩენების ამ კუთხით დასაბუთებულად.

ადვოკატი გიორგი ტურაზაშვილი

სისხლის სამართლის, იურიდიული ეთიკის, ნაფიც მსაჯულთა სასაერთო პროფესიული უნარ-ჩვევების, სამართლებრივი მართლწერისა და გადაწყვეტილებითა დასაბუთების სპეციალისტი



ადვოკატი და მეცნიერება

მოვალის უფლებრივი მდგომარეობა ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების დადგომისას



ზურაბ მუხურაძე

ადვოკატი, შპს „იურიდიული და ბიზნეს კონსალტინგი (LBC)“

შესავალი

ზოგადად, სახელშეკრულებო სამართლიანობა მოითხოვს, რომ მხარე არ შეიძლება იყოს შესრულების ყოველგვარი რისკის მატარებელი¹. მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებითი სამართლის ძირეული

პრინციპია, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს, ამ დანაწესის ყოველთვის შესრულებამ შეიძლება უფრო მეტი უსამართლობა გამოიწვიოს, ვიდრე მისმა შეუსრულებლობამ. ამიტომ, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპზე დაყრდნობით, სახელშეკრულებო სამართალში ჩამოყალიბდა პრინციპი, რომლის თანახმად, არავის შეიძლება მოეთხოვოს შეუძლებლის შესრულება.

ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების დადგომისას, აუცილებელია, როგორც კრედიტორის, ასევე, მოვალის ინტერესების თანაფარდობის დაცვა. კრედიტორის ინტერესების დაცვის მიზნით, უნდა დადგინდეს მოვალის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ჩარჩოები. მოვალე არ შეიძლება დაეყრდნოს მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობის გამორიცხვას, ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების დადგომისას, თუკი იგი არაკეთილსინდისიერი საქციელით ცდილობს უფლების ბოროტად გამოყენებას, ან ასეთი გარემოებების დადგომაში ბრალი უმთავრესად მოვალეს მიუძღვის. ამიტომ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს, სუბიექტური და ობიექტური მხარის შეფასებით, უნდა დადგინდეს, ეკისრება თუ არა მოვალეს პასუხისმგებლობა ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების დადგომისას.

ამდენად, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს როგორც მოვალის პასუხისმგებლობის გამორიცხვისთვის აუცილებელი წინაპირობები, ასევე, ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების დადგომის მიუხედავად.

¹ ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე. გამომცემლობა „სამართალი“ 2001წ. გვ. 399

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მის რეგულირებას ვხვდებით როგორც სხვადასხვა შიდა-სახელმწიფოებრივ კოდიფიკაციებში, აგრეთვე, საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტებში². მოვალის პასუხისმგებლობის საკითხს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ახასიათებს როგორც მსგავსება, ასევე, განსხვავება. ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებების შედარებას კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების და საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტების შესაბამის ნორმებთან და შედარების გზით ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული ხარვეზების გამოვლენას და მათი შევსების გზების დასახვას. ამ პროცესში წარმოჩინდება ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების არსებობისას, მოვალის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით პრობლემატური საკითხები.

ნაშრომში, პირველ რიგში, განიხილება ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების გამიჯვნის საკითხი, შემდეგ განხილულია პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების წინაპირობები, მომდევნო თავი შეეხება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის და შესრულების გართულებისას მოვალის ნაწარმოებ უფლება-მოვალეობებს და ბოლოს განიხილება ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხი.

1. ვალდებულების შესრულებისათვის ხელის შეშლა. ინსტიტუტის ადგილი ვალდებულებითი სამართლის სისტემაში

პრინციპი „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“ – *pacta sunt servanda* – მსოფლიოს ყველა მართლ-

წესრიგის ფუძემდებლური დანაწესია, რომელიც იმპერატიულად ადგენს სახელშეკრულებო პირობების შესრულების სავალდებულობას, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სახელშეკრულებო წონასწორობის უზრუნველყოფის მიზნით³.

შესრულების ვალდებულება უნდა გულისხმობდეს შესრულების შესაძლებლობას. ამიტომ, ხელშეკრულებათა სავალდებულობის პარალელურად, მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუძლებლის შესრულება (*impossibilium nulla obligatio est*). ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებანი ზეგავლენას ახდენენ ვალდებულების შესრულების მბოჭავ ხასიათზე. ამიტომ, შესრულების შეუძლებლობის პირობებში პრინციპი *Ppacta sunt servanda* – ძირეულ სახეცვლილებას განიცდის⁴.

ისეთი გარემოებები, როგორებიცაა საერთაშორისო და სამოქალაქო ომები, არეულობები და რევოლუციები, მეკობრეობა და საბოტაჟი, სტიქიური უბედურებები, ბოიკოტი, გაფიცვა, ხელისუფლების კანონიერი თუ უკანონო მოქმედებები, შეიძლება მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე გავლენას ახდენდეს. ასეთმა გარემოებებმა შეიძლება ვალდებულების შესრულებას ხელი შეუშალოს გარკვეული ხარისხით – შეიძლება მისი შესრულება შეუძლებლად აქციოს ან მისი შესრულება იმდენად გართულდეს, რომ მოვალის მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმოს.

სამოქალაქო სამართლის და საერთო სამართლის ტრადიციულ დოქტრინაში სოლიდური მხარდაჭერაა გამოთქმული *pacta sunt servanda*-ს პრინციპისათვის. მთავარი გამონაკლისი ამ პრინციპიდან, როგორც საერთო სამართლის ქვეყნებში, ასევე, სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში, არის შესრუ-

2 იხ. საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები (PICC 2004) ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (PECL 1999) საერთო შეხედულებათა სისტემის პროექტი (DCFR 2008), კერძო სამართლის ინსტიტუტის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) პრინციპები, გაეროს 1980 წლის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ.

3 ნ. ჩიტაშვილი. ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი #1, 2009, თბილისი, გვ. 143

4 ნ. ჩიტაშვილი. დასახელებული ნაშრომი. გვ. 175-176

ლების შეუძლებლობის დოქტრინა, რომელიც ზოგჯერ დაუძლეველ ძალად, ხოლო ზოგჯერ მიზნის მოშლად (frustration) იწოდება.

მრავალ სამართლებრივ სისტემაში ამ განმარტების ემატება შესრულების გართულება (hardship). შესრულების შეუძლებლობისგან განსხვავებით, არის შემთხვევები, როდესაც ვალდებულების შესასრულებლად აუცილებელი ხდება დაძლეული იქნეს წარმოშობილი წინააღმდეგობები, თუმცა ეს დამატებით ტვირთს დააკისრებს ერთ-ერთ მხარეს. ასეთი გარემოებების არსებობისას მხარეს შეუძლია მიუთითოს შესრულების გართულებაზე, როგორც სამოქალაქო ბრუნვაში ვალდებულების შეუსრულებლობის გამამართლებელ საფუძველზე. შესრულების გართულების შემთხვევაში ვალდებულების შემსრულებელ მხარეს ტვირთად აწვება შესრულება, რადგან შესრულების მიზნით გასცემს მეტს, ვიდრე იღებს სანაცვლოდ. ამით კი ირღვევა ექვივალენტურობის პრინციპი⁵.

ამდენად, იმის შესაბამისად, თუ როგორია ვალდებულების შესრულებისათვის ხელის შეშლის ხარისხი, ერთმანეთისგან უნდა განსხვავდეს შესრულების შეუძლებლობა და მისი ერთ-ერთი სახე – დაუძლეველი ძალა (force majeure, act of god და სხვა) და შესრულების გართულება (hardship).

მსგავსად არის ვალდებულების შესრულებისათვის ხელისშემშლელი გარემოებები დაყოფილი საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკის კომისიის მიერ, რომელმაც შეიმუშავა ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების სარეკომენდაციო ხასიათის ჩამონათვალი. აღნიშნული ჩამონათვალი გამოიცა, საერთაშორისო ხელშეკრულებებში მათი გათვა-

ლისწინების მიზნით. ბოლო პროექტის მიხედვით, ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი ორი გარემოებაა გათვალისწინებული: ე.წ. ფორს მაჟორული გარემოება, რომელიც აწესებს პირობებს, ვალდებულების შეუსრულებლობისას მხარის პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებლად, როდესაც მათი შესრულება შეუძლებელი გახდა და შესრულების დამამძიმებელი გარემოებები (hardship). ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს იმ შემთხვევების გათვალისწინებას, როდესაც მხარეთა სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებში ხდება წონასწორობის ისე დარღვევა, რომ ერთ-ერთი მონაწილე ექცევა მეტისმეტად არახელსაყრელ მდგომარეობაში⁶.

საინტერესოა საკითხი იმის თაობაზე, თუ სახელშეკრულებო სამართლის რომელ ინსტიტუტში უნდა გაერთიანდეს ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებები – ვალდებულების შესრულებაში, თუ – მის დარღვევაში.

UNIDROIT-ის საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპებში (შემდგომში UNIDROIT-ის პრინციპები) დაუძლეველი ძალა გათვალისწინებულია ვალდებულების შეუსრულებლობის თავში. რაც შეეხება შესრულების გართულებას, იგი მოცემულია ვალდებულების შესრულების თავში. ამ დაყოფის ლოგიკური ახსნა ნათელია: თუ შესრულება შეუძლებელია, მაშინ ვალდებულება რჩება შესასრულებელი. ვალდებულების შეუსრულებლობა გახდება მოვალის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველი, თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმომშობი, უნდა გადაწყდეს, სწორედ, ვალდებულების შეუსრულებლობის თავში.

5 შეადარეთ: გ. გოგიაშვილი. Clausula rebus sic stantibus, დინამიკა და სტატიკა სამართალში, ჟურნალში „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 9, #1-2, 2006, გვ.108

6 W. Melis, Force Majeure and Hardship Clauses in International Commercial Contracts in View of the Practice of the ICC Court of Arbitration. 1 J. Int'l Arb. 19846. გვ. 213

1.1. შესრულების შეუძლებლობა და დაუძლეველი ძალა (force majeure)

დაუძლეველი ძალა, როგორც შესრულების შეუძლებლობის ერთ-ერთი გამოვლინება, მხარეთა პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების ძველთაგანვე ცნობილი გარემოებაა. იგი შესრულებას შეუძლებელს ხდის და არა დამამძიმებელს. ეს ისეთი მოვლენაა, რომლის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია⁷.

მიუხედავად იმისა, რომ დაუძლეველი ძალის დროს შესრულება შეუძლებელია, იგი არ უნდა გაიგივდეს შესრულების შეუძლებლობასთან. შესრულების შეუძლებლობა უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც სუბიექტურ, ასევე ობიექტურ (აბსოლუტურ) შეუძლებლობას. რაც შეეხება დაუძლეველ ძალას, ის ობიექტური გარემოებაა და არაა დამოკიდებული სუბიექტის უნარზე. დაუძლეველი ძალის დროს შესრულება შეუძლებელი ხდება არა მარტო კონკრეტული მოვალისთვის, არამედ ნებისმიერი პირისთვის, ვისაც ანალოგიური ვალდებულების შესრულება სურს.

ვინაიდან შესრულების შეუძლებლობა მოიცავს დაუძლეველ ძალასაც, მიზანშეწონილია, პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ამ გარემოებაზე საუბრისას, მათი ერთი ტერმინით – შესრულების შეუძლებლობა – მოხსენიება.

შესრულების შეუძლებლობას ადგილი აქვს თუ არა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით. იგი წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას. ხშირად მხარეები შესრულების შეუძლებლობას მიიჩნევენ მხოლოდ სახელშეკრულებო ბუნების მქონე გარემოებად. ისინი თავისუფლად ითვა-

ლისწინებენ ხელშეკრულებაში, რომ ესა თუ ის გარემოება წარმოადგენს დაუძლეველ ძალას, იმისდა მიუხედავად, თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს დაუძლეველი ძალა ასეთად მიჩნევისთვის.

მაგალითისათვის, საერთაშორისო სავაჭრო პალატის არბიტრაჟის გადაწყვეტილებებით დადგენილი პრაქტიკით, ომი დაუძლეველ ძალად მაშინ მიიჩნევა, თუ საომარმა მოქმედებამ პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა შესრულებაზე. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში არბიტრაჟმა ომი არ მიიჩნია დაუძლეველ ძალად, რამდენადაც მისი მოქმედების პერიოდში ანალოგიური მოქმედების შესრულება შეძლეს ხელშეკრულების სხვა მონაწილეებმა⁸.

ამდენად, მოვალის პასუხისმგებლობისგან გამორიცხვის მიზნით აუცილებელია, რომ შესრულების შეუძლებლობა მოვალეზე პირდაპირ და უშუალოდ ახდენდეს ზემოქმედებას.

1.2. ვალდებულების შესრულების გართულება (hardship)

თუ გარემოებები, რომლებზეც გათვლილია ხელშეკრულება, შეიცვლება, მაშინ ის ხშირად კარგავს აზრს და ხელშეკრულების ზედმიწევნით დაცვა სრულად არ მიგვიყვანს იმ შედეგებთან, რა მიზნითაც ის შეიქმნა⁹. ამიტომ, მნიშვნელოვანია შეცვლილი გარემოებების მონესრიგების საკითხი.

შესრულების გართულებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მისი შესრულება მარტოოდენ რთულდება, ხოლო ობიექტურად იგი მაინც შესრულებადია¹⁰. შესრულების გართულება სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ამა თუ იმ მოდიფიკაციით გამოიყ-

7 ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მესამე. გამომცემლობა „სამართალი“ 2001წ. გვ. 372
8 W. Melis, Force Majeure and Hardship Clauses in International Commercial Contracts in View of the Practice of the ICC Court of Arbitration. 1 J. Int'l Arb. 1984წ. გვ. 213

9 გ. გოგიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 106

10 ნ. ჩიტაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 180

ნება, როგორებიცაა „ხელშეკრულებათა გაყინვა“, „გარიგების საფუძველთა მოშლა“ (frustration)¹¹.

ასეთი გარემოებების წარმოშობა სახელშეკრულებო წონასწორობას ძირეულად ცვლის იმით, რომ მხარის მიერ შესასრულებელი მოქმედების ღირებულება მკვეთრად იზრდება ან მკვეთრად მცირდება¹², რაც მნიშვნელოვნად შეუსაბამოა კრედიტორის შესრულების ინტერესებთან, ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსსა და კეთილსინდისიერების პრინციპთან¹³. ფასის მერყეობამ, რომელიც გაუთვალისწინებელი იყო ხელშეკრულების დადების დროს შეიძლება მყიდველისათვის გამოიწვიოს არამართლზომიერი შებოჭვა, ხოლო გამყიდველისთვის შესრულება გააუფასუროს¹⁴.

შესრულების ღირებულებითი გამოხატულების ცვლილება წარმოშობს თუ არა შესრულების გართულებას, უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რომლის საზომი, ყველა შემთხვევაში, ობიექტური გარემოებანი უნდა იყოს. ამგვარად, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, ხელშეკრულება გრძელვადიანია თუ არა, აგრეთვე იმას, თუ რას შეადგენს ვაჭრობის შესაბამის სფეროში მოგების მოცულობა. მართო შესრულების მიმდების ან ვალდებულების შემსრულების მხრიდან მისი შეფასება მხედველობაში არ მიიღება¹⁵.

UNIDROIT-ის პრინციპების 6.2.2 მუხლის თანახმად, ასეთი მკვეთრი ცვლილება მაშინ არის სახეზე, როდესაც შესრულების ღირებულებითი გამოხატულების ცვლილება მოხდა 50%-ზე მეტით. საქართველოს სა-

მოქალაქო კოდექსი ასეთ რამეს არ ითვალისწინებს. გერმანიის სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც მხარე არ განთავისუფლებულა პასუხისმგებლობისგან ისეთ ვითარებაშიც კი, როდესაც მხარის მიერ შესასრულებელი ვალდებულების ღირებულებითი გამოხატულება გაიზარდა 300%-ზე მეტად¹⁶.

ვალდებულების შესრულების გართულების დროს ხელშეკრულების პირვანდელი დებულებებისათვის გვერდის ავლა წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის ერთ-ერთ გამოხატულებას¹⁷. უკიდურესად გართულებული ვალდებულების შესრულება გამოიწვევდა სამართლისა და სამართლიანობის ცნებებისადმი აშკარა შეუსაბამობას¹⁸ და დაარღვევდა ურთიერთვალდებულებათა ბალანსს¹⁹. სწორედ, კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიის საიმპერიო სასამართლოს მიერ გაზიარებული იქნა ოერტმანის თეორია „გარიგების საფუძვლის შესახებ“ (Geschäftsgrundlage), რომლის თანახმად, ნებადართულ იქნა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ან მისი გაუქმება, თუ გარიგების საფუძველი შეიცვლებოდა ან მოისპობოდა²⁰. ოერტმანის თეორიამ ასახვა ჰპოვა, ასევე, თავად გერმანიის სამოქალაქო კოდექსში. ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზების შესახებ 2001 წლის კანონმა საბოლოოდ მოახდინა ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხის სამოქალაქო კოდექსის §313-ში ინკორპორირება, რომლის ანალოგიურია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი.

11 ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე. გვ. 400
 12 Joseph. M. Perillo, Force Majeure and Hardship under the UNIDROIT principles of international commercial contracts. Tulane Journal of International and Comptive Law, 19976.
 13 ნ. ჩიტაშვილი, გვ. 180
 14 I. Schwenzer. Wider perspective: Force Majeure and Hardship in international sales contract. Victoria University of Wellington Law Review, 2009 წ. გვ. 2
 15 ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე. გვ. 401
 16 I. Schwenzer. გვ. 4
 17 გ. ვაშაკიძე, კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნალში „ქართული სამართლის მიმოხილვა“, ტომი 10, #1, 2007წ., გვ. 26
 18 K. Zweigert, H. Kötz, Introduction to Comparative Law, Volume II – The Institutions of Private Law, 2nd Revised ed., Translated from German by Weir T., Oxford, Clarendon Press, 1987წ. გვ. 521, მითითებულია: ჭანტურია. ზოიძე. გვ. 408.
 19 ნ. ჩიტაშვილი. გვ. 180
 20 ა. იოსელიანი. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნალში „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოშვება, 2007წ., გვ. 26

2. პასუხისმგებლობის გამორიცხვისთვის აუცილებელი წინაპირობები

შესრულების შეუძლებლობას და შესრულების გართულებას (hardship) შორის აშკარა განსხვავებების გაკეთება არ არის ყოველთვის იოლი. ერთ-ერთი, რაც მათ ერთმანეთისგან განასხვავებთ, ესაა შესრულების შესაძლებლობა. დაუძლეველი ძალა არათუ ამძიმებს შესრულებას, არამედ შეუძლებელს ხდის მას, რაც შეეხება შესრულების გართულებას, მის დროს, მართალია, შესრულება შესაძლებელია, მაგრამ შესრულების სიმძიმის გამო გონიერების ფარგლებს მიღმა მისი შესრულება. მათ შორი, აგრეთვე, განმასხვავებელია პასუხისმგებლობის საკითხიც. შესრულების შეუძლებლობის მოქმედების პირობებში, მთლიანი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაშიც კი, მოვალე პასუხს არ აგებს შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის, შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებები კი მხოლოდ იმ ფარგლებში გამორიცხავს პასუხისმგებლობას, რომელ ფარგლებშიც შესრულება დამძიმდა. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ამ ორ ინსტიტუტს ერთმანეთისგან განასხვავებს, არის ის, რომ დროებითი შესრულების შეუძლებლობისას შესრულება გადაიდება ამ გარემოებების გასვლამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეები მოითხოვენ ხელშეკრულების მოშლას. დამაბრკოლებელი გარემოებების დროს მხარე ავტომატურად ვერ დაეყრდნობა ამ გარემოებას და ვერ დაელოდება მათ ამონურვას, ცალმხრივი მოქმედებით (შეთანხმების გარეშე). ასევე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია ისიც, რომ შესრულების შეუძლებლობა არ წარმოშობს ხელშეკრულების შეცვლის ვალდებულებას (ასეთი ცვლილება მაინც ვერ განხორციელდება, იმდენად, რამდენადაც იმავეს შესრულება ნებისმიერი ცვლილებით შეუძლებელი იქნება) რაც შეეხება დამაბრკოლებელ გარემოებებს, მათი დადგომისას შეიძლება ხელშეკრულების შეცვლა და ახალი პირობების ადაპტირება ხელშეკრულებაში.

დოქტრინისა და სასამართო პრაქტიკის მიერ შემუშავებული იქნა იმ მახასიათებლების ჩამონათვა-

ლი, რომლებიც მოვალის პასუხისმგებლობას გამორიცხავს ვალდებულების შეუსრულებლობისას. ეს მახასიათებლები გათვალისწინებულ იქნა საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ გაეროს კონვენციის 79-ე მუხლის პირველ პუნქტში, ასევე, ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 8.108 მუხლში. ორივე აქტის თანახმად, ხელისშემშლელი გარემოებები მოვალისათვის უნდა იყოს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხელშეკრულების დადების დროს და მას არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ეს გარემოებები ან მათი შედეგები თავიდან აიცილოს, ე.ი. ისინი უნდა იყოს მისი კონტროლის მიღმა. ამავე დროს, ორივე დასახელებული აქტი ავტომატურად არ ათავისუფლებს მხარეს პასუხისმგებლობისგან. აუცილებელია, მხარემ, რომელიც ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების არსებობისას, მეორე მხარეს შეატყობინოს ასეთი გარემოებების გამო მისი ვალდებულების შესრულებისთვის ხელის შეშლის თაობაზე. ასეთი შეტყობინება კრედიტორს უნდა გაეზავნოს ბრალეული გაჭიანურების გარეშე მას მერე, რაც მოვალემ შეიტყო ან უნდა შეეტყო ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება და უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რაც კრედიტორს მიადგება.

ამრიგად, შეიძლება გამოვყოთ ის წინაპირობები, რომლებიც უნდა იყოს მოვალის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველი, როცა ის ვალდებულების შესრულებისას წააწყდება ხელისშემშლელ გარემოებებს. ასეთი წინაპირობებია: ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოების მოვალის კონტროლს მიღმა არსებობა და მისი წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობა.

გარდა ზემოთ დასახელებული მახასიათებლებისა, ვალდებულების შესრულების შეუძლებლად მიჩნევისთვის აუცილებელ წინაპირობებად, ასევე, მოხსენიებულია, რომ შესრულება დროებით ან სამუდამოდ უნდა იყოს შეუძლებელი²¹.

21 W. Melis, Force Majeure and Hardship Clauses in International Commercial Contracts in View of the Practice of the ICC Court of Arbitration. 1 J. Int'l Arb. 19846. გვ. 213

შესაძლებელია მოვალისთვის ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოება წინასწარ გაუთვალისწინებელი და მისი კონტროლის მიღმა იყოს, მაგრამ მან ვერ აირიდოს პასუხისმგებლობა. ასეთ შემთხვევაში მაშინ ექნება ადგილი, როდესაც მოვალეს ვალდებულება უნდა შეესრულებინა შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების წარმოშობამდე და მან შესრულების ვადას გადააცილა. ასეთ შემთხვევაში იგი პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა, ვინაიდან შესრულების შეუძლებლობა ან გართულება არ წარმოიშობოდა, მოვალეს ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადა რომ არ გადაეცილებინა²².

ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების არსებობისას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ყველა წინაპირობა არსებობდეს მოვალის პასუხისმგებლობის გამორიცხვისათვის, შეიძლება, რომ თავად მხარეებმა თავიანთ ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ ასეთი გარემოებების დადგომისას რისკის განაწილების საკითხი. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების დანაწესი მიიჩნევა კანონის ნორმათა შემცველად. რისკის განაწილების თაობაზე მხარეთა შეთანხმება უნდა იყოს მკაფიოდ გამოვლენილი. ასევე, მისი განაწილება მხარეთა შორის შეიძლება იყოს საგულისხმოც²³.

2.1. გარემოების „წინასწარ გაუთვალისწინებლობა“

ვალდებულების შესრულების ხელის შემშლელი გარემოება უნდა იყოს წინასწარ გაუთვალისწინებელი, არა მარტო არახელსაყრელ პირობებში აღმოჩენილი მხარისათვის, არამედ ნებისმიერი ანალოგიური ვალდებულების შემსრულებელი პირისთვის. UNIDROIT-ის პრინციპები, გარემოების წინასწარ გაუთვალისწინებლად მიჩნევისთვის, ადგენს სუბიექტის შესაძლებლობას განმსაზღვრე-

ლად. ასეთი გარემოების წინასწარ გათვალისწინება უნდა იყოს შეუძლებელი როგორც კონკრეტული მოვალისთვის, ასევე, ნებისმიერი წინდახედული და გონიერი შემსრულებლისთვის.

გარემოების წინასწარ გაუთვალისწინებლობაზე, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე საუბრისას, ყურადსაღებია სუბიექტის მიერ გარემოების აღქმის მომენტი. ის გარემოებანი, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, მისი დადების შემდეგ უნდა შეიცვალოს, რათა მხარეს წარმოეშვას პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობა. ამის მიზეზი ისაა, რომ თუ მხარეებს შეეძლოთ ხელშეკრულების დადების დროს ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების გათვალისწინება, ისინი ამ გარემოებებს ხელშეკრულებაში გაითვალისწინებდნენ, ხოლო მათი გაუთვალისწინებლობისას მხარე არის ამ ტვირთის მატარებელი²⁴.

გარემოება მოვალისთვის წინასწარ გაუთვალისწინებელია თუ არა, უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ვითარების შეფასების გზით. ყურადღება უნდა მიექცეს ვალდებულების შესრულების ადგილს, დროს და ვითარებას. თუ, დავუშვებთ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს მენყერსაში ზონაში, მაშინ ივარაუდება, რომ მხარეებმა ხელშეკრულების დადების მომენტში იციან ასეთი გარემო პირობების შესახებ და თავის თავზე უნდა აიღონ შესრულების ხელის შეშლის რისკიც.

2.2. „აუცდენელი“ (მოვალის კონტროლს მიღმა არსებული) გარემოებები

ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოება უნდა იყოს არახელსაყრელ პირობებში აღმოჩენილი მხარის კონტროლს მიღმა. ასეთი გა-

22 ნ. ჩიტაშვილი. გვ. 184

23 ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე. გვ. 403

24 Joseph. M. Perillo, Force Majeure and Hardship under the UNIDROIT principles of international commercial contracts. Tulane Journal of International and Comptive Law, 19976.

რემოება მაშინ არის სახეზე, როდესაც მხარე სახელშეკრულებო ურთიერთობაში წარმოშობილ დაბრკოლებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას მოკლებულია²⁵. ამასთან, ასეთი გარემოების დადგომაში მას არ უნდა მიუძღოდეს წვლილი.

თუ მოვალემ საკუთარი ბრალეული მოქმედებით უკიდურესად დაამძიმა შესრულება, მაშინ იგი შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების პრივილეგიით ვერ ისარგებლებს და შესაბამისად ვალდებული იქნება, არაგონივრულად დიდი ხარჯების ფასად, განახორციელოს ხელშეკრულებით შეთანხმებული პირველადი ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ მხარის მიერ მისი კონტროლის მიღმა არსებულ გარემოებებზე ზემოქმედებაზე საუბრისას, აუცილებელი არაა, რომ მას მოეთხოვოს დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრა ისეთი მოქმედებით, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის შეუსაბამო, არაპროპორციული ან უკანონოა.

3. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის და შესრულების გართულების გარეთულები მოვალის ნაწარმოები უფლებამოსილია

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა და შესრულების გართულება ყურადღებას იქცევს მოვალის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, იმდენად, რამდენადაც აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რა შედეგები დადგება მის მიერ ასეთ ვითარებაში ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. კრედიტორის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, აუცილებელია, მან იცოდეს, რისი მოთხოვნის უფლება შეიძლება ჰქონდეს მას მოვალისგან ასეთი გარემოებების დადგომისას და რისი – არა.

სამართლით დადგენილი წესრიგი უნდა უზრუნველყოფდეს ურთიერთობის ყველა მონაწილის ინტერესების თანაზომიერად დაცვას, ამიტომ არ შეიძლება, რომ ვალდებულების დარღვევისას, ხელშეკრულების შესრულების ხელისშემშლელ გარემოებებზე დაყრდნობით, მოვალე გათავისუფლდეს ყველაფრისგან. მოვალე არ შეიძლება „სიხარულით შეხვდეს“ ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელ გარემოებებს, იმ იმედით, რომ იგი სახელშეკრულებო ურთიერთობისას წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულებისგან გათავისუფლდება.

ხელშეკრულების შეუსრულებლობისას პირველადი ვალდებულებისაგან გათავისუფლება არ გულისხმობს მოვალის პასუხისმგებლობის სრულ გამოირიცხვას, რადგანაც დამრღვევი მხარის მიმართ კრედიტორის სასარგებლოდ აღმოჩნდება მეორადი მოთხოვნის უფლებები²⁶.

იმის მიხედვით, თუ როგორია შესრულების ხელისშემშლელი გარემოების ხასიათი – შესრულებას შეუძლებელს ხდის, თუ მხოლოდ ართულებს მას – განსხვავებული შედეგები დგება.

3.1 ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება

ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების არსებობისას პირველ რიგში უნდა გაირკვეს, თუ რა ბედი ეწევა მხარეებს შორის დადებულ ხელშეკრულებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პატივსაღები საფუძვლიდან გამომდინარე, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე. პატივსაღები საფუძველი შეიძლება იყოს როგორც სუბიექტური გარემოება, დაკავშირებული ხელშეკრულების ერთ-ერთ მონაწილესთან, ასევე – ობიექტური. კოდექსი განმარტავს, თუ რა შეიძლება იყოს პატივსაღები საფუძველი და ამბობს,

25 ნ. ჩიტაშვილი. გვ. 184

26 ნ. ჩიტაშვილი. გვ. 178

რომ ასეთი საფუძველი სახეზეა, როდესაც ხელშეკრულების მომწოდებელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალის და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისთვის დაწესებული ვადის გასვლამდე.

როგორც მოცემული მუხლის ფორმულირებიდან ჩანს, მხარის უფლება, დაუძლეველი ძალის ზემოქმედებისას მოშალოს ხელშეკრულება, პირდაპირ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსში. მიუხედავად მუხლის ფორმულირებისა, შესრულების შეუძლებლობის სხვა შემთხვევებთან დაკავშირებითაც უნდა ითქვას, რომ მათი მოქმედების დროს ხელშეკრულების მოშლა ისევეა შესაძლებელი, როგორც დაუძლეველი ძალის დროს. რაც შეეხება ვალდებულების შესრულების გართულებას, ასეთ ვითარებაში ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სადაც საუბარია შემთხვევაზე, როდესაც მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხზე, ან როდესაც ხელშეკრულების ასეთი შეცვლა შეუძლებელია.

ამასთან ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების დადგომისას ეკუთვნის როგორც მოვალეს, რომელიც ნაკისრ ვალდებულებას ვერ ასრულებს, ან მისი შესრულებისას მოუწევს შეუსაბამოდ არახელსაყრელ პირობებში აღმოჩენა, ასევე, კრედიტორს.

გაეროს კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ შესრულების შეუძლებლობისას მხარეს აძლევს ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის შესაძლებლობას. რაც შეეხება ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებს, მისი 9:303-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულება ავტომატურად უქმდება, თუ სახეზეა ისეთი ხელისშემშლელი გარემოება, რომელიც წარმოადგენს მუდმივს. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეტყობინება სავალდებულო არ არის.

ყველა შემთხვევაში – ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისას და შესრულების გართულებისას – მოვალის მიერ ხელშეკრულებაზე უარი უნდა იყოს შედეგი ასეთი გარემოებების დადგომისა.

3.2. ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლება

ზიანის ანაზღაურება მოვალეს მაშინ ეკისრება, როდესაც მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია მისი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედების შედეგად. ამიტომ, ყველაზე მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, რასაც შესრულების ხელისშემშლელი გარემოებები ანიჭებენ მოვალეს მის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას, სწორედ ზიანის ანაზღაურების მოვალეობისგან გათავისუფლებაა, ცალკეული გამონაკლისების გარდა.

ხშირად, მხარეები თავად ხელშეკრულებებში ითვალისწინებენ პასუხისმგებლობის გამორიცხვას, ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების დადგომისას. შესაბამისი დათქმები მონოდედებულია, დაეხმაროს მხარეებს იმ ზიანის მინიმიზაციაში, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს შესრულების ხელისშემშლელმა გარემოებებმა. ტიპური დათქმა ფორს მაჟორზე ითვალისწინებს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე იმ შემთხვევებისათვის, როდესაც შესრულება, ფაქტობრივად ან იურიდიულად, შეუძლებელია. ამის საპირისპიროდ, *clausula rebus sic stantibus* – გარემოების არსებითი შეცვლის შესახებ – გამოიყენება მაშინ, როდესაც ხელშეკრულებაში არსებული პირობები იცვლება ისე, რომ, მართალია, შესრულება არ არის შეუძლებელი, მაგრამ მხარისთვის ეს უკიდურესად მძიმეა.

მიუხედავად იმისა, გაითვალისწინებენ თუ არა ხელშეკრულებით მხარეები ზიანის ანაზღაურების მოვალეობისგან გათავისუფლების შესაძლებლობას, ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების დადგომისას, მოვალე მაინც თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, ვინაიდან

ხელისშემშლელი გარემოებების დროს პასუხისმგებლობის გამორიცხვა გამომდინარეობს კანონის ობიექტური ნებიდან და არა – მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან.

თუ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია ან გართულებულია მხოლოდ ნაწილობრივ, მაშინ შეიძლება საუბარი მხოლოდ ამ ნაწილისთვის მოვალის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე. დანარჩენ ნაწილში მოვალე რჩება პასუხისმგებელი.

შესრულების შეუძლებლობის არსებობისას, მოვალე უპირობოდ თავისუფლდება პირველადი ვალდებულების შესრულებისაგან, მიუხედავად იმისა, მიუძღვის თუ არა მას ბრალი შესრულების შეუძლებლობის დადგომაში, ვინაიდან შეუძლებლის შესრულება არავის ავალდებულებს. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების საკითხს, ის ყველა შემთხვევაში დამოკიდებულია მოვალის ბრალეულობაზე. ამასთან მნიშვნელობა არ აქვს ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების დადგომა მოვალემ განზრახვით გამოიწვია, თუ გაუფრთხილებლობით.

საინტერესოდ რეგულირდება შესრულების გართულებისას ზიანის ანაზღაურების საკითხი გერმანიის სამოქალაქო კოდექსით. აღნიშნული კოდექსის მიხედვითაც, თუ მოვალე არ თავისუფლდება შესრულების ვალდებულებისაგან იმის გამო, რომ ასეთი დამაბრკოლებელი გარემოების დადგომაში მას ბრალი თვითონ მიუძღვის, იგი ზიანის ანაზღაურებისგან მაინც თავისუფლდება, ვინაიდან სახელშეკრულებო ურთიერთობა ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ რეჟიმში არ ტრანსფორმირდება²⁷.

ნებისმიერ შემთხვევაში, მოვალეს არ შეუძლია დაეყრდნოს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ წინაპირობებს, თუკი მან ასეთი გარემოებების დადგომამდე უარი განაცხადა ნაკისრი ვალდებულებების

შესრულებაზე. ასეთი მიდგომა გამართლებულია, ვინაიდან შესრულების შეუძლებლობა და მისი გართულება მოვალეს ზიანის ანაზღაურებისგან ათავისუფლებს იმის გამო, რომ მას ვალდებულების დარღვევაში ბრალი არ მიუძღვის.

შესრულების შეუძლებლობისას, მხოლოდ მოვალის არაბრალებული მოქმედების დროს, მისი პასუხისმგებლობის გამორიცხვაზე საუბრობს ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 9:501 (1) მუხლი, რომლის მიხედვითაც, ვალდებულების დარღვევა, შესრულების არაბრალებული შეუძლებლობის სახით, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველია და, შესაბამისად, გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არსებობას²⁸.

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 8.101.2 მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების არსებობა კრედიტორს, მეორადი მოთხოვნის უფლებებიდან, ართმევს ვალდებულების დამატებითი შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსისგან, აღნიშნულ პრინციპებში არაა გათვალისწინებული შემთხვევა, თუ რა ბედი ეწევა მოვალეს მის მიერ ხელისშემშლელი გარემოებების ბრალეულად გამოწვევისას – უნდა შეასრულოს ხელშეკრულების პირობები რადაც არ უნდა დაუჯდეს, თუ უნდა აანაზღაუროს კრედიტორის მოთხოვნის შესაბამისი ოდენობის ზიანი.

4. ვალდებულების შესრულების გართულებისას, შეცვლილი გარემოებებისა და ხელშეკრულების მისადაგებისადმი

ვალდებულების შესრულების გართულებისას, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების კანონით მინიჭებული შესაძლებლობის გამოყენება, მხარის უფლებაა, რომლის სწორად

27 ნ. ჩიტაშვილი. გვ. 181
28 ნ. ჩიტაშვილი. გვ. 178

განხორციელებაზეა დამოკიდებული მოვალის სუბიექტური უფლებების დაცვა. მას მერე, რაც მოვალე ვალდებულებას შეასრულებს, იგი კარგავს შესრულების გართულების გამო კრედიტორისათვის პრეტენზიების წარდგენის უფლებას. შესრულების შემდგომ, მხარის პრეტენზიებს საფუძველი ეცლება, როგორი დამამძიმებელიც არ უნდა იყოს ეს მისთვის. თუმცა, როდესაც სახეზეა გართულებული ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება, მოვალეს შეუძლია, დარჩენილი ნაწილის მიმართ მოითხოვოს კანონით მინიჭებული შესაძლებლობები, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნით²⁹.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება მოითხოვს მხარეთა კეთილსინდისიერ მიდგომას მეორე მხარის ინტერესებისადმი და მხარეთა შორის მოლაპარაკება ისე უნდა წარიმართოს, რომ სათანადოდ დაბალანსდეს ორივე მხარის ინტერესები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის ავტორების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვალდებულების შესრულების გართულებისას, მხარეები ვალდებულნი არიან, ეცადონ, ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს³⁰.

ერთი შეხედვით, ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობისას, მეორე მხარის „უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების“ პრინციპის გათვალისწინებით, აუცილებელი უნდა იყოს ხელახალი მოლაპარაკება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიზნით, თუმცა სავსებით სწორად არის გამოთქმული მოსაზრება იურიდიულ ლიტერატურაში, რომ, ჯერ ერთი, კონსტრუქციული მოლაპარაკება არ შეიძლება იძულების გზით განხორციელდეს, რადგან ეს ორი მოვლენა (მოლაპარაკება და იძულება) ერთმანეთს

გამორიცხავს და, მეორეც, ყველა შემთხვევაში ხელშეკრულების ძალაში დატოვება და შეცვლილი გარემოებებისადმი მისი მისადაგება შეიძლება გაუმართლებელი გამოდგეს. ამასთან, მოლაპარაკებების ხანგრძლივობამ შეიძლება გაართულოს მართი ურთიერთობები³¹.

არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და არც გერმანიის სამოქალაქო კოდექსი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა ვადაში უნდა მოითხოვოს დაზარალებულმა მხარემ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება. UNIDROIT-ის პრინციპების 6.2.3(1) მუხლი დაზარალებულ მხარეს შესაძლებლობას აძლევს, ბრალეული გაჭიანურების გარეშე მოითხოვოს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება. მიუხედავად ასეთი ჩანაწერის არსებობისა, თუ მხარე გააჭიანურებს მეორე მხარისადმი ასეთი მოთხოვნის წარდგენას, ეს ავტომატურად არ ართმევს მას ხელშეკრულების შეცვლის მოთხოვნის უფლებას. თუ ასეთი მოთხოვნა გამართლებულია, მეორე მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად მიუდგეს მეორე მხარის უფლებებსა და ინტერესებს და შეუთანხმდეს მას ხელშეკრულების შეცვლაზე. თუ ასეთი შეთანხმება ვერ მოხდა, ან მოხდა არაკეთილსინდისიერად, არახელსაყრელ პირობებში აღმოჩენილ მხარეს შეუძლია მოსთხოვოს მას ზიანის ანაზღაურება.

ხელშეკრულების შესრულების გართულების წინაშე აღმოჩენილმა მხარემ, კრედიტორისათვის ხელშეკრულების გადასინჯვის მოთხოვნით მიმართვისას, უნდა დაადასტუროს ასეთი გარემოების არსებობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა საყოველთაოდ ცნობილი გარემოება.

იბადება კითხვა, შეუძლია თუ არა ვალდებულების შემსრულებელ მხარეს, რომელიც წააწყდება შესრულების გართულებას, შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულებაში ადაპტირებამდე, შეაჩეროს

29 ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე. გვ. 403

30 იხ. ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე. გვ. 404

31 I. Schwenzler. დასახელებული ნაშრომი. გვ. 7

ვალდებულების შესრულება. მხარეს UNIDROIT-ის პრინციპების 6.2.3 მუხლის თანახმად, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საკითხის გადაწყვეტამდე, თავისთავად არ ენიჭება შესაძლებლობა, თავი შეიკავოს შესრულებისაგან. შეჩერება შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ საგანგებო სიტუაციებში³².

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საკითხი გაითვალისწინა საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკის კომისიამ, მის მიერ შემუშავებულ ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების სარეკომენდაციო ხასიათის ჩამონათვალში. ვალდებულების შესრულების გართულების შემთხვევაში, მხარეებმა უნდა სცადონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. ამ სტადიაზე მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ 1978 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული წესები ხელშეკრულებათა გადასინჯვის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, ინიშნება სპეციალურად მესამე პირი, რომელიც მოახდენს ამ ხელშეკრულების მისადაგებას არსებულ სიტუაციასთან. თუ ვერ შეთანხმდნენ, მაშინ მხარეებს შეუძლიათ მიმართონ უფლების დაცვის სამართლებრივ პროცედურებს³³.

დასკვნა

როგორც დავინახეთ, ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, განსხვავებული მიდგომებია სხვადასხვა ქვეყანაში. ევროპის ქვეყნები მიისწრაფიან საერთო ევროპული სამოქალაქო კოდექსის შექმნისკენ. საქართველო ევროპის ნაწილია, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სამოქალაქო კოდექსის დებულებების ჰარმონიზება მოხდეს ევროპის

ქვეყნების სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან, რომლებიც, თავის მხრივ, ცდილობენ, გაითვალისწინონ საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტების დებულებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები შეიცავს როგორც ხარვეზებს, ასევე მნიშვნელოვანი ვაკუუმია ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, მიზანშეწონილია კოდექსს დაემატოს დამოუკიდებელი თავი შესრულების შეუძლებლობის შესახებ, რომელშიც უნდა მოწესრიგდეს შესრულების შეუძლებლობის ცალკეული შემთხვევები, მისი წარმოშობის წინაპირობები და პასუხისმგებლობის საკითხი. ამასთან, შესრულების შეუძლებლობა, იმდენად, რამდენადაც იწვევს ვალდებულების შეუსრულებლობას, მოთავსებული უნდა იქნას ვალდებულების დარღვევის კარში, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, როგორც ვალდებულების ბრალეულ, ისე არაბრალეულ შეუსრულებლობას, ვალდებულების დარღვევად განიხილავს³⁴.

რაც შეეხება შეცვლილი გარემოებების შესახებ დებულებებს, მიზანშეწონილია, რომ ისინი გათვალისწინებული იყოს არა ვალდებულების დარღვევის კარში, როგორც ეს დღეს არის წარმოდგენილი, არამედ ვალდებულების შესრულების კარში. შეცვლილი გარემოებები ვალდებულების შესრულებას არ გამოორიცხავს, ამიტომ შესრულების გართულების დროს, ასეთი „სიმძიმის“ შედეგები სწორედ შესრულების კონტექსტში უნდა იყოს განხილული. ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებები ვალდებულების შესრულების ხელისშემშლელი გარემოებების არსებობისას, საჭიროებს გადახედვასა და სრულყოფას, უცხოური გამოცდილების გაზიარებით.

32 ლ. ჭანტურია, ბ. ზოიძე. გვ. 406

33 W. Melis. გვ. 215

34 ზ. ძლიერიშვილი, გ. ცერცვაძე, ი. რობაქიძე, გ. სვანაძე, ლ. ცერცვაძე, ლ. ჯანაშია. სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი 2014წ. გვ. 505

დერივატიული სარჩელი – DERIVATIVE LAWSUIT



ლაშა ცერცვაძე

ადვოკატი, LL.M., MLB, იურიდიული კომპანია FLS Full Legal Service მმართველი პარტნიორი.

შესავალი

დერივატიულ სარჩელთან დაკავშირებით ქართული სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს. იმის გათვალისწინებით, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ასეთი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას ითვალისწინებს, ცხადია, დიდია ალბათობა იმისა, რომ ქართულ სასამართლოებს ამგვარი დავების განხილვა და გადაწყვეტა მოუწევს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. წინამდებარე სტატია წარმოადგენს მოკლე მიმოხილვას დერივატიულ სარჩელის დადებითი და უარყოფითი მხარეების, მისი

ბუნებისა და ამგვარი სარჩელის მიერ საკორპორაციო სამართალში შესრულებული როლის შესახებ.

აქციონერები, როგორც წესი, არ არიან უფლებამოსილი, აღასრულონ კომპანიის უფლებები. მაგალითად, თუკი დირექტორმა დაარღვია საკუთარი ვალდებულება და კომპანიის ხარჯზე დააგროვა ერთი მილიონი აშშ დოლარი, აქციონერს არ აქვს უფლება, წარადგინოს მის წინააღმდეგ სარჩელი და მოითხოვოს იმ დანაკარგის პროპორციულად ანაზღაურება, რაც მან განიცადა. აღნიშნული წესი მოქმედებს იმიტომ, რომ კომპანია წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, რომელიც განცალკევებულია კონკრეტული აქციონერისაგან. მოცემულ შემთხვევაში აქციონერი უფლებამოსილია წარადგინოს სარჩელი როგორც კომპანიის წარმომადგენელმა, კომპანიის სახელით და მის სასარგებლოდ.

დირექტორები წარმოადგენენ კომპანიის ინტერესებს და მის მიმართ გააჩნიათ ვალდებულებები. შესაბამისად, მათ მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ისინი პოტენციურად პირდაპირ ზიანს აყენებენ სწორედ კომპანიას, ხოლო არაპირდაპირ ზიანს – კომპანიასთან დაკავშირებულ სხვა პირებს, აქციონერებს, დასაქმებულებს, კრედიტორებს. შესაბამისად, პირველ რიგში, კომპანია უფლებამოსილია, წარადგინოს სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ, მის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო. თუმცა საქმე ისაა, რომ ხშირად კომპანია დირექტორების კონტროლის ქვეშაა და ეს უკანასკნელი საკუთარი თავის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენასთან დაკავშირებით, ცხადია, არ მიიღებენ გადაწყვეტილებას. ითვალისწინებს რა ასეთი შესაძლებლობის არსებობას, საკორპორაციო კანონმდებლობა აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს ანიჭებს უფლებამოსილებას, დამრღვევ დირექტორთა წინააღმდეგ, კორპორაციის ნაცვლად, თავად წარადგინონ სარჩელი¹.

1 A., Loos, (Edit) Winckler, Ripin, United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006, 103.

1. ზოგადი მიმოხილვა

კომპანიათა შესახებ მოდელური აქტის თანახმად (RMBCA)² აქციონერმა რომ სარჩელი წარადგინოს კომპანიის სახელით, ორ წინაპირობას უნდა აკმაყოფილებდეს: პირველი, იგი უნდა ფლობდეს აქციებს დირექტორის მიერ გადაცდომის ჩადენის მომენტი-სათვის და მეორე, აქციონერმა მიმართა კომპანიას აღნიშნული სარჩელის წარდგენის მოთხოვნით, მაგრამ დირექტორატმა უარი განაცხადა სარჩელის წარდგენაზე, ან თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დირექტორატის მხრიდან სარჩელის შეტანისაგან თავის შეკავება. თუ აქციონერის სარჩელი წარმატებული აღმოჩნდება, ამ უკანასკნელის მიერ მიღებული თანხა ჩაირიცხება კომპანიის ხაზინაში და ის პირდაპირ, პირადად მას ვერ მიიღებს.³

თუკი კომპანიას მესამე პირთა მხრიდან მიადგა ზიანი, დირექტორატია ის უფლებამოსილი ორგანო, ვინც კომპანიის სახელით უნდა წარადგინოს სარჩელი ასეთი პირების წინააღმდეგ და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. მაგრამ თუ კომპანია არ წარადგენს სარჩელს, აქციონერია უფლებამოსილი, წარადგინოს იგი კომპანიის სახელითა და მის ნაცვლად⁴. აღნიშნულ სარჩელს ეწოდება დერივაციული, ანუ ნაწარმოები სარჩელი, ვინაიდან იგი ნაწარმოები და წარმოშობილია კომპანიის უფლებებისგან. აქციონერს შეუძლია წარადგინოს დერივაციული სარჩელი თუ იგი:

- ზიანის მიყენების მომენტისათვის აქციონერი იყო,
- სარჩელის წარდგენა წარმოადგენს კომპანიის საუკეთესო ინტერესს,

- მან წერილობით მოითხოვა კომპანიისგან ასეთი სარჩელის წარდგენა, მაგრამ მისი მოთხოვნის მიუხედავად, კომპანიას სარჩელი არ წარუდგენია და მოთხოვნიდან გასულია 90 დღე.⁵

როგორც წესი, აქციონერმა წერილობით უნდა მოითხოვოს დირექტორთა მხრიდან სარჩელის აღძვრა ზიანის მიმყენებლის მიმართ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხშირად ზიანის მიმყენებელს თავად დირექტორები წარმოადგენენ, ასეთ შემთხვევაში აქციონერი არ არის ვალდებული წერილობითი მოთხოვნა წარუდგინოს ჯერ დირექტორებს და მხოლოდ 90 დღის უშედეგოდ გასვლის შემდეგ აღძრას დერივაციული სარჩელი.⁶

სასამართლო უარს იტყვის დერივაციული სარჩელის განხილვაზე, თუკი დამოუკიდებელი დირექტორების უმრავლესობის ან სასამართლოს მიერ დანიშნულ დამოუკიდებელ პირთა მიერ წარმოდგენილ იქნება დასკვნა, რომ დერივაციული სარჩელი არ ემსახურება კომპანიის საუკეთესო ინტერესებს. ამგვარი გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერად, საქმის სათანადოდ, გონივრულად შესწავლისა და გამოძიების საფუძველზე.⁷

თუ აქციონერის მიერ წარდგენილი დერივაციული სარჩელი წარმატებული აღმოჩნდება, წარმატების შედეგად მიღებული ნებისმიერი სახის ანაზღაურებას მიიღებს კომპანიის ხაზინა. აქციონერი უფლებამოსილია აინაზღაუროს სარჩელის წარდგენისათვის გაწეული გონივრული ხარჯები, მაგალითად, ხარჯები ადვოკატის, იურისტის მომსახურებისათვის და ა.შ.⁸

ინგლისში კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად მოქმედება შესაძლოა, ასევე, თავის თავში გუ-

2 Revised Model Business Corporation Act (RMBCA)

3 J., Barnes, Dworkin, Richards, Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 550.

4 Revised Model Business Corporation Act sec. 7.40

5 RMBCA sec. 7.40

6 H., Cheesemen, Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 622.

7 H., Cheesemen, Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 622.

8 H., Cheesemen, Business law: Legal Environment, Online Commerce, Business Ethics, and International Issues, 10th Ed, Pearson Education, New Jersey, 2013, 622.

ლისხმობდეს ინფორმაციის მიწოდებას დირექტორის მხრიდან თავად ამ უკანსკნელის ან სხვა დირექტორის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან დაკავშირებით.⁹ სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ამ ვალდებულების მოთხოვნები იმის დასადგენად, იყო თუ არა შეაძლებელი დერივაციული სარჩელის წარდგენა.¹⁰

ვინაიდან დირექტორებს ვალდებულება აქვთ საწარმოს მიმართ, ამ ვალდებულებათა დარღვევის გამო „დამნაშავე“ დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის უფლება სწორედ კომპანიას გააჩნია. ხოლო თუკი კომპანიას არ შეუძლია ან არ გამოთქვამს სურვილს უჩივლოს „დამნაშავე“ დირექტორს (რაც, ძირითადად, მაშინ ხდება როდესაც ეს უკანასკნელი აკონტროლებს კომპანიას) ასეთ შემთხვევებში აქციონერები, წილის მფლობელები არიან ის პირები, რომლებსაც უფლება აქვთ წარადგინონ დერივაციული სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ საკუთარი სახელით, მაგრამ კომპანიის ნაცვლად.¹¹

კომპანიათა შესახებ აქტის 261-ე პარაგრაფის თანახმად, აქციონერმა, რომელსაც დერივაციული სარჩელის წარდგენა სურს, ამასთან დაკავშირებით თანხმობა სასამართლოსგან უნდა მიიღოს. სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, დაუშვას დერივაციული სარჩელი თუ – არა. მოსარჩელეს მოუწევს, წარადგინოს სათანადო მტკიცებულებანი აღნიშნული უფლების მოსაპოვებლად, ხოლო თუკი ამას ვერ შეძლებს, სასამართლო უარს ეტყვის მას დერივაციული სარჩელის წარდგენაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო უფლებამოსლია, გამოსცეს შესაბამისი ბრძანება (consequential order), თუკი იგი ამას საჭიროდ მიიჩნევს.¹²

ინგლისური კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ თავად კომპანიაა უფლებამოსილი, უჩივლოს სასამართლოში მის ყოფილ ან არსებულ დირექტორს, ვალდებულებათა დარღვევის გამო. ფაქტობრივად, დირექტორებს აქვთ ასეთ შემთხვევაში სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება, ვინაიდან კომპანია ხელოვნურად შექმნილი სუბიექტია და მას არ შეუძლია იმოქმედოს დირექტორატის გარეშე. დირექტორატის მხრიდან სარჩელის წარდგენის შემთხვევებს ადგილი აქვს ხოლმე, ძირითადად, როდესაც ერთი კომპანია დაეუფლება მეორეს. ასევე, კომპანიის ლიკვიდატორი ან ადმინისტრატორი არის უფლებამოსილი პირი, წარადგინოს სარჩელი.¹³

სასამართლოს მინიჭებული აქვს ძალაუფლება, ნება დართოს ინდივიდუალურ აქციონერს, რათა ამ უკანასკნელმა, დერივაციული სარჩელის გამოყენებით, წარადგინოს მოთხოვნა ვალდებულების დამრღვევი დირექტორის წინააღმდეგ, კომპანიის ნაცვლად და კომპანიის სახელით.¹⁴

გერმანიის სააქციო კანონის 117-ე პარაგრაფის შესაბამისად, ზიანის მოთხოვნის უფლება აქვს საზოგადოებას დირექტორატის მეშვეობით და არა – ცალკეულ აქციონერს¹⁵. თავად აქციონერს დამოუკიდებლად არ აქვს უფლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წაუყენოს ზიანის მიმყენებელს, ამისათვის მან, თავდაპირველად, უნდა მიმართოს საზოგადოების დირექტორატს, როგორც ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით ორგანოს.¹⁶ ვინაიდან გერმანიას ორსაფეხურიანი მართვის სისტემა აქვს, სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია ვალდებულება (და არა დისკრეტია), წარადგინოს სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ, რათა თავიდან აიცილოს საკუთარი პასუხისმგებლობა კომპანიის მიმართ.¹⁷

9 GHLM Trading Ltd v. Maroo (2012)EWHC 61 (Ch) at (168) ხელმისაწვდომია: <http://www.bailii.org/ew/cases/EWHC/Ch/2012/61.html> (ბოლოს გამოსმოზილია: 09.05.2014)

10 R., Hollington, Hollington on Shareholder's Rights, 7th Ed, Sweet & Maxwell, London, 2013, 67.

11 A., Loose, Griffiths, Impey, The Company Director, Power, Duties and Liability ,10th Ed, Jordan Published Limited, Bristol, 2008, 301.

12 CompaniesAct2006,Para:261(1,2),ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოსმოზილია :12.05.2014)

13 R., Smerdon, A practical Guide to Corporate Governance, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010, 90.

14 R., Smerdon, A practical Guide to Corporate Governance, 4th Ed, Sweet&Maxwell, London, 2010, 90.

15 Aktiengesetz (AktG-) para. 117

16 ბურდული, მცირე აქციონერის უფლებათა ბოროტად გამოყენება/ თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009, 270-271.

17 A., Loos, (Edit) Germany in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006,289.

2. დერივატიული სარჩელი „მენარმეთა შესახებ“ კანონში

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.5-ე მუხლი სს-ის პარტნიორს დერივატიული სარჩელის აღძვრის უფლებას 2008 წლის მარტში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ აძლევს. თუმცა, მსგავს შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებდა შპს-ს პარტნიორებისათვის, რის გამოც საკორპორაციო სამართლის სფეროში დასაქმებულ იურსტებს ერთადერთ იმედად 53.5 მუხლის ანალოგიის წესით გამოყენების შესაძლებლობა რჩებოდა. თუმცა ეს მხოლოდ თეორიული მსჯელობა იყო და რამდენად გაიზიარებდა სასამართლო ამ მოსაზრებას, ცხადია, არავინ იცოდა. 2014 წლის 31 ოქტომბერს მენარმეთა კანონში შევიდა ცვლილება, კერძოდ, კანონის 46-ე მუხლს დაემატა მე-5 ნაწილი¹⁸, რომლითაც შპს-ის პარტნიორს მიენიჭა დერივატიული სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა. აღნიშნული ცვლილება, ცხადია, დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ მენარმეთა კანონის 46.5 და 53.5 მუხლები დაზუსტებას საჭიროებენ.

კანონის დასახელებული ნორმები ორ ალტერნატივას უტოვებს კომპანიას. ვინაიდან კომპანიას წარმოდგენს დირექტორატი, შესაბამისად, ამ ორგანოს აქვს ორი ალტერნატივა: პირველი, აღძვრას დერივატიული სარჩელი დამრღვევის მიმართ, ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის ვადაში და, მეორე, ამავე ვადაში დაასაბუთოს, რომ დერივატიული სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება კომპანიის ინტერესებს.

უმთავრესი კითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, შემდეგია: ვის წინაშე

უნდა მოხდეს იმის დასაბუთება, რომ სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს? მიზანშეწონილია საკითხი განხილულ და გადანყევტილ უნდა იქნეს პარტნიორთა/აქციონერთა კრებაზე და კრებამ მიიღოს გადანყევტილება ხმების უბრალო უმრავლესობით.

თუკი 90 დღეში საზოგადოება არ წარადგენს სარჩელს, რომლის აღძვრასაც პარტნიორი/აქციონერი ითხოვს და არც კრების მიერ იქნება სათანადო გადანყევტილება მიღებული, მაშინ უკვე სასამართლომ უნდა იმსჯელოს წინასწარ ჯერ იმის თაობაზე, რამდენად მიზანშეწონილია სარჩელის აღძვრა კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, მოუსმინოს ორივე მხარეს და მხარეთა მოსმენის და ფაქტების შეფასების შემდეგ, მიიღოს გადანყევტილება, დაიწყოს არსებითი განხილვა თუ – არა.

„მენარმეთა კანონის“ შესაბამისი ნორმები არ ითვალისწინებენ მეტად მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ, თუ დამრღვევი აკონტროლებს კომპანიას, მაშინ კანონი უნდა იძლეოდეს სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას დაუყოვნებლივ და 90 დღე მოცდა აღარ უნდა იყოს საჭირო, ვინაიდან არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში შესაძლოა საერთოდაც აზრი დაეკარგოს სარჩელს, დამრღვევის მხრიდან განხორციელებულ ქმედებათა გამო, და მეორე, თუკი დამრღვევი აკონტროლებს კომპანიას (მაგალითად, წარმოადგენს უმრავლესობაში მყოფ აქციონერს/პარტნიორს და, ამავდროულად, დირექტორს ამ კომპანიაში), ცხადია, იგი არ მიიღებს გადანყევტილებას საკუთარი თავის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის შესახებ, შესაბამისად, 90-დღიანი მოლოდინის რეჟიმიც აბსოლუტურად

18 მენარმეთა შესახებ კანონის 46-ე მუხლს დაემატა მეხუთე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს დერივატიული სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას შპს-ს პარტნიორის მიერ, ცვლილების თანახმად: თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება პარტნიორის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძვრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ პარტნიორის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს პარტნიორს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში განეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზოგადოებისათვის საზიანო აღმოჩნდა. თუ პარტნიორი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, პარტნიორს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში განეული იმ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, რომლებიც წარმოიშვა პარტნიორის მოთხოვნასთან დაკავშირებით. პარტნიორის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს მას სასამართლო ხარჯების ანაზღაურება. (31.10.2014)

უადგილოა ასეთ შემთხვევებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ კანონში ცვლილებების განხორციელებამდე, სასამართლოები, დერივაციული სარჩელის განხილვისას, გამოასწორებენ ამ ხარვეზს.

დერივაციული სარჩელის აღძვრის უფლება უნდა ჰქონდეს, ასევე, საწარმოს კრედიტორსაც იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია გაკოტრების პირასაა. შესაბამისად, კანონში გამოყენებულ ფორმულირებას – „პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი მოთხოვნის განსახორციელებლად“ (მშკ, მუხლი 46.5, 53.5) უნდა დაემატოს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრის უფლება აქვს კრედიტორსაც, თუკი კომპანია გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის პირასაა. „მენარმეთა შესახებ“ კანონის ნორმების ფართო განმარტების საფუძველზე¹⁹ ასეთი დასკვნის გაკეთება შესაძლებელია, მაგრამ, უმჯობესია, კანონი არაორაზროვნად ადგენდეს ამ უფლებას, რათა სასამართლოს ინტერპრეტაციაზე არ იყოს დამოკიდებული კრედიტორის ბედი.

ასევე, ცალსახად უნდა ითქვას, რომ „მესამე პირს“, კანონის 46.5 და 53.5 მუხლების მიზნებისათვის, წარმოადგენს ნებისმიერი პირი, ვის მიმართაც კომპანიას შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნა, მათ შორის აქციონერები, დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში.)

აღსანიშნავია, რომ დერივაციული სარჩელის აღძვრის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და იგი შესაძლოა შეზღუდული იქნეს, კერძოდ, საკორპორაციო სამართალი იცნობს აქციონერთა მხრიდან დირექტორატის ქმედების ავტორიზაციას და რატიფიკაციას. ამდენად, აქციონერთა კრებას შეუძლია გადაწყვიტოს, რომ, მიუხედავად ჩადენილი გადაცდომისა, არ წარადგინოს სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ. როგორც წესი, ასეთი გადაწყვეტილების მიღება უბრალო უმრავლესობის მიერ ხდება.

ვინაიდან „მენარმეთა შესახებ“ კანონი დეტალურად და ნათლად არ არეგულირებს დირექტორთა გადაწყვეტილების რატიფიკაციასა და ავტორიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, მიზანშეწონილია, ქართული სასამართლოს მიერ დერივაციული სარჩელის განხილვის შემთხვევაში, გათვლისწინებულ იქნეს ამერიკული და ევროპული გამოცდილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც დეტალურად შემდეგ თავში იქნება საუბარი.

3. აქციონერთა მხრიდან დირექტორთა გადაწყვეტილების ავტორიზაცია/რატიფიკაცია და სარჩელის წარდგენაზე უარის თქმა

ბრიტანული საკორპორაციო კანონმდებლობა უშვებს შესაძლებლობას, კომპანიის აქციონერთა მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, არ ჩაითვალოს კომპანიის მიმართ ვალდებულების დარღვევად დირექტორის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც, სხვაგვარად, ვალდებულების დარღვევა იქნებოდა. აქციონერები უფლებამოსილი არიან აქციონერთა კრებაზე მოახდინონ დირექტორთა ქმედების ავტორიზაცია ან რატიფიკაცია. მათ შორის, გარდა იმ განსხვავებისა, რომ ავტორიზაციას კონკრეტული ტრანზაქციის განხორციელებამდე აქვს ადგილი, ხოლო რატიფიკაციას კი – მას შემდეგ, რაც ტრანზაქცია უკვე განხორციელდა, ასევე, არსებობს პროცედურული შინაარსის განსხვავებაც, რასაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

ავტორიზაციის შემთხვევაში, დირექტორი რომელსაც აქვს ინტერესთა კონფლიქტი საკითხთან დაკავშირებით, უფლებამოსილია, მას შემდეგ, რაც მოახდენს ტრანზაქციასთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტის გულწრფელ გამჟღავნება-დეკლარირებას, მონაწილეობა მიიღოს სხდომის მიმდინარეობაში და კეჭისყრაში, თუკი იგი ამავდროულად აქციონერიც არის. ხოლო რატიფიკაციის შემთხვევაში ვინაიდან ამ დროს ვალდებულება უკვე დარღვეულია და მხო-

19 მაგ. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი. 9.9.

ლოდ ამის შემდეგ ხდება მისი დადასტურება, ანუ რატიფიკაცია, ვალდებულების დამრღვევი დირექტორი, თუ იმავდროულად არის აქციონერიც, არ არის უფლებამოსილი მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა კრებაში და რატიფიკაციასთან დაკავშირებით ხმის მიცემის პროცესში. უფრო მეტიც, ხმის მიცემის უფლება არ უნდა მიეცეთ, ასევე, გადაცდომის ჩამდენ დირექტორთან დაახლოებულ აქციონერებს. ასევე, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ თუკი მოხდა დირექტორის ქმედების ავტორიზაცია/რატიფიკაცია, აქციონერებს აღარ აქვთ უფლება ავტორიზებულ ან რატიფიცირებულ საკითხთან დაკავშირებით აღძრან დერივაციული სარჩელი.²⁰

დირექტორთა მხრიდან გადაცდომასთან დაკავშირებული ფაქტების სრულად გამჟღავნების (Disclosure) შემდეგ, ვალდებულების დარღვევის მთელ რიგ შემთხვევებში, შესაძლოა მათი რატიფიკაცია მოხდეს აქციონერთა მხრიდან, თუკი კომპანია კვლავაც, ჩვეულებრივ, განაგრძობს საქმიანობას. რატიფიკაციას ექვემდებარება ისეთი დარღვევები, როგორცაა:

- კომპანიის წესდების შესაბამისად მოქმედების ვალდებულების დარღვევა;²¹
- კომპანიის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად და სათანადო მიზნის მისაღწევად მოქმედების ვალდებულების დარღვევა;
- ინტერესთა კონფლიქტისათვის თავის არიდების ვალდებულების დარღვევა.
- დირექტორის პოზიციაზე ყოფნის გამოყენება, პირადი სარგებელის მისაღებად;

- კომპანიაზე ზრუნვისა და სათანადო უნარების ქონის ვალდებულების დარღვევა.

რატიფიკაციის მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია თანამედროვე კომერციული ურთიერთობების პირობებში, დირექტორთა ვალდებულებების კონტექსტში, ვინაიდან გადაწყვეტილების რატიფიკაციის უფლება დირექტორატის საქმიანობას უფრო მოქნილს ხდის.²²

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორთა მიერ კომპანიის ქონების მითვისებისა და არაკეთილსინდისიერი, თალღითური მოქმედების არსებობის შემთხვევაში, აქციონერთა მხრიდან რატიფიკაცია არ არის შესაძლებელი.²³

გადაწყვეტილება რატიფიკაციის შესახებ მიღებულ იუნდა იქნეს აქციონერთა სართო კრებაზე. თუკი გადაწყვეტილება რატიფიკაციის შესახებ მიღებულ იქნა ერთხმად, ასეთი გადაწყვეტილება შემდგომში სადაო აღარ შეიძლება გახდეს²⁴. დავის წარმოშობის შემთხვევაში, როდესაც დირექტორთა ქმედების რატიფიკაცია ხდება უმრავლესობაში მყოფ აქციონერთა მიერ, წარმოიშობა უმცირესობაში მყოფთა უფლების დაცვის პრობლემა.

Foss v Harbottle²⁵ არის მნიშვნელოვანი და ცნობილი პრეცედენტული საქმე ინგლისში საკორპორაციო სამართლის ისტორიაში, რომლის თანახმდაც ქმედების, რომელმაც გამოიწვია გადაცდომა კომპანიის მიმართ და, შესაბამისად, დააზარალა იგი, გასაჩივრების უფლება აქვს, პირველ რიგში, თავად კომპანიას და იგი წარმოადგენს სათანადო მოსარჩელეს. აღნიშნული ცნობილია, როგორც Foss v Harbottle წესი,

20 S., Morrtimore, (Edit) Company Directors Duties, Liabilities and Remedies, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2013, 236.
 21 H.,Hirt, The Enforcement of Directors' Duties in Britain and Germany, European Academic Publishers, Bern 2004 ,91.
 22 H.,Hirt, The Enforcement of Directors' Duties in Britain and Germany, European Academic Publishers, Bern 2004 ,90.
 23 H.,Hirt, The Enforcement of Directors' Duties in Britain and Germany, European Academic Publishers, Bern 2004,91.
 24 CompaniesAct2006,Para:261(1,6),ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმობილია: 12.05.2014)
 25 შუად: Foss v Harbottle (1843) 67 ER 189 Boyle A. J., The rule in Foss v. Harbottle, excerpt : Minority Shareholders'Remedies,CambridgeUniversityPress,ხელმისაწვდომია:http://assets.cambridge.org/97805217/91069/excerpt/9780521791069_excerpt.pdf ბოლოს გამოხმობილია:12.05.2014)

და სხვაგვარი შეხედულებანი, რომლებიც შემდგომში განვითარდა, წარმოადგენენ გამონაკლისს ამ წესიდან. ერთ-ერთ ასეთ გამონაკლისს წარმოადგენს დერივაციული სარჩელი, რომელიც საშუალებას აძლევს უმცირესობაში მყოფ აქციონერს, წარადგინოს სარჩელი კომპანიის სახელით. აღნიშნული უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც სამართალდამრღვევი აკონტროლებს კომპანიას.

დასახელებული გადაწყვეტილება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ორი მნიშვნელოვანი პრინციპი იქნა დადგენილი ამ გადაწყვეტილებით. პირველი, თუ გადაცდომა ჩადენილია კომპანიის მიმართ და ზიანიც ამ უკანასკნელმა განიცადა, მხოლოდ კომპანიაა უფლებამოსილი, წარადგინოს სარჩელი და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (Proper Plaintiff Rule); მეორე, თუ გადაცდომა, რომელიც ჩადენილია დირექტორის მიერ, ექვემდებარება აქციონერთა უბრალო უმრავლესობის მიერ, აქციონერთა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით რატიფიკაციას ან მოწონებას, მაშინ სასამართლო არ ჩაერევა და არ განიხილავს ასეთ დავას (Majority Rule Principle)²⁶.

მოგვიანებით მიჩნეულ იქნა, რომ Foss v Harbottle გადაწყვეტილება უსამართლო იყო უმცირესობაში მყოფ აქციონერთა მიმართ და ოთხი ძირითადი გამონაკლისი დადგინდა ამ წესიდან, კერძოდ, იგი არ ვრცელდება:

- დირექტორთა მხრიდან უფლებამოსილების გამეტებისა (Ultra Vires) და უკანონო ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში;

- თუკი დირექტორი არ მოქმედებდა დადგენილი, სათანადო პროცედურის მიხედვით;

- დარღვეულ იქნა აქციონერის პერსონალური, პირადი უფლებები;

- თაღლითობა უმრავლესობაში მყოფი აქციონერების მხრიდან უმცირესობაში მყოფთა მიმართ.²⁷

შესაბამისად, უმცირესობაში მყოფმა აქციონერმა დერივაციული სარჩელის წარდგენისათვის უნდა დაადასტუროს, რომ დირექტორატის მხრიდან ჩადენილია „სამართალდარღვევა“ რომელიც არ ექვემდებარება აქციონერთა მხრიდან მოწონებას ან რატიფიკაციას ან/და რომ სამართალდამრღვევს აქვს იურიდიული კონტროლი კომპანიაზე.²⁸

განსხვავება არსებობს დირექტორთა ქმედების რატიფიციერებასა და სასამართლოში მათ წინააღმდეგ სარჩელის არ წარდგენასთან დაკავშირებით აქციონერთა გადაწყვეტილებას შორის. რატიფიციერების შემთხვევაში კომპანია კარგავს შესაძლებლობას, წარდგონოს სარჩელი დირექტორატის წინააღმდეგ მომავალში, ხოლო გადაწყვეტილება, რომლის თანხმადაც, აქციონერები უარს აცხადებენ უჩივლონ დირექტორებს, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ამ უფლების შეჩერება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია აქციონერებმა მომავალში გადაიფიქრონ და წარადგინონ სარჩელი, ან ახალმა აქციონერმა ან კიდევ გაკოტრების მმართველმა აღძრას იგი. რა თქმა უნდა, სარჩელის წარდგენისათვის არსებული ხანდაზმულობის ვადის დაცვით.²⁹

26 Foss v Harbottle (1843) 67 ER 189 case brief ხელმისაწვდომია: <http://www.studymode.com/essays/Case-Laws-For-Commercial-Laws-897897.html> (ბოლოს გამოხმობილია: 12.05.2014)

ფოსი (foss) და ტურტონი (Turton) იყვნენ უმცირესობაში მყოფი აქციონერები, ხოლო ჰარბოტი (Harbottle) და მასთან ასოცირებული პირები კი დირექტორები და აქციონერები იმავე კომპანიაში. ჰარბოტმა და მასთან ასოცირებულმა პირებმა კომპანიის მიჰყიდეს მიწის ნაკვეთი არარეალურ, გაზრდილ ფასად. ფოსმა და სხვა უმცირესობაში მყოფმა აქციონერებმა წარადგინეს სარჩელი ჰარბოტისა და მასთან ასოცირებული პირების (დირექტორების) მიმართ. სარჩელში განმარტეს, რომ კომპანია მოტყუებული იქნა ამ ტრანზაქციის შედეგად, ვინაიდან მიწა შექმნილია რეალურ ღირებულებაზე მეტ ფასად. შესაბამისად ზიანი სახეზეა. ჰარბოტის განმარტებით, დირექტორატი იყო უფლებამოსილი განესაზღვრა, თუ რა ფასად მოხდებოდა მიწის შექმნა. ხოლო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ქმედების შედეგად ზიანი მიაღწა კომპანიის და სწორედ ეს უკანასკნელი იქნა მოტყუებული და დაზარალებულ და არა პერსონალურად ფოსი და სხვა უმცირესობაში მყოფი აქციონერები. სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან კომპანიას გააჩნია განცალკევებული იურიდიული იდენტობა (სამართალსუბიექტურობა), სწორედ იგია უფლებამოსილი, წარადგინოს ასეთ შემთხვევაში სარჩელი და – არა მისი აქციონერები. იხ. N., Grier, UK Company Law, John Wily & Sons Ltd, West Sussex, 1998, 314-315.

27 N., Grier, UK Company Law, John Wily & Sons Ltd, West Sussex, 1998, 314.

28 A., Boyle, The rule in Foss v. Harbottle, Excerpt : Minority Shareholders' Remedies, Cambridge University Press ხელმისაწვდომია: http://assets.cambridge.org/97805217/91069/excerpt/9780521791069_excerpt.pdf (ბოლოს გამოხმობილია: 12.05.2014)

29 H., Hirt, The Enforcement of Directors' Duties in Britain and Germany, European Academic Publishers, Bern 2004 ,93.

უმცირესობაში მყოფი აქციონერების დაცვის მიზნით, შესაძლებელია დადგინდეს ფართო წრე დირექტორთა მხრიდან ჩადენილი ისეთი გადაცდომებისა, რომლებიც არ ექვემდებარება რატიფიკაციას, მაშინ როდესაც გადაცდომის ჩამდენი დირექტორი არ აკონტროლებს კომპანიას, ვინაიდან თუკი გადაცდომის ჩამდენი აკონტროლებს კომპანიას, იგი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას ტრანზაქციის რატიფიკაციის შესახებ.³⁰

გარდა დერივაციული სარჩელისა, ამერიკული კანონმდებლობის თანახმად, აქციონერი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუკი კომპანიის არასწორად მართვამ ამ უკანასკნელის დაშლა და გაკოტრება გამოიწვია. აქციონერი, ასევე, უფლებამოსილია სასამართლოს გზით მოითხოვოს დირექტორის შეცვლა, თუკი მას აქვს სათანადო მტკიცებულება იფიქროს, რომ კომპანია პრინციპულად არასწორად არის მართული³¹ (Mismanagement of the Company).

კონტრაქტის დარღვევის ან დელიქტის გამო, სასამართლო დაცვის საშუალების უმთავრესი ფუნქცია შესაძლოა შემდეგნაირად განიმარტოს: კომპენსაცია, რესტიტუცია, დასჯა, პოზიტიურ ვალდებულებათა მყარი შესრულება, გადაცდომის პრევენცია, უფლებათა დეკლარირება.³² Compensatory Damages-საკომპენსაციო ზიანის ანაზღაურების მიზანს წარმოადგენს ჩააყენოს მოსარჩელე იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა, დელიქტს (ან ხელშეკრულების დარღვევას) ადგილი რომ არ ჰქონოდა.³³

გადაცდომისაგან თავის შეკავების უზრუნველყოფა, ძირითადად, გადაცდომის ჩამდენისათვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების დაკისრებით

ხორციელდება (Compensatory Damages) და მიიჩნევა, რომ ეს ადეკვატური მექანიზმია გადაცდომის პრევენციისათვის. რაც ex ante მუშაობს, როგორც ზიანის მიყენებისაგან შემაკავებელი მექანიზმი და ამ გზით დანახარჯების ოპტიმიზაციის საშუალებას აძლევს კომპანიებს, ვინაიდან დირექტორი ინფორმირებულია ex post ვალდებულების წარმოშობის შესახებ და სულ მცირე ღრმად დაფიქრდება მაინც, ჩაიდინოს თუ არა გადაცდომა.³⁴

4. დერივაციული სარჩელის დანიშნულება, დადებითი და უარყოფითი მხარეები

დერივაციული სარჩელი არ წარმოადგენს სამართალწარმოების ერთ-ერთ ფორმას. მაშინ, როდესაც დირექტორთა მხრიდან ვალდებულების მნიშვნელოვანი დარღვევის საფრთხე ან ეჭვი არსებობს, დერივაციული სარჩელი წარმოადგენს დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექანიზმს.³⁵

მართალია, იგი კონტროლის სრულყოფილი და უნაკლო მექანიზმი არ არის, მაგრამ ეს ნაკლად არ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან სრულყოფილი კორპორაციული მართვისა და კონტროლის მექანიზმი ბუნებაში არ არსებობს და ვერც იარსებებს იმ მარტივის მიზეზის გამო, რომ თავად ადამინი არ არის სრულყოფილი, ხოლო ეს მექანიზმები კი სწორედ ადამიანთა მიერ იქმნება.

დერივაციული სარჩელის გამოყენება უზრუნველყოფს, რომ სამართალდარღვევით გამონვეული ზიანი ანაზღაურებული იქნება კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის მიერ.³⁶

30 CompaniesAct2006,Para:239(4),ხელმისაწვდომია:http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46/pdfs/ukpga_20060046_en.pdf (ბოლოს გამოხმოზილია :12.05.2014)

31 A., Loos, (Ed) Winckler, Ripin, United States of America in: Directors' Liability: A Worldwide Review, Kluwer Law International and International Bar Association, Alphen aan den Rijn, 2006,103.

32 A.,Burrows, Remedies for Torts and Breach of Contract, 3rd Ed, Oxford University Press, New York,2009, 9.

33 A.,Burrows, Remedies for Torts and Breach of Contract, 3rd Ed, Oxford University Press, New York,2009,33.

34 A.,Reisberg, Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007, 65.

35 A.,Reisberg, Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007,5.

36 A.,Reisberg, Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007,19.

დერივაციული სარჩელი დაკავშირებულია კონტროლთან, მარტივად რომ ვთქვათ, იგი იმ დისბალანსის მაკონტროლებელ მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც წარმოიშობა დირექტორებს როგორც კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მმართველებსა და აქციონერებს შორის³⁷, რადგანაც ისინი, რომლებიც ფლობენ დიდ კორპორაციებს, ვერ აკონტროლებენ მას, და პირიქით, ვინც აკონტროლებს ასეთ კორპორაციებს, არ გააჩნია მნიშვნელოვანი მესაკუთრული ინტერესები მათ მიმართ³⁸.

დერივაციული სარჩელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მენეჯმენტისა და აქციონერთა ინტერესების დაახლოება. ასეთი სარჩელი, ერთი მხრივ, ერთგვარი პრევენციაა დირექტორის მხრიდან გადაცდომის საწინააღმდეგოდ, როდესაც მას გააზრებული აქვს, რომ აქციონერი უფლებამოსილია, დირექტორატის გვერდის ავლით, დამოუკიდებლად აღძრას დერივაციული სარჩელი და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. მეორე მხრივ, დერივაციული სარჩელი ხელს უწყობს ე.წ. აგენტის დანახარჯების (Agency Costs)³⁹ შემცირებას, კერძოდ, აქციონერთა მხრიდან მენეჯმენტის საქმიანობის მონიტორინგთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას.⁴⁰

დერივაციულ სარჩელს ნაკლოვანებებიც აქვს და მან შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე სხვადასხვა მიზეზთა გამო. კერძოდ, პირველი, სარჩელის აღძვრის შედეგად, საჯარო ხდება ინფორმაცია, რომელიც კომპანიის იმიჯზე უარყოფითად აისახება. აღნიშნული ფაქტი კი ინვესტიციების მოზიდვას აფერხებს. საერთო ჯამში, შესაძლოა, სამართალ-

წარმოება არც ღირდეს იმ დანაკარგად, რაც შეიძლება კომპანიამ განიცადოს. მეორე, უცნობია, როგორ დამთავრდება სამართალწარმოება (საკმაოდ რთულია სასამართლოს დარწმუნება დირექტორის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტის არსებობაში, სხვადასხვა გარემოებათა გამო) და გამოვა თუ არა გამარჯვებული კომპანია ამ პროცესიდან. არადა, ზემოაღნიშნული უარყოფითი შედეგები, ამის მიუხედავად, უკვე, ცალსახად, სახეზე იქნება. მესამე, სასამართლო პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია, რომ მოპასუხე დირექტორს უბრალოდ არ ჰქონდეს შესაძლებლობა (ფინანსური რესურსი), აანაზღაუროს ზიანი, რომელიც კომპანიას მიადგა მისი ქმედების გამო. შედეგად, სახეზეა გადანყვებილება, რომელიც ვერ აღსრულდება, კომპანია ვერ იღებს თანხას და ამის პარალელურად სახეზეა ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც სასამართლო განხილვას ახლავს თან. მეოთხე, დირექტორთა წინააღმდეგ სამართალწარმოების შესაძლებლობის გაზრდილმა რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს ამ თანამდებობის დაკავებისაგან თავის შეკავების სურვილი, რაც კომპანიის ხარჯებს გაზრდის, ვინაიდან, ვინც დაეთანხმება, დაიკავოს დირექტორის პოზიცია, მოითხოვს დიდ ანაზღაურებას, დიდი რისკების პროპორციულად. მეხუთე, მართალია, უმცირესობაში მყოფ აქციონერს აქვს უფლება აღძრას დერივაციული სარჩელი, მაგრამ ეს ქმნის იმის საშიშროებას, რომ ამ უკანასკნელმა სულაც არ გაითვალისწინოს მთლიანდ კომპანიის ინტერესები გრძელვადიან პერსპექტივაში, ვინაიდან მისი წილი არც თუ ისე დიდია. მეექვსე, მნიშვნელოვან არგუმენტს, დერივაციული სარჩელის წინააღმდეგ, წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ამგვარი სარჩელის შესაძლებლობა დირექტორს უკ-

37 A.,Reisberg, Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007, 20.
 38 A., Berle, G., Means, The Modern Corporation and Private Property, New York, 1932,5. ხელმისაწვდომია: <http://www.unz.org/Pub/BerleAdolf193200001?View=PDF>(ბოლოს გამოხმობილია: 04.06.2014)
 39 ეკონომისტები, კომპანიის მესაკუთრეობისა და მასზე კონტროლის გამიჯვნისათვის იყენებენ პრინციპალის და აგენტის თეორიას (Principle-Agent-Model), რომლის თანახმადაც, აქციონერი არის პრინციპალი, ხოლო დირექტორი კი მისი ინტერესების შესაბამისად მოქმედი აგენტი. ხშირად პრინციპალის მხრიდან აგენტის კონტროლი ვერ ხერხდება. დირექტორატის ყოველდღიური საქმიანობის კონტროლი არ არის მიზეზმუნილი, არც იურიდიული და არც ეკონომიკური თუ ფინანსური თვალსაზრისით. შესაბამისად, დირექტორებს შესაძლოა გაუჩნდეთ ცდუნება, გამოიყენონ მინიჭებული ძალაუფლება დაფარულად, მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის. ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ტერმინები „დაფარული სარგებლი“ (Hidden Gain) და დაფარული მოქმედება (Hidden Action), რომლებიც გამოიყენება იმის დასადგენად და გამოსახატავად, რომ დირექტორმა დაარღვია ერთგულების ვალდებულება. რაც წარმოიშობს კიდევ დამატებით დანახარჯებს კომპანიისათვის, რასაც Agency Costs, ანუ აგენტის გამო გამოწვეული დანახარჯები ეწოდება. იხ. H., Fleischer, The Responsibility of the Management and of the Board and Its Enforcement, in: Reforming Company and takeover law in Europ, Oxford University Press, New York, 2004 , 379.
 40 A., Reisberg, Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007, 24.

ლავს სურვილს, გამოიჩინოს ინიციატივა და მიიღოს სარისკო გადაწყვეტილება კომპანიის მართვის პროცესში, არადა ბიზნეს საქმიანობაში რისკი და მოგების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ხშირად პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. მეშვიდე, ცალსახად უნდა ითქვას, რომ სამართალწარმოება არ წარმოადგენს დირექტორატის გადაწყვეტილებასა და საქმიანობის შეფასების ეფექტურ მექანიზმს. მერვე, პირადი პასუხისმგებობის გამორიცხვის მიზნით, შესაძლოა, დირექტორის მიერ დაქირავებულ იქნეს ექსპერტთა უფრო ფართო წრე, მეტი თანამშრომელი და მან მეტი დრო მოანდომოს გადაწყვეტილების მიღებას, რაც, ცხადია, გაზრდის კომპანიის ხარჯებს და აისახება მისი საქმიანობის ეფექტურობაზე.⁴¹

დერივაციული სარჩელის სიხშირემ შესაძლოა, გამოიწვიოს კვალიფიციური კადრების გადინება კომპანიიდან. ამიტომ ასეთი სარჩელის აღძვრამდე კარგად დაფიქრება საჭირო იმ აქციონერის მხრიდან, ვისაც მართლაც ადარდებს კომპანიის ბედი. თუმცა კანონმდებლობა მხოლოდ აქციონერების კეთილსინდისიერების იმედად არ ტოვებს კომპანიას და სწორედ ამიტომ არსებობს აშშ-ს, ბრიტანეთისა და გერმანიის კანონმდებლობაში ზემოთხსენებული შემზღუდავი ფაქტორები, რომლებიც დერივაციული სარჩელის აღძვრის მსურველმა უნდა გადალახოს, სანამ დაიწყება ძირითადი სამართალწარმოება.

5. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ დერივაციული სარჩელის დანიშნულებისა და ფუნქციის ცოდნას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც კომპანიის დირექტორებისათვის, ასევე, პრაქტიკოსი იურისტებისათვის (ადვოკატებისათვის), რომლებიც იურიდიულ კონსულტაციას უწევენ ბიზნესს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დერივაციული სარჩელის აღძვრის შედეგად, შესაძლოა, კომპანია დაზარალ-

დეს, სანაცვლოდ კი, სამართალწარმოებისათვის საჭირო დანახარჯების ანაზღაურებაც კი ვერ მოხდეს. შესაბამისად, კეთილსინდისიერი იურისტის მოვალეობაა, კვალიფიციური რჩევა მისცეს ბიზნესს დერივაციული სარჩელის წარდგენის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

ამერიკის სამართლის ინსტიტუტის (American Law Institute – ALI) მიერ აღიარებულია, რომ დერივაციული სარჩელის დანიშნულება, უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში, აქციონერთა ინტერესის დაცვაა, ვიდრე კონკრეტულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მიღება. ვინაიდან იგი დირექტორებს უბიძგებს, თავი შეიკავონ გადაცდომისაგან. ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში კი შესაძლოა, სასამართლო ხარჯები აღემატებოდეს კიდევ ზიანის ანაზღაურების სახით მიღებულ თანხას.⁴²

ALI-ის განმარტებით, დერივაციულ სარჩელს, ასევე, შეუძლია სოციალური საჯარო სარგებლის მოტანა, ვინაიდან იგი მომავალი სამართალდარღვევისაგან თავის შეკავებისაკენ არის მიმართული.⁴³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დერივაციული სარჩელის უმთავრეს დანიშნულებას გადაცდომის წინააღმდეგ შემეკავებელი ფუნქცია წარმოადგენს, ვიდრე მისი საშუალებით კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა. ცხადია, აღნიშნული მსჯელობა ისე არ უნდა იქნეს აღქმული, რომ დერივაციული სარჩელის აღძვრას საერთოდ არ აქვს აზრი. პირიქით, კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით, ასეთი სარჩელის წარდგენა შესაძლოა, ერთადერთი სწორი გზა იყოს კომპანიის ინტერესების დასაცავად. შესაბამისად, მსჯელობას მივყავართ დასკვნამდე, რომ დერივაციული სარჩელის აღძვრა უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (case-by-case), მათი სათანადოდ შეფასების საფუძველზე. შესაბამისად, არ არსებობს ერთი უნივერსალური ფორმულა სარჩელის აღძვრის ან მის აღძვრაზე უარი თქმის მიზანშეწონილობის შესახებ.

41 A.,Reisberg, Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007, 48-49-50.

42 A.,Reisberg, Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007,55.

43 A.,Reisberg, Derivative Actions and Corporate Governance, Oxford University Press, New York, 2007,55.



სამართლის პუბლიცისტიკა

მოსყიდვა ქვემოდას თუ მოსყიდვა ზემოდას¹

(ბაბრძელება)



ოთარ ბაბურაძე

სამართლის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი

1.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2006 წლის 28 აპრილის ცვლილებები, როგორც უკვე ვთქვით, შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენს. ეს ცვლილებები პირდაპირ უკავშირდება ამ ბოლო დროს სასამართლო რეფორმის მეორე ეტაპად წოდებულ მოსამართლეთა საკადრო გადაადგილების საკითხს, რომელმაც დიდი ხმაური გამოიწვია ჩვენში. ეს ამბავი უკვე გასცდა საქართველოს ფარგლებს და ევროკავშირის საბჭოს გენერალურ მდივანს, ბატონ ჰავიერ სოლანასაც ეცნობა. ჩემ წინ დევს დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ იმ გაერთიანების წევრები,

რომელსაც ეწოდება „ევროპის მოსამართლეები და პროკურორები დემოკრატიისა და ფუნდამენტური უფლებების დასაცავად“, უერთებენ თავიანთ ხმას საქართველოში არსებულ საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც გამოთქვამენ შეშფოთებას საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმართული დისციპლინარული პროცესის გამო.“

მაგრამ, მიუხედავად მათი ამ შეშფოთებისა, ჩვენმა რეფორმატორებმა მოსამართლეთა ეს საკადრო ცვლილებები სასამართლო რეფორმის წარმატებულ ეტაპად მიიჩნიეს და საკმაოდ მშვიდად გააგრძელეს თავიანთი საქმე. მათი აზრით – „სასამართლო რეფორმის ახალი ტალღა 1998 წელს დაწყებული სასამართლო რეფორმის გაგრძელებაა. ეს რეფორმა თავის დროზე წარმატებული იყო, თუმცა ახლა ბევრი რამ ახლიდან ხდება“ (ვ. ცერცვაძე). „მსგავს დისკომფორტს სასამართლო, ალბათ, რეფორმის დასაწყისში 1998-2000 წლებში განიცდიდა. რეფორმა წარმატებულად დაიწყო. მომდევნო წლების მოვლენებმა კი დაგვანახა, რომ სასამართლო სისტემა ძალიან კარგად გრძნობდა თავს არსებულ სახელმწიფო სისტემაში, როცა სახელმწიფო საქმიანობის ყველა სფერო ძალიან მძიმე კორუფციულ ურთიერთობებში იყო ჩაფლული (კოტე კუბლაშვილი, იხ. ჟურნ. „აფხაზეთის მართლმსაჯულების მაცნე“, 2005, #6).

რადგან საკითხი რეფორმის პირველ ეტაპს შეეხო, მოდიტ, გავიხსენოთ, რა მოხდა მაშინ და როგორ განვითარდა მოვლენები საქართველოს სასამართლო სისტემაში. 1997 წ. 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მთელ შემადგენლობას უფლებამოსილება ვადამდ

1 მოცემული პუბლიცისტური წერილი დაბეჭდილია ჟურნალში „ცხოვრება და კანონი“, 2008წ. იანვარი-თებერვალი #3 და 2008წ. მარტი-აპრილი #2(4). აღნიშნული წერილის პირველი ნაწილი დაიბეჭდა ჟურნალში „ადვოკატი“, 2014წ. #3-4

უნყდებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ ეს კანონი სავსებით სამართლიანად ანტიკონსტიტუციურად სცნო. მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება, როგორ აღაშფოთა ამ ფაქტმა მაშინდელ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი, რასაც რუსთაველის გამზირზე საპროტესტო მსვლელობა და საკონსტიტუციო სასამართლოს იმ მოსამართლეთა ფიტულების საჯაროდ დანვა მოჰყვა, რომლებმაც საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებულ გადაწყვეტილებას მოანერა ხელი. ამ აქციამ თავისი შედეგი გამოიღო. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება არ შეიძლება, ეს გადაწყვეტილება მაინც არ აღსრულდა. საქართველოს პარლამენტმა ხსენებულ კანონში ცვლილება შეიტანა, რომლითაც შეძლეს, გვერდი აეველოთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის და საერთო სასამართლოების მოსამართლეები ვადამდე დაითხოვეს. ამას მოჰყვა საკადრო ცვლილებანი საქართველოს უზენაეს სასამართლოშიც, სადაც თავჯდომარედ, მ. უგრეხელიძის ნაცვლად, ლ. ჭანტურია მოვიდა. ეს იყო სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპი, რომელიც, როგორც ახლა ამბობენ, წარმატებულად დაიწყო. რა მოხდა ამის შემდეგ? რა დაგვანახა მომდევნო წლების მოვლენებმა?

გადავშალოთ გაზეთ „ოცდაოთხი საათის“ 2002 წ. 11 ივნისის (#9) ნომერი, სადაც დაბეჭდილია ვრცელი მასალა, რომელშიც მაშინდელი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ზ. ჟვანიასა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლ. ჭანტურიას შორის მწვავე დაპირისპირებაა ასახული. საკითხი ეხებოდა იმას, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ზ. ჟვანიას პარტია რეგისტრაციაში არ გაატარა. ეს საქმე სასამართლოში გასაჩივრდა. სასამართლოში საქმის მსვლელობით უკმაყოფილო ზ. ჟვანია დაკავშირებია ლ. ჭანტურიას და უთხოვია მისთვის, ჩარეულიყო ამ საქმეში, რათა სასამართლოს სწორი გადაწყვეტილება მიეღო. „მე მაშინვე დავეუკავშირდი ლადო ჭანტურიას, – ამბობდა ზ. ჟვანია – გამოვხატე ჩემი უკიდურესი აღშფოთება, რამდენჯერმე ვესაუბრე, ვთხოვე, გარკვეულიყო ამ საქმეში, რადგან სრულიად წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. ვეცადე, ამეხსნა მისთვის, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი სასამართლო პროცესი...“

როგორ გავიგოთ ეს სიტყვები? იყო თუ არა ეს სასამართლოს საქმიანობაში უკანონო, ანტიკორუფციული ჩარევა, რომელიც ოფიციალურად არის დადასტურებული პრესის ფურცლებში? ისე გამოდის, რომ თითქოს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე ვალდებული იყო, დალაპარაკებოდა საქმის განმხილველ მოსამართლეს და ეთქვა მისთვის, რომ საქმე ზ. ჟვანიას პარტიის სასარგებლოდ გადაეწყვიტა. თუ ლ. ჭანტურია ასე მოიქცეოდა, მაშინ სასამართლო რეფორმა, თურმე ნუ იტყვი, წარმატებული იქნებოდა. ლ. ჭანტურიამ ამ საყვედურს სავსებით დასაბუთებულად და კორექტულად უპასუხა: „გადაწყვეტილებას იღებენ სასამართლო და კონკრეტული მოსამართლეები, უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე არ იღებს გადაწყვეტილებას...“ (იხ. გაზ. „ოცდაოთხი საათის“ დასახელებული ნომერი).

გავეყვით მოვლენების მსვლელობას. 2004 წლის 11 ივნისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ოფიციალური სხდომა გაიმართა, სადაც საქართველოს პრეზიდენტის თანდასწრებით ლ. ჭანტურიამ ვრცელი მოხსენება გააკეთა და სასამართლოში თავისი მოღვაწეობის ხუთწლიანი პერიოდის ანგარიში წარმოადგინა. რაც მთავარია, ლ. ჭანტურიამ ამ სხდომაზე პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეობიდან ვადამდე გადადგომის თხოვნით მიმართა. თავისი გადადგომა მან ასე ახსნა: „ხუთი წლის განმავლობაში ლანძღვა-გინების მეტი არ მომისმენია არაფერი“. მოხსენება ლ. ჭანტურიამ ამ სიტყვებით დაასრულა: ძალიან მინდა ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში მონაწილეობა, „რაც შეუძლებელია სასამართლო ხელისუფლებაში ყოფნით, რადგან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს დუმილი, დუმილი და კიდევ დუმილი მოეთხოვება. დუმილისაგან დავიღალე, გაუთავებელი და დაუმსახურებელი ლანძღვა-გინებისგანაც (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2004, 15 ივნისი).

სხდომაზე ამ სტრიქონების ავტორიც იყო მინვეული ოფიციალურად და ეს სიტყვები თავისი ყურით მოისმინა. აქედან აშკარაა, რომ ლ. ჭანტურია კი არ გადადგა, იგი აიძულეს გადამდგარიყო. რა მოხდა? როგორც ჩანს, იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებმაც ლ. ჭანტურია და მოსამართლეთა ახალი შემადგენ-

ლობა 1999 წ. სასამართლო ხელისუფლებაში მოიყვანეს, უპირველეს ყოვლისა, თავისი ვინრო პარტიული მიზნები ამოძრავებდათ. მაგრამ მათი იმედი არ გამართლდა. ეს პირდაპირ იგრძნობოდა ამ ძალეზის ერთ-ერთი მეთაურის ზ. ჟვანიას სიტყვებიდან, რომლებითაც ის მოსამართლეებს საყვედურობდა: „მრცხვენია, რომ მივიღე მონაწილეობა იმ პროცესში, რომლითაც თქვენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მანტიები ჩაიცვით“ (იხ. გაზ. „ოცდაოთხი საათის“ დასახელებული ნომერი). უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები კი სხვაგვარად ფიქრობდნენ. მათ მოსამართლის მანტიები ჩაიცვეს და როგორც ეს პროფესიონალს მოეთხოვება, კანონის მორჩილება გადაწყვიტეს. მოსამართლეთა კანონისადმი მორჩილება კი ჩვენს ახალ გამოჩეკილ პოლიტიკოსებს ხელს არ აძლევდათ. აი, ეს იყო ამ კონფლიქტის ნამდვილი მიზეზი და არა სასამართლო სისტემის კორუფციაში ჩაფლა. კორუფცია აქ არაფერ შუაშია.

ამის შემდეგ ქართული მართლმსაჯულების ცა კიდევ უფრო მოიქუფრა. ჩვენი სასამართლო სისტემა მძიმე გამოცდის წინაშე დადგა. როგორც შემდეგ გვარწმუნებდნენ, თავიდანვე წარმატებული და მერე, თურმე ნუ იტყვიო, ჩიხში შესული რეფორმის ახალი ეტაპი დაიწყო. 1999 წელს არჩეულ მოსამართლეებს შესთავაზეს, თვითონ დაენერათ ვადამდე გადადგომის განცხადებები, სამაგიეროდ, მაღალ პენსიას – 3000 ლარს შეჰპირდნენ. ბევრმა ეს კორუფციული გარიგება მიიღო და ნებაყოფლობით გადადგა. მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებიც მტკიცე უარზე დადგნენ და ამ ანტიკორუფციულ მოთხოვნას არ დაემორჩილნენ. ამიტომ მათ წინააღმდეგ დისციპლინარული პასუხისმგებლობის მექანიზმი აამუშავეს, საქმეში იუსტიციის უმაღლესი საბჭო ჩაერთო.

დაიწყო იმ მოსამართლეთა დისციპლინური დევნა, რომლებიც ნებაყოფლობით არ გადადგნენ. აი, ამის ერთ-ერთი ნიმუში. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე თამაზ ილიაშვილი აცხადებს: „ბატონმა კოტე კუბლაშვილმა უზენაესი სასამართლოს ბიუროს უფროსის ხელით დაბეჭდილი განცხადება თანამდებობიდან ჩემი გადადგომის თაობაზე, ხელმოსანერად გამომიგზავნა. უარი ვთქვი. იმ დღიდან ჩემ მიმართ ერთდროულად ორი დისციპლინური დევნა აღძრეს

(იხ. გაზ. „კვირის პალიტრა“, 26 დეკემბერი 2005წ., 1 იანვარი 2006წ.).

საქართველოს იუსტიციის საბჭომ დისციპლინური დევნა აღძრა აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების: დავით სულაქველიძის, ნინო გვენეტაძის, მერაბ ტურავას, თამარ ლალიაშვილის, მურმან ისაევისა და თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა ერთი ჯგუფის წინააღმდეგ. ვინც აქ დასახელებულ მოსამართლეებს ასეთი ისე მაინც იცნობს, არ შეიძლება გაკვირვებული არ დარჩეს ჩვენი რეფორმატორების მოქმედებით. თურმე ნუ იტყვიო – „30 წელს გადაცილებულ ადამიანებს შორის – როგორც ამას რეფორმის ერთ-ერთი მესვეური უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე კ. კუბლაშვილი გვიმტკიცებდა – არ არის საკმარისი რესურსი, რომ სასამართლო რეფორმა წარმატებით გაგრძელდეს და დასრულდეს (იხ. ჟურნ. „აფხაზეთის მართლმსაჯულების მაცნე“, 2005, #6, გვ. 16). ამის გამო იყო, რომ მოსამართლის ასაკი 30-დან 28 წლამდე დაიყვანეს.

საკითხავია, მოსამართლეთა კადრის ასეთი ნაკლებობის პირობებში, ჭკუათმყოფელი კაცი დავით სულაქველიძეს, ნინო გვენეტაძეს, მერაბ ტურავას, თამარ ლალიაშვილს, თამაზ ილიაშვილსა და სხვა კვალიფიციურ მოსამართლეებს დაუწყებდა დევნას? ბატონო კოტე! რას უწუნებდით ამ მოსამართლეებს – პატიოსნებას, ცოდნას თუ გამოცდილებას – დევნა რომ დაუწყეთ და მათი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა განიზრახეთ? ვითომ 28 წლის მოსამართლე მათზე უკეთ იმუშავებს? მაგრამ დასახელებულ მოსამართლეებს, ამ დადებით თვისებასთან ერთად, ერთი ისეთი თვისებაც აქვთ, რომელიც თქვენ და თქვენს მხარდამჭერ პოლიტიკოსებს ძლიერ გაღიზიანებდათ. ეს კანონმორჩილებაა, რაც მოსამართლისთვის უმთავრესია.

ახლა მოვუსმინოთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, ბატონ ვალერი ცერცვაძეს, რომელსაც, ასევე, სასამართლო რეფორმის ახალი ეტაპის სათავეში ვხედავთ. მოსამართლის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით იგი კორესპონდენტს პასუხობდა: „პირადად მე ხშირად ველაპარაკები თო-

თოეულ მოსამართლეს, ვთხოვ, გაამხილოს, თუკი ვინმე ურეკავს და ანუხებს, ზემოქმედებას ახდენს მასზე, მაგრამ, საბედნიეროდ, არავინ ამბობს, რომ ეს ასეა“ (იხ. ჟურნ. „აფხაზეთის მართლმსაჯულების მაცნე“, 2005, #6, 22-ე გვ.).

ხედავთ, რა ბედნიერები ვყოფილვართ? ისეთი რეფორმა გაგვიტარებია, რომ მოსამართლეს უკვე აღარავინ ურეკავს, არავინ ანუხებს და ის მხოლოდ კანონს ემორჩილება. შე დალოცვილო, ასე რამ დაგაყრუათ ეს ახალგაზრდა კაცი, რომ ვერ გაიგონეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დევნილ მოსამართლეთა ხმა, ხმა, რომელიც მთელ დასავლეთ ევროპას მისწვდა?! საკითხავია, ასფუთიან ქურში ხომ არ იჯექით, რომ ამ მოსამართლეთა ხმამ, რომელიც დასავლეთ ევროპამდე მივიდა, თქვენამდე ვერ მოაღწია? ისინი ხომ საჯაროდ ამხელდნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეს, რომელიც კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების დროს მათზე ზეგავლენას არაერთხელ ცდილობდა!.

ჩაგყვით ქვემოთ. ბატონი ვალერი ცერცვაძე ამ საუბარს ასე აგრძელებს: იმას, ვინც „ზემოქმედებას ახორციელებს, თუ დახვდა პრინციპული მოსამართლე, რომელიც წელში გამართულია და სუფთა წარსული აქვს, იქნება პრინციპული, ღირსეული და თავს არავის დაუხრის. თავიანთი მანკიერი წარსულისგან შეშინებული მოსამართლეები კი არც გვჭირდება და მალე არც გვეყოლება (იქვე).

თუ თქვენ ისეთი მოსამართლეები გაინტერესებთ, „ვისაც სუფთა წარსული აქვს, მაშინ რას ერჩოდით დასახელებულ მოსამართლეებს, რომლებმაც, თქვენი თქმისა არ იყოს, სწორედ ამის გამო თავი არც თქვენ და არც სხვას არ დაუხარეს და ნამდვილად ღირსეულად მოიქცნენ? ისინი ხომ არ იყვნენ „თავიანთი მანკიერი წარსულისაგან შეშინებული მოსამართლეები?“ სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, ამის ნათელსაყოფად მარტო ერთი თვალსაჩინო მაგალითიც კმარა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე დავით სულაქველიძე, რომელიც წლების განმავლობაში თბილისის საოლქო სასამართლოს თავჯდომარე იყო, დღემდე უბინაოა და ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. ეს ხომ თქვენ ძალიან კარგად იცით! თუ თქვენ რეფორ-

მას ატარებდით და პატიოსან მოსამართლეებს ეძებდით, მაშინ რატომ დაუნყეთ დევნა დავით სულაქველიძეს?

შეიძლება გვითხრათ, რომ, ჯერ ერთი, ამ მოსამართლეებს კორუფციული დარღვევების გამო არ ედავებოდნენ. მეორეც, დავით სულაქველიძე მოსამართლის თანმდებობიდან არ გაუთავისუფლებიათ და სადისციპლინო პალატა მის მიმართ მხოლოდ შენიშვნით დაკმაყოფილდა. ჩვენ ამაზე შეიძლება ვუპასუხოთ, რომ დავით სულაქველიძის გათავისუფლება, ალბათ, ძალიანაც უნდოდათ, ვინაიდან ის მართლაც პრინციპული და დაუმორჩილებელი მოსამართლეა, მაგრამ ველარ გაბედეს, რადგან ეს ფაქტი კიდევ უფრო გახმაურდებოდა და რეფორმატორთა ნამდვილი ზრახვები კიდევ უფრო გამოამჟღავნებოდა. რაც შეეხება იმას, რომ ამ მოსამართლეებს კორუფციული დარღვევის გამო არ ედავებოდნენ, ეს, რასაკვირველია, გასაგებია, რადგანაც მათ ასეთი დარღვევებისათვის ვერც შეედავებოდნენ.

რახან სიტყვა მოსყიდვაზე ჩამოვარდა, მოდით, სასამართლო რეფორმასთან მიმართებაში მოკლედ ამ საკითხსაც შევეხოთ. კორუფცია ლათინური სიტყვაა და მოხელის, ამ შემთხვევაში მოსამართლის, მოსყიდვას ნიშნავს. სასამართლო სისტემაში მოსყიდვის გავრცელებული სახეობაა მექრთამეობა, ესე იგი მოსამართლის მოსყიდვა, ქრთამის მიმცემის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ეს არის მოსყიდვის, კორუფციის ის შემთხვევა, როცა მომსყიდველი კერძო პირია. ეს არის მოსყიდვა ქვემოდან. მაგრამ მოსყიდვა შეიძლება ზემოდანაც. ამის ნიმუშია იმ მოსამართლეთათვის მალალი პენსიის დანიშვნა, რომლებიც თავიანთი უფლებამოსილების საკონსტიტუციო ვადის ამონურვამდე ნებაყოფლობით გადადგებიან. ასე მოხდა სასამართლო რეფორმის ამ ახალ ეტაპზეც, როცა ნებაყოფლობით გადამდგარ მოსამართლეებს 3000 ლარი პენსია დაუნიშნეს. მოსყიდვაა ისიც, როცა კანონმორჩილი მოსამართლის ადგილას მოჰყავთ მოსამართლე, რომელიც კანონს კი არა, თავის ზემდგომს ემორჩილება და, სამაგიეროდ, მას მალალ ხელფასს უნიშნავენ. ასე რომ, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, მატერიალური გასამრჯელოს საფასურად, ვის ნებას ვემორჩილე-

ბით – კერძო პირისას თუ ჩვენი ზემდგომი სახელმწიფო მოხელისას. არც ერთ შემთხვევაში მოსამართლე არ არის კანონმორჩილი. ერთი სიტყვით, მოსყიდვა ორი სახისაა: მოსყიდვა ქვემოდან და მოსყიდვა ზემოდან. საყურადღებოა ის, რომ ზემოთ დასახელებული მოსამართლეები არ აპყენენ ამ ცდუნებას და ამ შემთხვევაშიც ვერ მოისყიდეს ისინი. ჩვენი რეფორმატორები, ეტყობა, მათი მხრიდან ასეთ სიმტკიცეს არ ელოდნენ და ამიტომ, როგორც უკვე ვთქვით, იძულებულნი გახდნენ, მათ მიმართ დისციპლინური დევნა აღედრათ. მკითხველი უთუოდ დაინტერესდება, მაინც რა დარღვევა დაედო საფუძვლად ამ მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლებას და რამდენად სამართლიანად დაეკისრათ მათ დისციპლინური პასუხისმგებლობა. ზოგიერთმა შეიძლება ისიც იფიქროს, თქვენ რომ ასე აქვთ ამ მოსამართლეებს, განა ისინი არ შეიძლებოდა შემცდარიყვნენ და თუნდაც დისციპლინური გადაცდომა ჩაედინათ? „და შემცდარი ამქვეყნად მეფეცა ნუ გეგონებათ“. ხომ ამბობს მგოსანი. ვნახოთ, როგორაა ამ მხრივ საქმე. აი, ბრალდების ერთი ეპიზოდი.

ეს არის ამჟამად ძალიან გახმაურებული ბერინაშვილის საქმე. ძმამ მოკლა ძმა. მკვლელობის შემთხვევაში, აუცილებელია გაირკვეს, ვინ იქნება დაზარალებულის უფლებამონაცვლე, რომელიც წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში გარდაცვლილის ინტერესს დაიცავს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნმ-ე მუხლის თანახმად, გარდაცვლილის „უფლებები ენიჭება მის რომელიმე ახლო ნათესავს“. ამ შემთხვევაში ეს უფლება გარდაცვლილის დედას ვერა ბერინაშვილს მიანიჭეს. მაგრამ ზემდგომმა სასამართლომ დაზარალებულის ინტერესების დამცველად, დედის მაგიერ, გარდაცვლილის მეუღლე – მაყვალა ხინჩაგოვა სცნო.

მაგრამ ხინჩაგოვა გარდაცვლილთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდა, თუმცა მისგან ორი არასრულწლოვანი შვილი ჰყავს და ერთადაც ცხოვრობდნენ, საერთო მეურნეობა ჰქონდათ. აი, სწორედ ამიტომ დაიწყო დასახელებულ მოსამართლეთა დისციპლინური დევნა, რადგან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აზრით, მეუღლე ახლო ნათესავად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, თუ გარ-

დაცვლილთან მისი ქორწინება იურიდიულად იყო გაფორმებული. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანიშნულებულია ეყრდნობა საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1106-ე მუხლს, რომლის მიხედვით, ქორწინება რეგისტრირებული უნდა იყოს „მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის 21-ე ნაწილით, ახლო ნათესავად, სხვებთან ერთად მიჩნეულია, აგრეთვე, „მეუღლე (მათ შორის განქორწინებული)“. გარდაცვლილი ბერინაშვილი და ხინჩაგოვა კი რეგისტრირებული საერთოდ არ ყოფილან და მხოლოდ ფაქტიურ საქორწინო ურთიერთობაში იყვნენ. მაშასადამე, ისინი არც დაქორწინებულნი ყოფილან და არც – განქორწინებულნი. მაგრამ ამით მაინც რა მოხდა და რატომ დაუნყეს დევნა მოსამართლეებს? მოხდა ის, რომ, როგორც ამას მოსამართლეთა დისციპლინური დევნის გადანიშნულებულია გვამცნობს, დაზარალებული, რომელსაც სასჯელის სახით, სამის ნაცვლად, ცხრა წლით აღეკვეთა თავისუფლება. აი, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ რომ დედა ყოფილიყო, მაშინ მსჯავრდებულს ასე მკაცრად ვერ დასჯიდნენ, რადგან დედა შვილის უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას მხარს არ დაუჭერდა. ეს მოხდა იმის გამო, რომ სასამართლომ ხინჩაგოვა უკანონოდ სცნო დაზარალებულის უფლებამონაცვლედ, რითაც მოსამართლეებმა ჩაიდინეს დისციპლინური გადაცდომა – „კანონის უხეში დარღვევა“, რომელიც გათვალისწინებულია „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით.

ასეთია საქმის მოკლე შინაარსი. სასამართლო პროცესზე, სადაც მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი იხილებოდა, დავა ორ ძირითად საკითხზე მიმდინარეობდა: 1) ჩაითვლება თუ არა ახლო ნათესავად მეუღლე, რომელიც გარდაცვლილთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდა და 2) თუ ასეთი მეუღლე ახლო ნათესავად ვერ ჩაითვლება და მოსამართლემ არასწორად განმარტა კანონი, ესე იგი, დაარღვია ის, მაშინ ხომ არ ეფუძნე-

ბა ეს დარღვევა მის შინაგან რწმენას, ესე იგი, სწამდა თუ არა მოსამართლეს, რომ სწორად იქცეოდა. თუ დამტკიცდებოდა, რომ მოსამართლეს, რომელიც კანონს არასწორად განმარტავდა, სწამდა თავისი ქცევის სისწორე, მაშინ ის დისციპლინური წესით პასუხს არ აგებდა (იხ. დასახელებული კანონის მე-2 მუხლის შენიშვნა).

ახლა მოდით, თვალი გავადევნოთ, როგორ წარმართა ხსენებულ მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოება. ბერინაშვილის საქმესთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2004წ. 26 ოქტომბერს თექვსმეტი მოსამართლის მიმართ აღძრა დისციპლინური დევნა. მაგრამ დაწყებული დევნა ამ ორგანომ 2005 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით შეწყვიტა. ამის შემდეგ 2005 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით საბჭომ ეს დევნა ისევ განაახლა. როცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2005 წლის 26 თებერვლისა და 19 სექტემბრის გადაწყვეტილებებს ერთმანეთს ადარებ, გაკვირვებული რჩები, რადგან ორივე გადაწყვეტილებაში ერთი და იმავე ფაქტის ურთიერთგამომრიცხავი შეფასებაა მოცემული. ეს გარემოება მით უფრო იწვევს მკითხველის გაკვირვებას, რომ ორივე გადაწყვეტილებას ერთი და იგივე პიროვნება – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ვალერი ცერცვაძე აწერს ხელს.

2005 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებაში, რომლითაც მოსამართლეთა მიმართ აღძრული დისციპლინური დევნა შეწყდა, ვკითხულობთ, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 21-ე ნაწილი „ქორწინების რეგისტრაციაში სამართლებრივად არმყოფ, ყოფილ მეუღლესაც აძლევს უფლებას, ცნობილ იქნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. აქედან გამომდინარე, სასამართლომ გააკეთა ინტერპრეტაცია, რომ სისხლის სამართლის პროცესში მეუღლის ცნების ქვეშ იგულისხმება არა მარტო რეგისტრირებულ, არამედ, ასევე, ფაქტობრივად, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეც“.

2005 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით კი, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამის საწინააღმდეგოდ ამტკიცებს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 21-ე ნაწი-

ლის შესაბამისად, ახლო ნათესავად ითვლება მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).

კანონის ზემოხსენებული დებულებიდან გამომდინარე, გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლე შეიძლება იყოს განქორწინებული მეუღლე მაყვალა ხინჩაგოვა გარდაცვლილთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდა, შესაბამისად, ის ვერ ჩაითვლებოდა განქორწინებულ მეუღლედ და, ამდენად, ვერ ისარგებლებდა საქმეზე დაზარალებულის სტატუსით.

ზუსტად ამ შემთხვევას მიესადაგება ცნობილი ხალხური გამოთქმა – აბა, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო! საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ჯერ ამბობს, რომ საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 21-ე ნაწილის შინაარსი არარეგისტრირებულ, ფაქტიურ საქორწინო ურთიერთობასაც მოიცავს, მერე კი გვიმტკიცებს, თითქოს აქ მხოლოდ წინათ რეგისტრირებული და შემდეგ განქორწინებული მეუღლე იგულისხმება.

როგორც ვხედავთ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო წინა გადაწყვეტილებით კანონს ისევე განმარტავს, როგორც დევნილი მოსამართლეები განმარტავდნენ. საბჭო ამ მოსამართლეთა სასარგებლოდ კონსტიტუციის 84-ე მუხლსაც კი იშველიებს. იუსტიციის საბჭოს აზრით, „დისციპლინური დევნის აღძვრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ..... ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით გარანტირებული მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპს, რომლის მიხედვით, არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“.

საყურადღებოა, რა უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა წინააღმდეგ დაწყებული დისციპლინური დევნა, რომელიც 2005 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილების თანახმად, ეწინააღმდეგებოდა „საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლით გარანტირებული მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინ-

ციპს“ და ამიტომ სავსებით სამართლიანად შეწყდა, 2005 წლის 19 სექტემბრისთვის კვლავ განახლდა? საკითხავია, რა უფლებით განახლდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეთა დისციპლინური დევნა, რომელიც რამდენიმე თვის წინ თვითონვე ანტიკონსტიტუციურად აღიარა? ამკარაა, რომ ეს უსამართლო დევნა იმის გამო განახლდა, რომ თავიდან მოეცილებინათ კანონმორჩილი, პრინციპული მოსამართლეები, რომლებიც ამ ვაირეფორმატორთა ნებას არ დაემორჩილნენ და რომლებმაც კონსტიტუციური ვადის ამონურვამდე საკუთარი განცხადებით არ დატოვეს სამსახური. როგორც ჩანს, დაუძახეს ვ. ცერცვაძეს, სადაც ჯერ არს, და შეაცვლევინეს თავისი სწორი გადაწყვეტილება.

ასე იყო თუ ისე, მოსამართლეთა ეს უსამართლო დევნა გაგრძელდა. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წ. 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს თ. ლალიაშვილს, მ. ისაევს, ნ. გვენეტაძეს, მ. ტურავას „დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლება, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე სულაქველიძეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი – შენიშვნა. სახდელები დაადეს დანარჩენ მოსამართლეებსაც. ყველაზე მკაცრი სახდელი მაინც თანამდებობიდან გათავისუფლებაა, რაც მხოლოდ ზემოთ დასახელებულ ოთხ მოსამართლეს დაეკისრა.

სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება სახდელდაკისრებულ მოსამართლეთა საჩივრის საფუძველზე განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ, რომელმაც 2006 წ. 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით საჩივარი არ დააკმაყოფილა.

ვიდრე სადისციპლინო პალატის ამ გადაწყვეტილებაზე რაიმეს ვიტყოდეთ, მკითხველს მინდა ვაუწყო, რომ პალატის შემადგენლობის სამი მოსამართლიდან ერთ-ერთმა განსხვავებული აზრი გამოთქვა და არ დაეთანხმა დანარჩენებს. საგულისხმოა, რომ ამ მოსამართლემ (თ. თოდრია) ბრალდება ბერინაშვილის

საქმის ნაწილში დაუსაბუთებლად მიიჩნია და ამ ეპიზოდში მოსამართლეთა გამართლება მოითხოვა.

„სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში აღიარებული მოსაზრებების საფუძველზე ოჯახური ცხოვრების ინსტიტუტი არ არის გაიგივებული ქალისა და მამაკაცის ოფიციალურ, რეგისტრირებულ კავშირთან – ამბობს განსხვავებული აზრის ავტორი. ამის საფუძველზე მოსამართლე ასაბუთებს, რომ სასამართლო სწორად მოიქცა, როცა ხინჩაგოვა გარდაცვლილი ბერინაშვილის მეუღლედ ცნო, მიუხედავად არარეგისტრირებული ქორწინებისა, და ის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ აღიარა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ შექმნილ ვითარებაში მოსამართლის ეს ქცევა, ესე იგი განსხვავებული აზრის გამოთქმა, ნამდვილი გამირობის ტოლფასი იყო.

ასეთივე აზრია გამოხატული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2005 წლის 26 თებერვლის ზემოთდასახელებული გადაწყვეტილებითაც, რომელშიც ნათქვამია, რომ „საქართველოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან განსხვავებით, სადაც მეუღლეთა უფლება-მოვალეობები წარმოიშვა მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში რეგისტრირებული ქორწინებიდან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 21-ე ნაწილი ქორწინების რეგისტრაციაში სამართლებრივად არმყოფ, ყოფილ მეუღლესაც აძლევს უფლებას, ცნობილ იქნეს დაზარალებულის უფლებამონაცვლედ“.

ამავე აზრის ყოფილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ცხრა და თბილისის საოლქო სასამართლოს, ასევე, ცხრა მოსამართლეს, როგორც ეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2006 წ. 10 აგვისტოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული (მე -14 გვ.).

აქედან ამკარაა, რამდენი მომხრე ჰყოლია მეუღლის ცნების ისეთ გაგებას, რომლისთვისაც მოსამართლეები ჯვარს აცვეს და ოთხი მათგანი სამსახურიდანაც კი გაათავისუფლეს. მიუხედავად მეუღლის ცნების ასეთი გაგებისა, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლი-

ნო კოლეგია მაინც უცილობლობს და ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 21-ე ნაწილის გამოყენების დროს მოსამართლეები არ მოქმედებდნენ შინაგანი რწმენით, რადგან კოდექსის დასახელებული მუხლი „იმპერატიული ხასიათისაა“ და მისი შინაარსი ყველამ ერთნაირად უნდა გაიგოს. ამავე პოზიციაზე დგას საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაც (იხ. 2006 წ. 10 აგვისტოს გადაწყვეტილება). საკითხავია, როცა კანონის აზრი ერთნაირად ესმის ოცამდე მოსამართლეს, უფრო მეტიც, როცა ამავე აზრისაა ის მოსამართლეც, რომელიც მათ ასამართლებს, შეიძლება განა იმის მტკიცება, რომ სახდელდაკისრებული მოსამართლეები არ მოქმედებდნენ შინაგანი რწმენით? როგორ გავიგოთ ეს?

ბერინაშვილის საქმე, რომელიც ხსენებულ მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას დაედო საფუძვლად, უაღრესად საყურადღებოა, თუ ამ საქმეს სამოსამართლო სამართლის თვალსაზრისით მივუდგებით. ჩვენ აქ მხოლოდ ერთი საკითხის გარკვევა გვინტერესებს. რამდენად სწორია, სამართლის ერთ დარგში შემუშავებული ცნების ყოველთვის იმავე შინაარსით გამოყენება სამართლის მეორე დარგში? რასაკვირველია, საკითხის ასეთი გადაწყვეტა არასწორია.

სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგია და უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა თავიანთ ზემოთდასახელებულ გადაწყვეტილებაში ცდილობენ იმის დასაბუთებას, რომ მეუღლის ცნება ყოველთვის ისევე უნდა გავიგოთ სისხლის სამართლის პროცესში, როგორც ეს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1106-ე მუხლშია განსაზღვრული. მაგრამ მათ ავინყდებათ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 21-ე ნაწილი ტექსტურადაც უფრო ფართოა, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1106-ე მუხლთან შედარებით. საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის 21-ე ნაწილის ტექსტიდან გამომდინარე, კანონმდებელს მეუღლის ცნება უფრო ფართოდ ესმის, რადგან ეს ცნება განქორწინებული, ყოფილ მეუღლესაც მოიცავს. მაშასადამე, მეუღლის ცნება ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად, „იმპერატიულად“ არ შეიძლება განისაზღვროს სამართლის ყველა დარგში.

კანონის ტექსტის შინაარსის ასეთი ფართო გაგება სავესებით გამართლებული და ლოგიკურია. თუკი „განქორწინებულს“ მეუღლედ ჩავთვლით, მაშინ რატომ არ უნდა მოიცვას ამ ცნებამ დაუქორწინებელი, ფაქტიურ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში მყოფიც? როცა მეუღლეები განქორწინდებიან, ისინი ერთად აღარ ცხოვრობენ, მათ აღარც საერთო მეურნეობა აქვთ. განქორწინებულისაგან განსხვავებით, ფაქტიურ საქორწინო ურთიერთობაში მყოფნი კი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ, საერთო მეურნეობას ეწევიან და ერთიანი ცხოვრებისეული მიზნები აქვთ. ამას ისიც ემატება, რომ ხინჩაგოვას გარდაცვლილი ბერინაშვილისაგან ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. შვილები გარდაცვლილის უფლებამონაცვლეები არიან. მაგრამ მცირეწლივანობის გამო, მათ კანონიერ წარმომადგენლად სასამართლოში დედა უნდა გამოსულიყო. ხინჩაგოვას ჩართვა პროცესში ამ მხრივაც გამართლებული იყო.

საგულისხმოა ისიც, რომ მეუღლის ცნება მატერიალურ სისხლის სამართალშიც ასევე ფართოდ უნდა გავიგოთ. მოვიტან ერთ თვალსაჩინო მაგალითს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით ისჯება „განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად“. ამ მუხლის შენიშვნის თანახმად, დასახელებული დანაშაულისათვის პასუხს არ აგებს „ის, ვინც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის დანაშაული“. ახლო ნათესავების ჩამონათვალი კი მოცემულია ამავე კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნით. ამ ჩამონათვალში ახლო ნათესავად მეუღლეცაა დასახელებული.

როგორ გავიგოთ აქ მეუღლის ცნება, ისე, როგორც ეს მოცემულია საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1106-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, მეუღლეები აუცილებლად უნდა იყვნენ იურიდიულად რეგისტრირებული შესაბამის სახელმწიფო ორგანოში, თუ უფრო ფართოდ? რასაკვირველია, აქ მეუღლის ცნება ფართოდ უნდა გავიგოთ. მეუღლედ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ფაქტიურ საქორწინო ურთიერთობაში მყოფიც უნდა მივიჩნიოთ.

მოვიტანოთ ასეთი მაგალითი. სამართლებრივად არარეგისტრირებულმა მეუღლემ, ვთქვათ, ქმარმა, გან-

საკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა. ცოლმა იგი დამალა. უნდა დაისაჯოს თუ არა დამფარავი სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლით, რადგან ის რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდა ქმართან და არ ჰქონდა უფლება, დაეფარა მისი დანაშაული? ეს უაზრობაა. როგორ უნდა მოსთხოვოს სახელმწიფომ ადამიანს, არ დაფაროს დამნაშავე იმის გამო, რომ ის დანაშაულის დაფარვის დროს ამ დამნაშავესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდა? მაგრამ დამნაშავესთან ეს არარეგისტრირებული მეუღლე სარეცელს ხომ იყოფდა? მათ საერთო მეურნეობა ხომ ჰქონდათ და ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. რომელი ქმარი გაჩერდება დამსმენ ცოლთან, ხომ დაინგრევა ოჯახი და ამით დაზარალებიან შვილები. რას იტყვიან ისინი, როცა გაიგებენ, რომ დედამ მამა დააჭერინა. შვილისათვის რა მნიშვნელობა აქვს, მისი მშობლები რეგისტრირებულ ქორწინებაში არიან, თუ არა? მეორე მხრივ, კიდევაც რომ მოვინდომოთ პასუხი ვაგებინოთ ადამიანს მასთან არარეგისტრირებული მეუღლის დანაშაულის დაფარვისათვის, ეს მოთხოვნა შედეგს მაინც არ გამოიღებს. ის კანონის მოთხოვნას არ დაემორჩილება და დამნაშავეს მაინც დაფარავს. ბატონებო! თუ თქვენ ევროპისაკენ მიდიხართ, ერთი შეეკითხეთ ევროპელს, ასე ესმით მათ მეუღლის ცნება?

ეს საქმე უნიკალურია მოსამართლო სამართლის თვალსაზრისით, თუ საკითხს ახლა გარდაცვლილის დედის პოზიციიდან შევავსებთ. უნიკალური და იშვიათი მოვლენაა ის იმიტომ, რომ ძმამ მოკლა ძმა. დედა ამ შემთხვევაში, რომ იტყვიან, ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა: გარდაცვლილიც მისი შვილი იყო და განსასჯელიც. რომელი შვილის ინტერესები უნდა დაეცვა მას – გარდაცვლილის თუ ცოცხალი შვილის? აქ ხომ ინტერესთა კონფლიქტია? ამიტომ დედა არ შეიძლებოდა ობიექტური ყოფილიყო. გავიხსენოთ ხევისბერი გოჩას მაგალითი. გოჩას ტრაგედია ორი მოვალეობის – სახელმწიფო და მამაშვილური, ოჯახური მოვალეობების შეჯახების შედეგი იყო. ამიტომ მოსამართლეები სწორად მოიქცნენ, როდესაც გარდაცვლილის ულებამონაცვლედ, დედის მაგივრად, მისი ფაქტიური მეუღლე, გარდაცვლილის შვილების დედა ცნეს.

ერთი სიტყვით, რა კუთხიდანაც არ უნდა მივუდგეთ ამ საქმეს, აშკარაა, რომ მოსამართლეებმა კანონი

სწორად განმარტეს. ამიტომ კანონის ასეთი განმარტებისთვის ხსენებული მოსამართლეები კი არ უნდა დაგვესაჯა, პირიქით, მათთვის მადლობა უნდა გვეთქვა. რადგან ამით მათ განავითარეს სამოსამართლო სამართალი. აქ მინდა დავიმონმო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის, კოტე კუბლაშვილის, სიტყვები: „მოსამართლე არ არის ჩვეულებრივი საჯარო მოხელე, ის არის ძალიან მნიშვნელოვანი სახელისუფლებო შტოს წარმომადგენელი, რომელიც, ფაქტობრივად, ქმნის სამართალს. მოსამართლეები იყენებენ სამართლის ნორმებს და, ამასთანავე, თავიანთი გადაწყვეტილებებით ავითარებენ სამართალს“ (იხ. ჟურნ. „აფხაზეთის მართლმსაჯულების მაცნე“, 2005, #6, მე-17 გვ.).

ბერიანიშვილის საქმე სწორედ იმის საუკეთესო ნიმუშია, როგორ შექმნეს მოსამართლეებმა სამართალი, როგორ განავითარეს ის. ამიტომ გაკვირვებას იწვევს იმავე კოტე კუბლაშვილის სიტყვები, რომელიც გვპირდება, რომ „თუ რომელიმე მოსამართლე გარკვეული ნორმის განსაკუთრებულ ინტერპრეტაციას გააკეთებს, მე ვიქნები მისი უპირველესი დამცველი“ (იხ. ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2005, #4, მე-8 გვ.). გაკვირვებას ეს სიტყვები იმიტომ იწვევს, რომ ბატონმა კოტე კუბლაშვილმა დანაპირები არ შეასრულა და არ დაიცვა მოსამართლეები, რომლებმაც „ნორმის განსაკუთრებული ინტერპრეტაცია გააკეთეს“ ბერიანიშვილის საქმის განხილვის დროს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

შესწორება:

ჟურნალ „ადვოკატის“ 2014 წლის N3-4 ნომერში ოთარ გამყრელიძის სტატიაში გაიპარა ტექნიკური შეცდომა: 72-ე გვერდის ბოლო აბზაცის მეორე წინადადება უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად:

სოციოლოგიური სკოლის მამამთავარი, გამოჩენილი გერმანელი იურისტი ფრანც ლისტი სოციალური საშიშროების მიხედვით დამნაშავეებს სხვადასხვა ტიპებად ჰყოფდა. მათ შორის იგი გამოყოფდა, ერთი მხრივ, „გამოუსწორებელ დამნაშავეს, ხოლო მეორე მხრივ, შემთხვევით დამნაშავეს“



ადვოკატის მოსაზრებები

შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები



ლეილა არხოვაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი, ადვოკატი

1997 წლის 14 ნოემბერს მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დაფუძნებულია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეოთხე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. სასამართლოს არა აქვს უფლება თვითონ დაიწყოს იმ ფაქტობრივი გარემო-

ებების დადგენა, რომლებსაც მოთხოვნა ან მოწინააღმდეგე მხარის უფლებები ემყარება. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სარჩელით და შესაგებლით ახორციელებენ მხარეები თავიანთ მატერიალურ-სამართლებრივ უფლებათა პროცესუალურ რეალიზაციას.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოპასუხე სარგებლობს მხარის უფლებით, წარადგინოს თავისი მოსაზრებები სარჩელთან დაკავშირებით. აღნიშნული განმტკიცებულია როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, ასევე, სამოქალაქო კოდექსით. ჯერ კიდევ განსჯადობის საკითხის გარკვევის ეტაპზეა დაცული მოპასუხის უფლება, წარადგინოს შესაგებელი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად.

კანონი განსაზღვრავს მოპასუხის არა მარტო უფლებებს, არამედ ვალდებულებებსაც, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში, მოპასუხე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს შესაგებელი სარჩელში დასმულ საკითხებსა და მტკიცებულებებთან დაკავშირებით. მოპასუხემ აუცილებელია მიუთითოს თავისი მოსაზრება სარჩელთან დაკავშირებით, ცნობს თუ არა სარჩელს, თუ არ ცნობს – რა ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი. აუცილებელია მითითებული იყოს მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებს მის მიერ მითითებულ გარემოებებს. თუ ასეთი მითითებული იქნება, მაშინ აუცილებელია,

დართული იყოს შესაგებელზე ასეთი მტკიცებულება, ან თუ მოპასუხეს არ შეუძლია იმ ეტაპზე მისი წარდგენა, მოპასუხემ სასამართლოს უნდა მიმართოს მტკიცებულებათა წარდგენის გადავადების მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს აღარ ექნება უფლება შემდგომ წარადგინოს მტკიცებულება.

მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარუდგენლობის გამო. ვფიქრობთ, რომ ეს მუხლი ამოღებული უნდა იქნეს. როგორც სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, აღნიშნული საფუძველით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა და მისი შედეგები გაცილებით დიდ დროსთან არის დაკავშირებული. თუმცა საწინააღმდეგო მოსაზრება აქვს გამოსატყულებელი ბატონ ფ. ბასილიას. მისი აზრით, შესაგებლის წარუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა განპირობებულია საპროცესო ეკონომიის პრინციპით, რაც გულისხმობს საქმის დროულად, გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება, თუ იგი არ გასაჩივრებულა, მალე შედის კანონიერ ძალაში და მისი აღსრულება უმოკლეს ვადაში მოხდება.

ვიზიარებთ იმ აზრს, რომ თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ გასაჩივრდა, მალე შედის კანონიერ ძალაში, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილებები მეტწილად საჩივრდება და გასაჩივრების შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, დიდ დროს აკარგვინებს მხარეებს და სასამართლოს. ჩვენი აზრით, შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, უნდა დაინიშნოს, ჩვეულებრივ, საქმის განხილვა, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მოპასუხეს არ ექნება უფლება, წარადგინოს თავისი მოსაზრება სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებებზე და სწორედ ეს იქნება საფუძველი მის წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებისა, რომელიც გასაჩივრდება ჩვეულებრივი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათ-

ვის კანონით დადგენილი წესით და ამით თავიდან იქნება აცილებული შესაგებლის წარუდგენლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დაკარგული დრო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული 2321 მუხლი (დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარმოდგენლობის გამო) ვერ უზრუნველყოფს იმ მიზნის განხორციელებას, რომელიც, ალბათ, თავის დროზე აღნიშნული მუხლის დამატების საფუძველი გახდა. სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ არცთუ იშვიათია ამ მუხლის გამოყენება. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2013 წლიდან 2014 წლის 11 ივლისის მდგომარეობით მიღებული იქნა 6.747 (ექვსი ათას შვიდას ორმოცდაშვიდი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება. რაც შეეხება დანარჩენ ინფორმაციას – რამდენი ასეთი გადაწყვეტილება გასაჩივრდა, რამდენი გაუქმდა, რამდენი დარჩა ძალაში, გაურკვეველია, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება საქმეების (ინფორმაციის) სტატისტიკური აღრიცხვა და დამუშავება. ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, არ არსებობს არც გასაჩივრებული პირველი ინსტანციის სასამართლოს და არც თვით სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების სტატისტიკური აღრიცხვა და დამუშავება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მაგალითს თუ განვიხილავთ, დავრწმუნდებით, თუ რა სავალალო მდგომარეობაა. წელიწად-ნახევარში 6747 დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, ძალიან ბევრია, უმეტესობა გასაჩივრდებოდა. როგორც ვიცით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეს შეუძლია საჩივარი შეიტანოს იმავე ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. 240-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, თუ საჩივრის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ ამ კოდექსის 232¹ მუხლის შესაბამისად გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს იმ საფუძველით, რომ პასუხის (შესაგებლის) წარუდ-

გენლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, სასამართლო განჩინებით აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და მოპასუხეს აღუდგენს პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადას. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს (ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს). უმეტეს შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლო არ აუქმებს თავის მიღებულ გადაწყვეტილებას და მოპასუხე იძულებული ხდება, გასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სასამართლოების გადატვირთულობის გამო, აღნიშნული საქმეების განხილვა დიდხანს გრძელდება, რაც ხელს უშლის სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. აღნიშნული პრობლემა თავიდან რომ იქნეს აცილებული, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ 232¹ მუხლი (დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო) გაუქმდეს. ეს ინსტიტუტი, როგორც აღვნიშნეთ, ხელს უშლის სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, მიგვაჩნია, რომ ეს ინსტიტუტი ზედმეტი რგოლია, რადგან ე.წ. „ურჩი მოპასუხე“ ისედაც შეიძლება დაისაჯოს, თუკი არ წარადგენს შესაგებელს და არ დაიცავს თავს სარჩელისაგან. 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მოპასუხე თუ არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ერთმევა უფლება შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. 201-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. აღნიშნულის შესაბამისად, თუ მოპასუხე საერთოდ არ წარადგენს შესაგებელს, მას აღარ ექნება უფლება, წარადგინოს შესაგებელი და დაიცვას თავი. ასეთ შემთხვევაში უნდა დაინიშნოს სხდომა, სადაც მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება აღარ მოხდება და სასამართლო მოისმენს მოპა-

სუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს. ამ დროს სასამართლო მიიღებს ჩვეულებრივ (არა დაუსწრებელ) გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით. საქმის ასეთი განვითარებით, თავიდან იქნება აცილებული შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დაკარგული დრო. თუ მოპასუხე საპატიო მიზეზით ვერ წარადგენს პასუხს (შესაგებელს), მაშინ მას უნდა მიეცეს ვადა შესაგებლის წარსადგენად.

ვფიქრობთ, იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ვერ წარადგენს პასუხს (შესაგებელს), შეიძლება დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა. ჩვენს პოზიციას ამყარებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმა: „თუ მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესი ამას მოითხოვს“, მოსამართლე უფლებამოსილია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა.

ჩვენი პოზიცია ემყარება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპს. როგორც აღვნიშნეთ, უმეტეს შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლო არ აუქმებს თავის მიერ მიღებულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში. სასამართლოების გადატვირთულობის გამო, საჩივრის განხილვა ჭიანურდება, ამით კი ილახება როგორც მოპასუხის, ასევე, მოსარჩელის უფლებები; გამოირიცხება გასაჩივრების ზედმეტი რგოლი; საქმის განხილვის შედეგად, სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება კი გასაჩივრდება მხოლოდ სააპელაციო წესით.

ვფიქრობთ, რომ თითოეული ჩვენგანი დაინტერესებული უნდა იყოს მართლმსაჯულების სწრაფი განხორციელებით. ეს კი არ უნდა ხდებოდეს ვინმეს უფლებების შელახვის ხარჯზე. ყოველი მხარე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით. თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ინსტიტუტი პირიქით, აფერხებს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რათა თავიდან იქნეს აცილებული სავალალო შედეგები, რომლებიც შეიძლება განპირობებული იყოს იმ გარემო-ებით, რომ მხარემ ვერ დაამტკიცოს შესაგებლის წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზი.

მეტად მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხზე, როგორცაა საჯარო შეტყობინება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად:

1. თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ვფიქრობთ, რომ ამოღებული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან“. ასევე, მეორე ნაწილში ამოღებული უნდა იქნეს სიტყვები: „შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან“.

მიზანშეწონილია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელება შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, ფორმალურ ხასიათს ატარებს, თუმცა სავალალო შედეგი მოაქვს მოპასუხისათვის. მოპასუხე, რომელმაც არ იცის, არის თუ არა მის წინააღმდეგ რაიმე დავა, რა თქმა უნდა, არ მივა სასამართლოში, რომ წაიკითხოს სასამართლოს დაფაზე მის წინააღმდეგ გამოტანილი საჯარო შეტყობინება. თუ იცის, რომ მის წინააღმდეგ არის შეტანილი სარჩელი სასამართლოში, მას პუბლიკაციაც არ დასჭირდება, რადგან ისედაც ჩაიბარებს სარჩელს და მასალებს. თუ არ ჩაიბარებს, ჩაბარებულად ჩაეთვლება და შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, კანონით დადგენილი წესით.

უამრავი დაუსწრებელი გადაწყვეტილება არსებობს, შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, სწორედ, საჯარო შეტყობინების საფუძველზე გამოტანილი, რომლებიც შესულია კანონიერ ძალაში, ისევე საჯარო შეტყობინებით. მოპასუხე ვერ დაიცავს თავს, რადგან კანონი არ აძლევს ამის საშუალებას. ვფიქრობთ, ეს არათანაბარ პირობებში აყენებს მხარეებს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეოთხე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს.

სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საფუძველად დაუდო განჩინება საჯარო პუბლიკაციის შესახებ, რომლითაც მოპასუხეს განემარტა, რომ სარჩელი და თანდართული მასალები მისთვის ჩაბარებულად ჩაითვლებოდა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინების სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე და სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებით, იმ დროს, როდესაც მოპასუხეს თვალთ არ უნახავს ეს განჩინება. ჩვენ ვიცით, რომ კანონის თანახმად, მხარეს აუცილებლად უნდა განემარტოს მოსამართლის მიერ, რომ თუ არ წარადგენს შესაგებელს განსაზღვრულ ვადაში, მის წინააღმდეგ გამოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარმოდგენლობის გამო.

უზენაესმა სასამართლომ 2013 წლის 25 დეკემბერს №ას-307-292-2013 საქმეზე განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2321-ე მუხლით გათვალისწინებული მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოდგენლობის შედეგები, ასევე, შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შემდეგი წინაპირობების არსებობის სავალდებულობა: 1. მოპასუხე (მონინაალმდეგე მხარე) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით უნდა იყოს ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, კერძოდ, მას დადგენილი წესით უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სარჩელი და თანდართული მასალები და ამომწურავად უნდა ჰქონდეს განმარტებული 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში დანიშნული საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე. 2.

მოპასუხემ (მონინაალმდეგე მხარემ) ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა. ამ ფაქტობრივი წინაპირობების არსებობა განაპირობებს სარჩელში მითითებული გარემოებების დადგენილად მიჩნევის აუცილებლობას. უზენაესი სასამართლო სავალდებულოდ მიიჩნევს და ასეც უნდა იყოს, რომ მოპასუხეს, დადგენილი წესით, უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სარჩელი, თანდართული მასალები და ამომწურავად უნდა ჰქონდეს განმარტებული 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში დანიშნული საპროცესო ვადის არასაპატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე, მაშინ, როდესაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს დაფაზე რამდენიმე დღით გაკრული განჩინება, რომლის არსებობის შესახებ მოპასუხემ არაფერი არ იცის, შედეგების განმარტებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შევა კანონიერ ძალაში და მოსამართლე გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, იმავე მეთოდით ისე შევა კანონიერ ძალაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომ მოპასუხეს არაფერი ეცოდინება, თუ რა ხდება მის თავს.

ვფიქრობთ, სასწრაფოდ უნდა იქნეს მიღებული ზომები, რათა აიკრძალოს კანცელარიის მუშაკის მიერ სარჩელის ე.წ. „დაკონვერტება“. სარჩელი და მასალები მოპასუხეს უნდა ჩაბარდეს კანონით დადგენილი წესით, რათა თვით საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ განჩინებით განისაზღვროს შესაგებლის შედეგისათვის საჭირო ვადა.

ასევე, ამოღებული უნდა იქნეს არა მარტო სასამართლოს დაფაზე პუბლიკაციის განთავსება, არამედ უნდა დაკონკრეტდეს მხოლოდ ერთი გაზეთი, რომელიც იქნება სპეცილური, საჯარო ინფორმაციისათვის, ყველას ეცოდინება, რომ შესაძლებელია მის წინააღმდეგ რაიმე ინფორმაცია იყოს განთავსებული, ამიტომ ყველა ეცდება კვირში ერთხელ მაინც გადაამოწმოს აღნიშნული გაზეთი, რითაც თავიდან იქნება აცილებული ის სავალალო შედეგები, რომლებსაც დღევანდელი კანონმდებლობა უწყობს ხელს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – ძვირადღირებული სიამოვნება თუ აუსილებელობა



ზურაბ თოდუა

ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით

1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიული წინამორბედები და ამ ინსტიტუტის ისტორია საქართველოში

ნაფიცი მსაჯულების ისტორიას ქრისტეშობიდან VI საუკუნის ათენიდან აითვლიან, ხოლო იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი თანამედროვე მსოფლიოშია ცნობილი, XII საუკუნის ინგლისს მიიჩნევენ.

საქართველოში, ტერმინი „მოსამართლე“ XI საუკუნიდან გვხვდება. მანამდე კი, მოსამართლის ფუნქციების განმახორციელებელს მოიხსენიებდნენ ტერმინებით „ბჭე“, „მსაჯული“. სამართალწარმოება წარმოდგენილი იყო „რჟულის“ სახით. მსაჯულთა რაოდენობა 4-დან 12-მდე მამაკაცით განისაზღვრებოდა.

მეფის რუსეთმა, საქართველოს დაუფლების შემდეგ, მიიჩნია, რომ ქართული საზოგადოება არ იყო მზად ნაფიც მსაჯულთა საზოგადოების დასამკვიდრებლად და მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი გვაკმარა. ილია ჭავჭავაძის ოცნება, მიეღწია ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს შემოღებაზე, მის სიცოცხლეში ვერ ახდა.

1919 წელს საქართველოს დამოუკიდებელმა მთავრობამ მიიღო კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს“ შემოღების შესახებ, მაგრამ ეს კანონი, ფაქტობრივად, ვერ განხორციელდა.

საბჭოთა ოკუპაციის პირობებში, საქართველოში საბჭოთა მოსამართლეები დამკვიდრდნენ. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის პარალელურად დაწესებული სახალხო მსაჯულების ინსტიტუტი მხოლოდ ფორმალური სახით არსებობდა და არაფერი ჰქონდა საერთო სასამართლოში ხალხის ხელისუფლების განხორციელებასთან – იგი წმინდა ტიპის საბჭოთა სიმახინჯე იყო მართლმსაჯულებაში.

2010 წლის 01 ოქტომბრიდან საქართველოში დამკვიდრდა თანამედროვე ტიპის ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი.

2. ქართული თანამედროვე სინამდვილე მართლმსაჯულებაში და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს როლი ამ სინამდვილეში

ქართულ სასამართლო სიანმდვილეში ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს დამკვიდრება ავადსახსენებელი პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთ საუკეთესო მემკვიდრეობად უნდა მივიჩნიოთ. შესაძლოა,

იმ პოლიტიკური რეჟიმის პოლიტიკური მოღვაწეობის დასასრულის მოახლოების წინ მიღებულ გადაწყვეტილება ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს თაობაზე, იყოს მომავალი ხელისუფლებისათვის მიზანმიმართული თავსატეხის გადაცემა მემკვიდრეობით.

ორივე შემთხვევაში მოგებული ხალხი, საზოგადოება რჩება, რამეთუ ამ ინსტიტუტის არსებობა უძლიერესი საშუალებაა ხელისუფლებაში ხალხის, საზოგადოების ძალაუფლების რეალურად განხორციელებისა – ხალხი პირდაპირ მონაწილეობს სასამართლო ძალაუფლების განხორციელებაში, ანუ ხალხი სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს უშუალოდ თვითონ, დელეგირების გარეშე (შეადარეთ – საკანონმდებლო ორგანოში ხალხი ხელისუფლებას ახორციელებს მის მიერ აჩეული დელეგატების მეშვეობით). ამ დროს სწორედ ხალხი, საზოგადოებაა დაცული ყოველგვარი სახელისუფლებო ჩარევებისაგან, ანუ მავანი, ბოროტი ხელისუფალიც კი, ნაკლებად (ან საერთოდ ვერ) ერევა ასეთი ტიპის მართლმსაჯულებაში.

აღნიშნული გარემოება დემოკრატიის უფრო მაღალი ხარისხია, ვიდრე ხალხის ხელისუფლების განხორციელება არჩევით ორგანოებში დელეგირების მეშვეობით.

ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს დამკვიდრებამ უდავოდ დადებითი შედეგები გამოიღო ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კი იგი იქნა დამკვიდრებული. ასეთ ქვეყნებში სადღეისოდ წმინდა სამოქალაქო საზოგადოებაა ჩამოყალიბებული და დღეს საზოგადოებას გარანტირებული აქვს სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლება.

ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს მრავალწლიანი ისტორიის მქონე ქვეყნებში უკვე დამდგარია შედეგი სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო ინსტიტუტის სახით. აქედან გამომდინარე, ასეთ ქვეყნებში ნაფიცი მსაჯულების ტიპის სასამართლოებმა ნამდვილად დაკარგეს მათი უმთავრესი დანიშნულება და საზოგადოებისათვის ძვირადღირებულ სიამოვნებად იქცნენ. ამ საზო-

გადოებას ისედაც გარანტირებული აქვს მიუკერძოებელი და ობიექტური სასამართლო ხელისუფლება, ანუ საზოგადოება სასამართლო შედეგებს უფრო ნაკლები დანახარჯებით ლეზულობს და პარალელურად, ძვირი სიამოვნების მოცილებას ცდილობს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიაჩნიათ, რომ ნაფიცი მსაჯულების სასამართლო საზოგადოებისათვის ზედმეტი ტვირთია მხოლოდ იმის გამო, რომ იგი საკმაოდ ძვირადღირებულია. თუმცა ნაწილს საპირისპირო მოსაზრება აქვს. სტატისტიკა კი გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყანაში კლებულობს ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა. არსებული სტატისტიკით, ბოლო წლებია, საქმეების მხოლოდ 4 % იხილება ამ სასამართლოს მიერ.

ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს არსებობა ძალიან მაღალი ხარისხის შემაკავებელი ძალა ისეთი ძალების საწინააღმდეგოდ, რომელთაც სასამართლო ხელისუფლებაში ხელების ფართი თანამდევ წესად, თითქმის ყოველდღიურობად აქვთ ქცეული.

ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს შიშით პოლიტიკოსი, მაღაჩინოსანი, პროკურორი პოლიციელი და თვით საქალაქო სასამართლოს მოსამართლეც კი იძულებული იქნება სამოქალაქო საზოგადოებისათვის მავნე, არასასურველ ჩვევებზე თქვას უარი და დაემორჩილოს სამართლის მთავარ დამკვეთს – საზოგადოებას, ხალხს და არა ვინაა მერკანტილურ ინტერესებს – მოარგოს (ან თვითონ მოირგოს) სამართალი.

სადღეისოდ არსებული პრაქტიკის სტატისტიკური მონაცემებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს მიერ 2010 წლის 01 ოქტომბრიდან დღემდე განხილულია სულ 9 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან 2 საქმეზე მსაჯულებმა მიიღეს სრული გამამართლებელი ვერდიქტი, ხოლო 4 საქმეზე კი ნაწილობრივ გამამართლეს ბრალდებულნი.

ვფიქრობ, აღნიშნული ინფორმაცია დამაფიქრებელი უნდა იყოს, რამეთუ აშკარაა, რომ დაუსაბუ-



თებელი, კონკრეტული პირის ინტერესებს მორგებული, არაკვალიფიციურად შედგენილი სისხლის სამართლის საქმეები სრულიად უპერსპექტივოა ხალხის სასამართლოს წინაშე.

ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული აზრი, რომ სასამართლო ხელისუფლება წინა პოლიტიკური რეჟიმის მიერ თითქმის იავარქმნილია, ალბათ, მტკიცებას არ საჭიროებს. ამ რეალობის შედეგია სწორედ ის გარემოება, რომ ხალხსა და სასამართლოს შორის გაჩენილია უზარმაზარი უფსკრული, ამ უფსკრულის ამოვსებას კი წლები ესაჭიროება. ეს წლები კი აუცილებლად ნაფიცი მსაჯულების სასამართლო ხელისუფლებასთან ერთად უნდა გავიაროთ და, როდესაც მივიღებთ წმინდა სამოქალაქო საზოგადოებას, აქ ვერც ერთ ჩინოვნიკს აზრადაც არ მოუვა სასამართლო ხელისუფლებაში

ჩარევა, ნაფიცი მსაჯულების სასამართლო ინსტიტუტი ნამდვილად ძვირადღირებულ სიამოვნებად იქცევა და სწორედ ამ დროს იქნება საჭირო ფიქრი ამ ინსტიტუტის არსებობა-არარსებობაზე.

აქცენტი, სასამართლოსა და ხალხს შორის ჩატეხილი ხიდის თაობაზე, ემყარება ჩემს პირად პრაქტიკას. ნაფიცი მსაჯულების მიერ ნაწილობრივ გამამართლებელი ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ, სსკ 264-ე მუხლის მიხედვით, ინიშნება სასჯელის დანიშვნის სხდომა (ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც მსაჯულებმა ნაწილობრივ ცნეს დამნაშავედ ბრალდებული. ასეთ დროს სასამართლო ვალდებულია დანიშნოს სასჯელი იმ ეპიზოდზე, რომელზეც მსაჯულებმა გამამტყუნებელი ვერდიქტი მიიღეს).

სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მსაჯულების დასწრების საკითხი წყდება ბრალდებისა და დაცვის მხარის ერთობლივი თანხმობით. ასეთ შემთხვევებში ბრალდება მუდმივად უარს აცხადებს მსაჯულების დასწრებაზე. მათი ეს უარი გამოწვეულია მხოლოდ ერთადერთი გარემოებით – მათ აშკარად ეშინიათ ხალხის სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების, თვალეში ვერ უყურებენ სიმართლეს და კანონით მინიჭებულ უფლებას (თანხმობას მსაჯულების მონაწილეობაზე) იყენებენ ბოროტად.

ეს გარემოება (ორივე მხარის თანხმობა) აშკარად უკეთეს მდგომარეობაში აყენებს ბრალდებას, რამეთუ მსაჯულების მონაწილეობა ასეთ სხდომაზე ბრალდებულს აძლევს შანსს, შებოჭოს მოსამართლე სასჯელის დანიშვნისას (ეს ის შემთხვევაა, თუ მსაჯულები ლოიალური სასჯელის დანიშვნას მოითხოვენ). ხოლო თუ ბრალდების მხარე ამის წინააღმდეგია, ნიშნავს იმას, რომ ბრალდებულმა დააკარგა ეს შანსი.

სამწუხაროდ, სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პროკურორები ამ ნორმას ბოროტად იყენებენ (ს/ს საქმე N 1-5496-14 ბრალდებულ ვ. წერეთელის მიმართ. 19.12.2014 წელი, თბილისი). მხარეს, რომელსაც გამართული აქვს თავისი პოზიცია, ხალხის არ უნდა ეშინოდეს, არ უნდა რცხვენოდეს, არამედ, პირიქით, უნდა ცდილობდეს, თავისი ქმედების შესაბამისობის დადასტურებას ხალხის ნებასთან. შედარებისათვის მოვიყვან მსაჯულთა გადაწყვეტილებისადმი პატივისცემის უშესანიშნავეს მაგალითს – სოკრატეს, როდესაც ნაფიცებმა სიკვდილით დასჯის ვერდიქტი გამოუტანეს, მისმა მოწაფეებმა შესთავაზეს გაქცევის რეალური გეგმა. მან უარი თქვა გაქცევაზე და დაემორჩილა ხალხის გადაწყვეტილებას.

ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთნენ მოხელეები, რომლებიც დაუფარავად აცხადებენ ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს გაუქმების შესახებ. ასეთ პირთა რიცხვში აშკარად ლიდერობენ მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომდგენელი პოლიტიკოსები, პროკურორები, პო-

ლიციელები და მოსამართლეებიც კი. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების სტადიაზე მდგომი საზოგადოებისათვის ამ კატეგორიის პირთა აქტივობა ჩვეულებრივი თანამდევი პროცესია და იგი არ უნდა იქნეს გაზიარებულ.

დასაბუთება ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს გაუქმების თაობაზე, ძირითადად ემყარება ამ სასამართლოს შენახვის ხარჯებზე აპელირებას. ოპონენტები ცალსახად აცხადებენ, რომ თითქოს ასეთი ძვირადღირებული სასამართლოს შენახვა ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება.

ვფიქრობ, ეს თვალსაზრისი სრულიად უარგუმენტოა, რამეთუ ხარჯების დათვლისას, ასევე, უნდა დავითვალოთ ის სავარაუდო ხარჯები, რაც, ალბათობის მაღალი ხარისხით, შეიძლება დაეკისროს საქართველოს სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით, სხვადასხვა უკანონობებით მიღებული ჩვეულებრივი სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემთხვევაში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, ბიუჯეტის მიერ გასაღები თანხები აშკარად კოლოსალური შეიძლება იყოს (მერე რა, რომ ვალდებულება თანხის გადახდაზე რამდენიმე წლის შემდეგ, სხვა ხელისუფლების მიმართ შეიძლება წარმოიშვას, ყველა შემთხვევაში ხომ საზოგადოება ზარალდება).

ამდენად, ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს გაუქმების მხარდამჭერ პირებს უფრო სხვა, გაცილებით შორსმომავალი და საშიში ზრახვები ამოძრავებთ, ვიდრე ამ სასამართლოს შენახვით გამოწვეული საბიუჯეტო ხარჯებით შემფოთება.

3. ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო სისტემისათვის თანმდევი რისკები

ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს არსებობა ქართული საზოგადოებისათვის, გარკვეულწილად, მაღალი ხარისხის რისკებთან არის დაკავშირებული. ეს რისკები, უმრავლეს შემთხვევაში, მომგებიან პირობებში ბრალდებას აყენებს.

ა) რისკი პირველი – უდანაშაულობის პრეზუმფციის სავარაუდო დარღვევა

ეს რისკი წარმოიშობა მასმედიის მეშვეობით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში. კერძოდ, როგორც წესი, დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, უმრავლეს შემთხვევაში, ვრცელდება სახელმწიფოს მიერ. ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჩადენილია დანაშაული და დაკავებულია ვინმე „X“ პიროვნება, ავრცელებს მასმედია. ასეთი ინფორმაციის გავრცელებით ირღვევა არა მარტო პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია, არამედ ამ ინფორმაციამ შესაძლოა, პირდაპირი ზეგავლენა მოახდინოს ნაფიცი მსაჯულის მიერ მისაღებ ვერდიქტზე, რამეთუ პირი (მსაჯულობის კანდიდატი), რომელიც შესაძლოა, შერჩეულ იქნეს ნაფიც მსაჯულად, მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის გავლენის ქვეშე იძლება მოექცეს. ასეთი გზით ინფორმირებული პირი მომგებიან სიტუაციაში მხოლოდ ბრალდებას აყენებს და იგი დაცვის საინინალმდეგოდ იქნება განწყობილი (მოგეხსენებათ, პირველ ინფორმაციას მუდმივად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ადამიანის ქვეცნობიერში).

გამოსავალი:

აღნიშნული რისკი შესაძლოა შემცირდეს, თუ მასმედიას ექნება ვალდებულება, მაქსიმალურად დაიცვას დაკავებული „X“ პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია და დაევალება, გააჟღეროს მეორე მხარის პოზიციაც.

ბ) რისკი მეორე – პერსონალურ ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა

ნაფიცი მსაჯულების კანდიდატების დასახელების შემდეგ, როდესაც ბრალდებისა და დაცვის მხარეებს გადაეცემათ ნაფიცი მსაჯულების კანდიდატთა სიები, ბრალდებას ეძლევა შესაძლებლობა, წინასწარ (შერჩევის სხდომამდე), პოლიციის სათანადო ვებ-გვერდის გამოყენებით, მოიპოვოს

ინფორმაცია ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის შესახებ. ამ ვებგვერდზე უხვდაა ინფორმაცია პირის პერსონალური მონაცემების, საახლობლო წრის, ნათესაური კავშირების, სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობისა და სხვა მსგავსი გარემოებების შესახებ.

საკამათო არაა, რომ წინასწარ, ასეთი ინფორმაციის მიღების შემდეგ, პროკურორი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე ადვოკატი. ეს უკანასაკნელი იძულებულია, მსაჯულობის კანდიდატისათვის ათასგვარად დასმული კითხვებით მიიღოს მისგან მისთვის აუცილებელი ინფორმაცია. დიდი ალბათობით, ადვოკატი ვერასდროც ვერ მოიპოვებს იმდენ ინფორმაციას ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის შესახებ, რამდენსაც პროკურორი საპოლიციო ვებ-გვერდის მეშვეობით.

ზემოაღწერილი გარემოებები აშკარად მხარეთა არათანაბარ პირობებზე მეტყველებს.

გამოსავალი:

პროკურორს კანონით აეკრძალოს პოლიციის ვებგვერდზე წვდომა. პროკურორს დაევალოს, არ გამოიყენოს ეს ვებგვერდი მსაჯულების შერჩევისას. ასევე, არ უნდა მიენიჭოს ვებგვერდზე წვდომის უფლება დაცვის მხარესაც.

პრაქტიკისა და მოქმედი კანონმდებლობის სათანადო ანალიზი ამ რისკის თავიდან აცილების მხოლოდ ერთადერთ საშუალებას იძლევა – უნდა მოხდეს დაცვის მხარის ამ რისკიდან შესაძლო დარღვეული უფლების კომპენსირება სხვა უფლების გაზრდით. ასეთი უფლების გაზრდად მიმაჩნია დაცვისათვის ორით მეტი დაუსაბუთებელი აცილების უფლების მინიჭება, ნაცვლად მხარეთათვის მინიჭებული 12-12 დაუსაბუთებელი აცილებისა. დაცვის მხარისათვის 14 დაუსაბუთებელი აცილების უფლების მინიჭება, ნაწილობრივი კომპენსაცია შეიძლება გახდეს დაცვის მხარისთვის, ამ რისკით წარმოშობილი თანასწორობის პრინციპის დარღვევისას.

გ) რისკი მესამე – ვერდიქტის დაუსაბუთებლობა

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი (როგორც გამამართლებელი, ასევე, გამამატყუნებელი) მსაჯულების მიერ არ საბუთდება. ანუ, ვერდიქტი მხოლოდ მშრალი ვალდებულებაა მოსამართლის მიმართ იმის შესახებ, დამნაშავეა თუ არა პირი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ორიენტირებულია მხოლოდ ისეთ სასამართლო პრაქტიკაზე, როდესაც სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს ნებისმიერი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა შესაძლებელია გახდეს ამ სასამართლოში სახელმწიფოსათვის მეტად არასასურველი შედეგის მომტანი. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (საქმე: ტექსკე ბელგიის წინააღმდეგ) აღნიშნა, რომ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება ზღუდავს პირის უფლებას გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე (თუ არ გამაჩნია დასაბუთების არგუმენტაცია, ბუნებრივია, უარგუმენტო გადაწყვეტილებას ვერ გავასაჩივრებ). ბელგიის სახელმწიფოს ტექსკეს სასარგებლოდ დაეკისრა სოლიდური თანხის გადახდა.

ევროპული სასამართლოს ასეთი დამოკიდებულება ნაფიცი მსაჯულების სასამართლოსადმი გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი მიზეზით – ამ სახელმწიფოებში დიდი ხანია აუცილებლობას აღარ წარმოადგენს ძვირადღირებული სასამართლო სისტემის შენახვა, ამ სახელმწიფოებში უკვე იყო ისეთი მდგომარეობა, როგორშიც დღეს საქართველოს თანამედროვე სასამართლო სისტემა იმყოფება. შესაბამისად, ამ სახელმწიფოებს სამართლიანი სასამართლო უფლების გარანტიები ისედაც უხვად გააჩნიათ.

ყველა დასახელებული რისკებიდან ეს რისკი ყველაზე განსაკუთრებულია, პრობლემურია, რამეთუ ნებისმიერი გამამტყუნებელი ვერდიქტის გასაჩივრება ბელგიის სახელმწიფოს მსგავს მდგომარეობაში ჩააყენებს საქართველოს სახელმწიფოს.

ამ გარემოების გამო, უარი ნაფიცი მსაჯულების სასამართლოზე საქართველოს სახელმწიფოსათვის კიდევ უფრო მეტად უარესი შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს. აქედან გამომდინარე, მოსაძებნია გამოსავალი ცუდსა და უარესს შორის. ცუდია გარემოება, რომელიც მხარეს დიდ პერსპექტივას აძლევს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გამამტყუნებელი ვერდიქტის დაუსაბუთებლობის საფუძვლით გასაჩივრებისას, ხოლო უარესია ის, რომ იმავე მხარეს უფრო დიდი ასპარეზი აქვს იმავე სასამართლოში (ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს არარსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილებები მიიღება ჩვეულებრივი, ორდინარული სასამართლოს მიერ, როდესაც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევით წარმოებულ საქმეებზე შესაძლოა, გაცილებით უარესი შედეგები დადგეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს არარსებობის შემთხვევაში, ამ სასამართლოს შემთხვევითი ფუნქცია საერთოდ გამორცხული იქნება და პოლიტიკოსს, პროკურორს, პოლიციელს და თვით მოსამართლესაც კი ექნება შესაძლებლობა, ზეგავლენა მოახდინოს განაჩენზე (იხ. თავი 2)

საპროცესო კანონმდებლობით, ბრალდებულის ცალმხრივი სურვილის შემთხვევაში, ნაფიცი მსაჯულების განსახილველ საქმეთა კატეგორიის საქმე განსახილველად გადაეცემა ამ სასამართლოს (ანუ, ამ საკითხზე ბრალდების თანხმობა არ წარმოადგენს აუცილებლობას). ბრალდებული, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი საქმის განსახილველად გადაცემის გადაწყვეტილების მიღებისას, გარკვეულწილად, უშვებს საკმაოდ მაღალი ხარისხის რისკის ალბათობას – მსაჯულების მიერ მიღებული გამამტყუნებელი ვერდიქტი არ საჩივრდება (გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრება, თუ სხდომის თავჯდომარის მიერ ადგილი ექნა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზოგიერთ დარღვევას). ჩვეულებრივი სასამართლო განაჩენის შემთხვევაში კი, ბრალდებული სარგებლობს სააპელაციო და საკასაციო გასაჩივრების უფლებებით.

ეს გარემოება აშკარად მეტყველებს რისკის მაღალ ხარისხზე. ამავდროულად, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რადგანაც ბრალდებულმა დაუშვა ასეთი მაღალი რისკის არსებობა, ეს ნიშნავს იმას, რომ იგი კიდევ უფრო მეტად თავდაჯერებულია თავის უდანაშაულობაში – იგი ხომ საკითხის გადანყვეტას ანდობს სასამართლოს, რომლის გადანყვეტილებას ვერ გაასაჩივრებს შიდასახელმწიფოებრივი საშუალებებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, გამამტყუნებელი ვერდიქტი შესაძლოა გასაჩივრებულ იქნეს ამ სასამართლოში და როგორც ზემოთ ვნახეთ (საქმე – ტექსკე ბელგიის წინააღმდეგ), საკმაოდ მაღალი ხარისხის პერსპექტივებით.

ამ ლოგიკით, ნებისმიერი ბრალდებული გარისკავს (თუმცა ამ შემთხვევაში, ეს მომგებიანი, მხოლოდ დროში განელილი რისკია) და თუ ბრალდებული საქართველოში საქმეს წააგებს, სტრასბურგის სასამართლოში მაღალი ალბათობით მას მოიგებს.

ეს პრობლემაა სწორედ ყველაზე დიდი პრობლემა და ამ პრობლემიდან გამოსავლის მოძებნა საკმაოდ სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

გამოსავალი:

ამ პრობლემიდან გამოსავლის ერთ-ერთ გზას ასე ვხედავ: ბრალდებულისადმი მინიჭება უფლებისა, თვითონ გადანყვიტოს ნაფიცი მსაჯულების სასამართლოსადმი საქმის გადაცემა, შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც გარიგება, ნების გამოვლინება სახელმწიფოსა და ბრალდებულს შორის. ასეთ დროს სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საქმის განხილვა მსაჯულთა სასამართლოში, ხოლო ბრალდებული უფლებამოსილია ამ სასამართლოს წინაშე დაამტკიცოს მისი უდანაშაულობა.

ეს გარიგება არ გულისხმობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრით მიმართვაზე უარს (რა თქმა უნდა, გამამტყუნებელი ვერდიქტის

შემთხვევაში). მით უფრო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 34-ე მუხლით „საჩივრით სასამართლოს შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა... რომელსაც მიაჩნია, რომ მსხვერპლია რომელიმე მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის გამო. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას არაფრით დააბრკოლონ ამ უფლების სრულად განხორციელება“.

თუ არ ვიდავებთ, რომ ნაფიცი მსაჯულების სასამართლოსადმი საქმის გადაცემა – გარიგებაა მხარეთა შორის, აქვე, ამავე გარიგებაში, სრულიად დასაშვებად მიმაჩნია დათქმა ბრალდებულისა იმის შესახებ, რომ იგი არ გაასაჩივრებს გამამტყუნებელ ვერდიქტს, ვერდიქტის დაუსაბუთებლობის საფუძვლით (მას დარჩება უფლება გაასაჩივროს ვერდიქტი სსსკ 266-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების ირგვლივ).

ასეთი დათქმა კიდევ უფრო აამაღლებს ბრალდებულის გადანყვეტილების ხარისხს ნაფიცი მსაჯულების წინაშე მისი უდანაშაულობის შესახებ და სახელმწიფოსაც აარიდებს უსიამოვნო გადანყვეტილებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან.

დასკვნა

სტატიაში დასმულ კითხვაზე ნაფიცი მსაჯულების სასამართლო შემდგომი ბედის შესახებ, პასუხი მხოლოდ ცალსახა შეიძლება იყოს – მან უნდა განაგრძოს არსებობა, უნდა დაიხვეწოს, გამოსწორდეს თანამდევი რისკები და მის გაუქმებაზე საუბარი მხოლოდ მაშინ შეიძლება დავინყოთ, როდესაც ქვეყანას ეყოლება ჭეშმარიტად სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო და ისეთი სამოქალაქო საზოგადოება, როდესაც ამ საზოგადოების არც ერთ ნევრს არ გაუჩნდება აზრიც კი, რომ ჩაერიოს სასამართლო ხელისუფლებაში. ამ სამართლებრივი ნეტარების დადგომამდე კი ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს შესანახად ხარჯების განწევა არ უნდა იყოს მისი გაუქმების მიზეზი.



ადვოკატთა საყურადღებოდ!

ყველა ადვოკატს შეუძლია ჟურნალში განათავსოს სამეცნიერო ნაშრომი და მოსაზრებები. თქვენ მიერ pr@gba.ge ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნილი სამეცნიერო სტატია და მოსაზრება განიხილება სარედაქციო კოლეგიის მიერ, არ რეცენზირდება, და, კოლეგიის წევრთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში, გამოქვეყნდება ჟურნალ „ადვოკატის“ მომდევნო ნომერში.

გისურვებთ წარმატებებს!

კორექტორი:

ლელა ღვინიაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:

თორნიკე ლორთქიფანიძე

ბეჭდვა:

შპს „სეზანი“



თბილისი

ძმები ზუბალაშვილების ქ. 36, ტელ: 2 22 46 54
ეთიკის კომისიის ცხელი ხაზი: ტელ: 2 200 262
სასწავლო ცენტრი: ტელ (+995 32) 2 98 78 78

ქუთაისი:

ნინოშვილის 8, ტელ: (0431) 247 247

თელავი:

ვარდოშვილის 15, ტელ: (0370) 272 015

ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22, ტელ: (422) 292 902

www.gba.ge